

გამოცდა მარტში

A3



შუმერული იავნანა, რუსული ნაჭახი და ქართული ვაშლი

A7



არის თუ არა და ვინჩი?

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 24 თებერვალი, 2006 წელი. №39 (1191)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ტრაგედია ბასმანის ბაზარში



გუშინ ღამით გავრცელებული ბოლო მონაცემებით, მოსკოვში ბაუმანის ქუჩაზე მდებარე ბასმანის ბაზრის სახურავის ჩამონგრევისას დაღუპულთა რიცხვმა 48-ს მიაღწია.

A2

## ეკონომიკა

### ოქრო ძვირდება



ოქროს ფასმა მსოფლიოს სასაქონლო ბირჟებზე ყველა რეკორდი მოხსნა. ძვირფასი მეტალის ფასი 24 წლის წინ დაფიქსირებულ ნიშნულს მიუახლოვდა.

A5

## სპორტი

### „ოლიმპიური ვარსკვლავის" ოლიმპიური სიურპრიზი

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 24/02 | 25 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 13 |
| ტყიბული | 17 | 17 |
| სოხუმი | 16 | 18 |
| დმანისი | 10 | 7 |
| გორი | 13 | 12 |
| ონი | 10 | 11 |
| ზუგდიდი | 20 | 20 |
| ახმეტა | 14 | 13 |
| გაგრა | 14 | 15 |
| სამტრედია | 18 | 19 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8199 |
| ევრო | 2.1670 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1745 |
| რუბლი | 0.0646 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ეკონომიკა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |
| ტენდერი | B 1-B 4 |


# არაპროგნოზირებადი რუსეთი

დომინიკ მოისი

*საფრანგეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ფუძემდებელი და უფროსი მრჩეველი, ვარშავის ევროპის კოლეჯის პროფესორი.*

როდესაც ვლადიმირ პუტინი 2000 წელს, რუსეთის პრეზიდენტის რანგში პარიზს პირველად ეწვია, მან უბრალო და დამაიმედებელი მიმართვა გააკეთა: **"მე მომაქვს თქვენთვის ის, რაც ყველაზე მეტად გჭირდებათ: ენერგიის სტაბილური და გარანტირებული წყარო. ჩემი ნავთობი და ჩემი გაზი არ იქნება ახლო აღმოსავლეთიდან მიღებულზე იაფი, სამაგიეროდ, ის გაცილებით საიმედო იქნება."**

პუტინმა ის იგულისხმა, რომ "ქრისტიანული ენერგია" (თუნდაც მართლმადიდებლური - დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით), "მუსლიმურ ენერგიაზე" გაცილებით საიმედო იქნება დასავლეთის სამყაროსათვის, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის საკითხი აწუხებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსული ბანკების ინტერესები აფხაზეთში

### FATF-ში ქართული მხარის სარჩელი შევიდა

თინა შავაძე



ერთწლიანი მოკვლევის შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკი იმ 44 რუსული კომერციული ბანკის სიას აქვეყნებს, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ უკანონო საფინანსო სტრუქტურებთან არალეგალურად თანამშრომლობენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ბანკების საქმიანობის შესახებ მასალები ინტერნეტისა და ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაა მოპოვებული. მოკვლეული მასალებით ირკვევა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო და კომერციულ ბანკებს დამყარებული აქვთ მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციის საბანკო და საფინანსო სტრუქტურებთან.

გაგრძელება A5 გვერდზე

# პარალელები საქართველოსთან

### ბერლინის 56-ე საერთაშორისო კინოფესტივალი

ნინია კაკაბაძე

ბერლინის ფესტივალს უყვარს ახალი სახელები, უყვარს ექსპერიმენტები და სხვა პრესტიჟულ ფესტივალებთან შედარებით ნაკლებად ეპოტინება ავტორიტეტებს. სახელგანთქმულ რეჟისორებზე არასდროს ამბობს უარს, თუმცა ეს რეჟისორები იშვიათად ბრუნდებიან შინ ოქროს დათვით ხელში. ასე მოხდა წელსაც.

მიუხედავად იმისა, რომ მაიკლ ვინტერბოტომის ფილმი "გზა გუანტანამოსკენ" ფესტივალზე ყველაზე სკანდალური, პოპულარული და ამავე დროს კარგი ნამუშევარი იყო,

გაგრძელება A8 გვერდზე



*ჯასმილა ზბანიჩი "ოქროს დათვით".*

გაზეთ „24 საათის" რედაქციის ახალი მისამართია: გამრეკელის ქ. №51 (შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან)

ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86




# ეუთო-ს სამსჯავროზე

### ქართულ-რუსული დაძაბულობა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე გრძელდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ვენაში იმყოფება, სადაც ის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაში იღებს მონაწილეობას. ნინო ბურჯანაძე თავის მოხსენებაში ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს ინიციატივაზე, რომელიც ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას შეეხება; ასევე საპარლამენტო ასამბლეის სხდომის მონაწილეებს გააცნობს საქართველოს პარლამენტის დადგენილებას ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანისა და საერთაშორისო კონტინგენტით მათ ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. ბურჯანაძე აპირებს, ამერიკისა და ევროპის საკანონმდებლო ორგანოებს გადასცეს საქართველოს პარლამენტის სპეციალური მიმართვა, რომელშიც ასახულია საქართველოს პოზიცია, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით.

გუშინ ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუხტმა „სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მოუწოდა, მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდნენ, გამოიჩინონ თავშეკავება ცალმხრივი ქმედებებისგან, რამაც შესაძლოა, სიტუაციის გაუარესება გამოიწვიოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საბჭოთა აგენტურას შეუძლია, მშვიდად იყოს

### ლუსტრაციის კანონის მიღებამდე ჯერ კიდევ შორია

*გუშინ იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა დაიწუნა ოპოზიციური ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" მიერ მომზადებული კანონპროექტი ლუსტრაციის შესახებ. კომიტეტში შემავალი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა მტკიცებით, დოკუმენტი დასახვეწია და სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს. ამასთან, სახელისუფლებო ფრაქციის წევრები აცხადებენ, რომ ლუსტრაციის კანონის საჭიროების პიკმა უკვე ჩაიარა და მისი მიღების აუცილებლობა აღარ არსებობს. კომიტეტის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, ოპოზიცია პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის გატანას მაინც აპირებს.*

გიორგი ასანიშვილი

კანონპროექტი განსაზღვრავს იმ პირთა ნუსხას, ვისზედაც კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს და ვინც თანამდებობრივ შეზღუდვებს დაექვემდებარება. ესენი არიან: საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლები და სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ("კაგებე") ოფიცრები (პოლკოვნიკის ან უფრო მაღალი ჩინით), საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ცკ-ს წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტის მდივნები, აგრეთვე, საქართველოს სსრ ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

რაც შეეხება მათთვის დაწესებულ თანამდებობრივ შეზღუდვებს, ის შემდეგში გამოიხატება: აეკრძალებათ ისეთი პოსტების დაკავება, როგორიც არის, მაგალითად, საკონსტიტუციო, უზენაესი და საერთო სასამართლოების მოსამართლე, მინისტრი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის აპარატისა და მთავრობის კანცელარიის საჯარო თანამდებობა და სხვა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია, აგრეთვე, პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელშიც პარლამენტის ყველა ფრაქცია თითო წევრით იქნება წარმოდგენილი და რომელიც მოაგროვებს მონაცემებს იმ პირთა შესახებ, ვინც საბჭოთა სპეცსამსახურებთან საიდუმლოდ თანამშრომლობდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართული მართლმსაჯულების კურიოზები

*შვიდი წლის წინ დაწყებულმა სასამართლო რეფორმამ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური შეკვეთების ნაკლებობა არც მაშინ შეიმჩნეოდა, საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლებისადმი დაკარგული რწმენა და იმედი ერთგვარად მაინც აღადგინა, მაგრამ დროთა განმავლობაში დემოკრატიული რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარი თანდათან კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა - ახლა საზოგადოებას ქართული თემიდის სამართლიანობისა ნაკლებად სჯერა. რატომ, მაინც რა ხდება სასამართლო ხელისუფლებაში? არის თუ არა ის რეალურად დამოუკიდებელი, კანონს და არა ხელისუფლებას მორჩილი, პროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებული სახელმწიფოს ძლიერი ბაზისი? – ეს შეკითხვები ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია.*

უდავო ჭეშმარიტებაა: მესამე - სასამართლო ხელისუფლება, ის ძლიერი ბაზისია, რომელზეც, ასევე, ძლიერი და დემოკრატიული ქვეყანა უნდა აშენდეს, მას კი საფუძველი დამოუკიდებელმა, კანონს დამორჩილებულმა და პროფესიონალმა მოსამართლეებმა უნდა ჩაუყარონ.

**"დღეს მოსახლეობა პოლიციას და პროკურატურას უფრო ენდობა, ვიდრე სასამართლოს. ამ სისტემაში არსებულ მძიმე ვითარებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი",** - განაცხადა ცოტა ხნის წინ, ახალი მოსამართლეების დანიშვნისას საქართველოს პრეზიდენტმა. მან მოსამართლეებს სამართლიანობისა და ობიექტურობისკენ მოუწოდა და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის სრული გარანტია მისცა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელთა შეფასებით, საქართველოში სასამართლო სისტემა, პრაქტიკულად, არ არსებობს და ამ მიმართულებით გატარებულ რეფორმებზე ხელისუფლების განცხადებები აბსურდულია. ამ განცხადების დასადასტურებლად "თავისუფლების ინსტიტუტი" კონკრეტული მოსამართლეების მიერ მიღებულ კურიოზულ გადაწყვეტილებებს, კონკრეტულ ფაქტებს აქვეყნებს. თანაც, მოსამართლეები, რომელთა უკანონო საქმიანობის შესახებ „თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა მასალები გამოაქვეყნეს, სასამართლო სისტემის ცნობილი სახეები არიან.

გაგრძელება A4 გვერდზე

## "ავტომოყვარულის დღე" პარლამენტში

პარლამენტართა განზრახვას - აიკრძალოს იმ ავტომობილებით სარგებლობა, რომელთაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვთ დამონტაჟებული, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ამ რეაქციის გათვალისწინებით, კანონმდებლები მზად არიან, კომპრომისზე წავიდნენ: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ მარჯვნივ საჭის მქონე ავტომობილებით მოძრაობა 2010 წლის 1 იანვრამდე ნებადართული იქნება. ამასთან, ასეთი კონსტრუქციის მქონე ტრანსპორტის საზღვარგარეთიდან შემოყვანა და რეგისტრაცია მიმდინარე წლის სექტემბრამდე დასაშვებია.

მძღოლებში უკმაყოფილებას იწვევდა ის კანონპროექტიც, რომელიც ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომანქანების ექსპლუატაციას კრძალავდა. პარლამენტარებმა ესეც გაითვალისწინეს და გადაწყვიტეს, იმ შპსების სერტიფიცირება მოახდინონ, რომლებიც მანქანების გაზის საწვავზე გადაყვანას განახორციელებენ. მძღოლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუწევთ ჯარიმის გადახდა, თუ ასეთი შპს-ს მიერ გაცემული ცნობა არ ექნებათ.

**"ჩვენ მხოლოდ ბუნებრივ აირზე ავტომანქანების კუსტარული წესით გადაყვანას ვებრძვით,"** - აცხადებენ დეპუტატები.

დეპუტატებს განზრახული აქვთ, დაბურული მინების მქონე მანქანებით სარგებლობაც აკრძალონ. ასეთი "პრივილეგია" მხოლოდ იმათ შეუნარჩუნდება, ვისაც ეს "სამსახურებრივად ესაჭიროება". აღნიშნული კატეგორიის დადგენა და შესაბამისი ნებართვების გაცემა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივა იქნება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მართვის მოწმობების საკითხმა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი ითხოვს, რომ იმ მძღოლებმა, ვინც მართვის მოწმობა დაკარგეს, გამოცდები თავიდან ჩააბარონ. მინისტრის მოადგილე ამის აუცილებლობას იმით ხსნის, რომ ზოგიერთი პიროვნება ტყუილად აცხადებს, მართვის მოწმობა დავკარგეო და ამ გზით მეორე საბუთის აღებას ახერხებს.

დეპუტატები ასეთ მიდგომას არ ეთანხმებიან. მათი თქმით, ორი მოწმობის მქონე მძღოლებთან ბრძოლა სხვა გზით, კერძოდ, ჯარიმის ოდენობის გაზრდითაც შეიძლება.

**"თუ გამძარცვეს და ყველაფერი, მათ შორის, მართვის მოწმობაც წამართვეს, ნუთუ კიდევ დამატებითაც უნდა დავზარალდე და გამოცდები ხელახლა ჩავაბარო? ვერ გავიგე, ქურდის მხარეზე ხართ თუ დაზარალებულის?"** - გაოცებას ვერ მალავდნენ პარლამენტარები.

ვინაიდან მხარეთა შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, გადაწყდა, რომ პლენარულ სხდომაზე საკითხის გატანამდე, კონსულტაციები გაიმართება.

*24 საათი*

## საბჭოთა აგენტურას შეუძლია, მშვიდად იყოს

პირველი გვერდიდან

თუ ასეთი პირი კანონის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში თავისი აგენტურული საქმიანობის შესახებ სახელმწიფო კომისიას აუწყებს, მისი ვინაობა ფართო საზოგადოებისთვის საიდუმლოდ დარჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში - საჯაროდ დასახელდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოფილ აგენტს დაკავებული თანამდებობის დატოვება მოუწევს.

კანონპროექტის ავტორებს ესმით, რომ იმ პირობებში, როდესაც "კაგებეს" არქივების უდიდესი ნაწილი რუსეთშია გატანილი, მათ მიერ ინიცირებული კანონი სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ვერ იქნება. კანონის ასამოქმედებლად ისინი იმ აგენტურული სიების გამოყენებას აპირებენ, რომელიც, დეპუტატ გია თორთლაძის მტკიცებით, უშიშროების სამსახურში არსებობს.

**"ეს კანონი 10-15 წლის წინათ რომ მიგვეღო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ახლაც არ არის დაგვიანებული,"** - გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე თორთლაძე უმრავლესობის წარმომადგენელთა მხარდაჭერის მოპოვებას ამაოდ ცდილობდა. იგი ასახელებს ორ მიზეზს, რომელთა გათვალისწინებასაც სახელისუფლებო ფრაქციის წევრებს ურჩევს.

**"ხელისუფლებაში მოსვლის წინ "ნაციონალური მოძრაობა" ხალხს შეჰპირდა, რომ ლუსტრაციის კანონს მიიღებდა. გარდა ამისა, რუსეთთან დაპირისპირების ფონზე, აუცილებლად გააქტიურდება "მეხუთე კოლონა". ამიტომ, საჭიროა იმ აგენტების გაშიფვრა, რომლებიც, შესაძლოა, დღევანდელ მთავრობაშიც არიან,"** - აცხადებს გია თორთლაძე.



ბესო გულაშვილის ფოტო

*გია თორთლაძე: "საჭიროა იმ აგენტების გაშიფვრა, რომლებიც, შესაძლოა, დღევანდელ მთავრობაშიც არიან".*

მთავარი არგუმენტი, რომელზე აპელირებითაც სახელისუფლებო გუნდი ოპოზიციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს ეწინააღმდეგება, ის არის, რომ ლუსტრაციის კანონის მიღების შემთხვევაში, მისი აღსრულების მექანიზმი არ იარსებებს.

**"საქართველოს უშიშროების სამსახური ყოფილი საბჭოთა აგენტების ძალზე მცირე კარტოთეკას ფლობს. ძირითადი მასალები, უკვე დიდი ხანია, რუსეთშია გატანილი. ამიტომ, მგონია, რომ ეს კანონი მხოლოდ კონკრეტულ პირთა დისკრედიტაციას ისახავს მიზნად,"** - მიიჩნევს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი. იგი აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით აცხადებს, რომ კანონპროექტი დაგვიანებული და შეუსრულებადია და მთავრობის დასკვნაც, ამის შესაბამისად - უარყოფითი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნიკა გვარამია კი დასძენს, რომ მოსახლეობამ ამ კანონის მიღების გარეშეც კარგად იცოდა, ვინ იყვნენ კომპარტიისა და კომკავშირის ცკ-ს მდივნები, მაგრამ ამას ხალხისთვის ხელი არ შეუშლია, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ისინი კვლავ მაღალ თანამდებობებზე აერჩია. გვარამია შიშობს, რომ ლუსტრაციის კანონი, შესაძლოა, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და შანტაჟის ინსტრუმენტად იქცეს.

სახელისუფლებო გუნდის ასეთი დამოკიდებულება ოპოზიციას ძალზე აღიზიანებს. მათ შორის ურთიერთობა გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს რამდენჯერმე უკიდურესად დაიძაბა და საქმე ლამის ექსცესებამდე მივიდა.

**"უმრავლესობისა და მთავრობის მთელი უბედურება ის არის, ოპოზიციის მიერ შემუშავებულ ყველა კანონპროექტს ალმაცერად უყურებს და მათ ჩაძირვას ცდილობს. დღევანდელი განხილვის შემდეგ, მე მგონი, ლუსტრაციის აუცილებლობა აღარ არსებობს. ისედაც გამოჩნდა, ვინ ვინ არის,"** - ოპოზიციონერმა დეპუტატებმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა განაწყენებულებმა დატოვეს.

## ხაინდრავა ცხინვალსა და მოსკოვს ადანაშაულებს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა რუსულ და ოსურ მხარეებს საქართველოსა და ეუთო-ს იგნორირებაში ადანაშაულებს და მოსკოვსა და ცხინვალს შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომის თბილისში ჩატარებას სთავაზობს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ გუშინ, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს სპეციალური წერილით მიმართა. გიორგი ხაინდრავა ვენაში დაგეგმილი შერეული საკონტროლო სხდომის ჩაშლასა და საქართველოსა და ეუთო-ს წარმომადგენლების გარეშე შსკ-ს სხდომის მოსკოვში ჩატარებაზე პასუხისმგებლობას ოფიციალურ მოსკოვს აკისრებს.

ხაინდრავას განმარტებით, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის მოსკოვში ჩატარების საკითხი მხარეებს მასთან არ შეუთანხმებიათ, ხოლო სხდომაში მონაწილეობის შესახებ ოფიციალური მიწვევა თბილისში, მის აპარატში 2006 წლის 17 თებერვალს, 13.58 საათზე გაიგზავნა, მაშინ, როცა თავად ხაინდრავა მოსკოვში იმყოფებოდა.

გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრი რუსულ მხარეს არაობიექტურობაში სდებს ბრალს, როცა ეს უკანასკნელი ცხინვალს "კონსტრუქციულ" მოქმედებებს უწონებს, ხოლო ქართულ მხარეს "ქართულ-ოსური კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტაში ადანაშაულებს".

"იმის რეალურად გასარკვევად, თუ ვინ იარაღდება და რა სამხედრო გეგმები აქვს, საკმარისია გაეცნოს ედუარდ კოკოითის განცხადებებს და მიიღოს ინფორმაცია ცხინვალში არსებულ საბრძოლო განწყობაზე," - ნათქვამია ხაინდრავას მიერ შსკ-ს თანათავმჯდომარეებისთვის გაგზავნილ წერილში.

იგი ასევე გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ რუსული და სამხრეთ ოსური მხარეები "ეუთო-ს არაპროფესიონალიზმში და ტენდენციურობაში" ადანაშაულებენ, მაშინ, როცა საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელობას მოსკოვში გამართულ შსკ-ს სხდომაზე მიწვევა საერთოდ არ მიუღია.

*ინტერპრესნიუსი*

## ტრაგედია ბასმანის ბაზარში

გუშინ ღამით გავრცელებული ბოლო მონაცემებით, მოსკოვში ბაუმანის ქუჩაზე მდებარე ბასმანის ბაზრის სახურავის ჩამონგრევისას დაღუპულთა რიცხვმა 48-ს მიაღწია. გარდა ამისა, ოც ადამიანზე მეტია გადაყვანილი ქალაქის საავადმყოფოებში სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით. მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის თქმით, დაშავებულთაგან ორი საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თანამშრომელია.

წინასწარი ვერსიით, ბაზრის ჩამონგრევის მიზეზი, როგორც ჩანს, თოვლი გახდა. სამაშველო სამუშაოები დღესაც გაგრძელდება, თუმცა, როგორც მაშველები აცხადებენ, ნანგრევებში იმდენად ცოტა სიცარიელეა, რომ საეჭვოა, იქ ვინმე ცოცხალი იპოვონ.

ბასმანის ბაზარში სახურავის ჩამონგრევისას 9 ქართველი იმყოფებოდა. წინასწარი ინფორმაციით, 4 მათგანი უგზო-უკვლოდაა დაკარგული. დაკარგულთა გვარები ზუსტდება.



*მოსკოვში წარმოშობით ქართველი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული მეორე შენობა დაინგრა.*

სახურავის ჩამონგრევის ფართობი 2000 კვადრატულ მეტრს აღემატება.

გუშინ ტელეკომპანია "ენ-ტევე" იუწყებოდა, რომ ბაუმანის ბაზრის შენობა არქიტექტორ ნოდარ ყანჩელის პროექტით, 1977 წელს აშენდა. შეგახსენებთ, რომ ნოდარ ყანჩელის სახელს მსგავსი სახის ტრაგედია უკვე მეორედ უკავშირდება. მის მიერ იყო დაპროექტებული ტრანსვაალის აკვაპარკის გუმბათი, რომელიც ორი წლის წინ ჩამოინგრა და ამის შედეგად 28 ადამიანი დაიღუპა და 100-ზე მეტი დაშავდა.

თავად ყანჩელის თქმით, დანგრეული შენობა არასტანდარტული იყო – რკინა-ბეტონის სახურავს საყრდენები არ ჰქონდა და მას გვარლების სისტემა იჭერდა. ვინაიდან შენობა დიდი ხნის წინ იყო აშენებული, ამიტომ დამპროექტებლის აზრით, სისტემატურად უნდა შეემოწმებინათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მას ექსპლუატაციას უწევდნენ.

## სუამ-ის პერსპექტივები

სუამის წევრი ქვეყნები - საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა ამ ორგანიზაციის საერთაშორისო სტრუქტურად გარდაქმნაზე მუშაობენ.

ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა აცნობა. **"ამგვარი დავალება ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ უწყებათა მეთაურებს პრეზიდენტებმა ორგანიზაციის ბოლო სამიტის შემდეგ მისცეს, რომელიც კიშინოვში გაიმართა,"** - აღნიშნა მამედიაროვმა.

მისი თქმით, მინისტრების წინაშე დგას წესდების მიღების და ორგანიზაციის დაფინანსების საკითხები. **"სუამ-ის მომავალ სამიტზე, რომელიც კიევში გაიმართება, ორგანიზაციის გაფართოების საკითხი განიხილება,"** - აღნიშნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველო გარეშე მტერს არასოდეს ეძებს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ბაქოში გაკეთებულ განცხადებას არ ეთანხმება.

**"ვერ გავიზიარებ იმას, რომ ვინმეს შეიძლება ვეცოდებოდეთ. ბუნებრივია, ეს მათი აზრი და პოზიციაა, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს იმ კონტექსტში, რომ ყველა მეზობელი უნდა დაეხმაროს ახალგაზრდა სახელმწიფოებს ნორმალურ, ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. ამ საკითხში რუსეთის პოტენციალი შეიძლება პოზიტიურად იყოს გამოყენებული,"** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მთელმა მსოფლიომ დაინახა - პრობლემების გადაწყვეტა ქვეყანას დამოუკიდებლად შეუძლია. **"ჩვენ პარტნიორების მხოლოდ ხელშეწყობა და მხარდაჭერა გვჭირდება. ძალიან გვსურს, რუსეთი ჩვენი პარტნიორების და მეგობრების რიცხვს შეუერთდეს,"** - აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების გაცემის შეჩერებასთან დაკავშირებით, საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა: **"რუს კოლეგებს დავუფიქსირეთ, რომ რუსეთის სამხედროებისათვის ვიზების გაცემა-არგაცემის საკითხის დაკავშირება მოქალაქეების მომსახურებასთან არ შეიძლება. ვინაიდან მთელი სავიზო პროცედურები და საქართველოდან რუსეთის სამხედროების გასვლის პროცესი საქართველო-რუსეთის შესაბამის შეთანხმებაშია გაწერილი, რომლის ხელმოწერას რუსეთის მხრიდან დიდი ხანია ველით."** გელა ბეჟუაშვილის აზრით, ამ ხელშეკრულების ხელმოწერით მოიხსნება ყველა ის პროცედურული და პრობლემური საკითხები, რომელიც დღეს ურთიერთობაში არსებობს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე საქართველომ ყველა პრობლემა მოაგვარა, დაიწყო ვიზების გაცემა და ანალოგიურ ქმედებას რუსეთის მხრიდანაც ელის.

*ინტერპრესნიუსი*

## აშშ საქართველოს ინიციატივას მიესალმება

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ტეფტი მიიღო. მათ "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის საკითხი განიხილეს. როგორც პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში განაცხადეს, აშშ-ს ელჩი მიესალმა საქართველოს მთავრობის ცალმხრივ ინიციატივას კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციასთან დაკავშირებით.

ზურაბ ნოღაიდელისა და ჯონ ტეფტის შეხვედრაზე ისაუბრეს, აგრეთვე, ამერიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მომავალ ვიზიტზე. ზურაბ ნოღაიდელი აშშ-ში 26 თებერვალს მიემგზავრება. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მთავრობა აქტიურად ემზადება 2 მარტისთვის ნიუ-იორკში დაგეგმილ საინვესტიციო კონფერენციისთვის, სადაც წარდგენილი იქნება საქართველოს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. "ჩვენ ამ ეტაპზე კონცენტრაციას ვაკეთებთ ნიუ-იორკის ძალიან მნიშვნელოვან საინვესტიციო კონფერენციაზე, სადაც წარდგენილი იქნება საქართველოს საპრივატიზაციო ობიექტები სამი მიმართულებით. ესენია: ენერგოსექტორი, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სექტორები," - აცხადებს ნოღაიდელი.

*მედიანიუსი*

## ეკოლოგიიდან ეკონომიკამდე

თამარ მაისურაძე

ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების ხარჯზე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა "გარემოს ხარისხის ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომითი პროცესების მართვის ნაციონალური პალატის" წარმომადგენლებს მისაღებად მიაჩნიათ. პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტში გუშინ გამართულ შეხვედრაზე "მართვის ნაციონალური პალატის" პრეზიდენტი ავთანდილ თოლომაშვილი პარლამენტარებსა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს უმტკიცებდა, რომ მათ მიერ მომზადებული პილოტური პროექტი, რომელიც ბორჯომის რაიონში უნდა განხორციელდეს, რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტს ყოველწლიურად დამატებით 50 მილიონ ლარს შეჰმატებს. **"ამ რაიონში შევისწავლეთ დაბინძურებული კერები. შერჩეულია ობიექტიც, სადაც უნდა დაიწყოს პილოტური კვლევები,"** – აღნიშნა ავთანდილ თოლომაშვილმა.

როგორც სპეციალისტებმა განაცხადეს, საქართველოში ყველაზე მეტად დაბინძურებული გარემო ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთის რეგიონებშია. **"ორგანული და არაორგანული ნარჩენების გადამუშავება რამდენიმე მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალს მოგვიტანს,"** – აცხადებდნენ გუშინდელ შეხვედრაზე. **"იაპონიამ ამ მეთოდებით 10 წელიწადში ააშენა მრეწველობა. ისინი ნარჩენებს სხვა ქვეყნებისგანაც ყიდულობდნენ,"** – აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაციის "გარემოს ხარისხის ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომითი პროცესების მართვის ნაციონალური პალატის" წარმომადგენელმა.

იმისათვის, რომ ნარჩენები გადამუშავდეს, შემდეგ კი ამით სარგებელი ვნახოთ, აუცილებელია გამწმენდი, ბეტონის ნაგებობების აშენება. ამ პროექტის განხორციელება, ბორჯომის ხეობის გარდა, ქვემო-ქართლში, კაზრეთშიც იგეგმება. **"მდინარე მაშავერას დასასუფთავებლად აუცილებელია მასში ჩამდინარე წყლის გასუფთავება. პილოტური პროექტი სწორედ ამას ისახავს მიზნად. პარალელურად კი, წყლის დასუფთავების შემდეგ ნარჩენების გადამუშავებაც მოხდება,"** – ასეთია ეკოლოგების აზრი.

გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ღვალაძემ პროექტის შეფასებისგან თავი შეიკავა. გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ ხიდეშელმა კი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მხარდაჭერა აღუთქვა.

ნაგვის ნარჩენები ჩვენს ეკონომიკას რომ წაადგეს, აუცილებელია, "ნაციონალური პალატის" იდეა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაფინანსონ. ავთანდილ თოლომაშვილს, როგორც თავად განაცხადა, გრანტის მოპოვების იმედიც აქვს და მთავრობის მხარდაჭერასაც ელის, რადგან, სახელმწიფომ პროექტის თანადაფინანსებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეკოლოგების მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას 600 ათასი ლარი სჭირდება, მთავრობამ კი ამ თანხის 10-15 პროცენტი მაინც უნდა დააფინანსოს.

### მოკლედ

#### ჰეიდი ტალიავინის ვიზიტი სოხუმში

მარტის დასაწყისში, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა დელეგაცია აფხაზეთს ესტუმრება, - ამის შესახებ საქართველოში გაეროს გენმდივნის სპეცწარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან სოხუმში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, მარტის ბოლოსთვის გაერო-ს უშიშროების საბჭო განიხილავს აფხაზეთში განლაგებულ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიისათვის მანდატის გაგრძელების საკითხს, რომელსაც 31 იანვარს გამართულმა უშიშროების საბჭომ მანდატი, 6 თვის ნაცვლად, ორი თვით გაუგრძელა.

სოხუმში ვიზიტისას ჰაიდი ტალიავინმა სოხუმის ხელისუფლებას გაერო-ს მიერ აფხაზური მხარისათვის შეთავაზებული წინადადებების განხილვა და შემდგომი რეალიზაციის აუცილებლობა შეახსენა. გაერო სოხუმისაგან გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნას, გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის ამოქმედებასა და ამავე რაიონის ქართულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აღდგენას მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

#### ევროკავშირის ახალი სპეცწარმომადგენელი

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას პრესსამსახურის ცნობით, შვედი დიპლომატი პიტერ სემნებუ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროკავშირის ახალი წარმომადგენელი გახდა. მან ამ თანამდებობაზე გასულ თვეში ბრიუსელში გაწვეული ჰეიკი ტალვიტი შეცვალა.

მანამდე პიტერ სემნებუს ხორვატიაში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. მისი ახალი მანდატი ითვალისწინებს სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს დახმარებას პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში, განსაკუთრებით - კანონის უზენაესობის, დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ეფექტური მმართველობის, განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სფეროებში; რეგიონში კონფლიქტების თავიდან აცილებას და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობას, მათ შორის, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ხელშეწყობის გზით; რეგიონის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის სტიმულირებას და ხელშეწყობას, მათ შორის - ეკონომიკურ, ენერგეტიკის და ტრანსპორტის საკითხებში.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირს სპეციალური წარმომადგენელი 2003 წლის ივლისიდან ჰყავს. ამ თანამდებობაზე პირველად ჰეიკი ტალვიტი დაინიშნა. **მედიანიუსი**

#### მზადყოფნა სოხუმში

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას შეფასებით, "საქართველოს აფხაზეთთან საომარი მოქმედებების წარმოების რესურსი არ აქვს". ამის შესახებ სერგეი შამბამ გუშინ, "კავკასიის დემოკრატიის ინსტიტუტის" აფხაზეთის ფილიალში გამართულ მრგვალ მაგიდაზე განაცხადა, რომელზეც აფხაზეთის უსაფრთხოების საკითხებსა და ქართულ მხარესთან მიმდინარე მოლაპარაკების პროცესის გარშემო იმსჯელეს.

**"ამ ეტაპზე საქართველო აფხაზეთთან ომის დაწყებით დაინტერესებული არ არის, ამისთვის მას რესურსი არ აქვს,"** - აღნიშნა შამბამ მრგვალი მაგიდის მსვლელობისას. **"აფხაზურმა მხარემ არ შეიძლება მხედველობაში არ მიიღოს, რომ გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, რესპუბლიკას სამხედრო საშიშროება ყოველთვის დაემუქრება და ამის გამო, ჩვენ თავდასხმის მოსაგერიებლად მზად უნდა ვიყოთ,"** - განაცხადა სერგეი შამბამ.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებების პროცესში ხელშესახები წარმატებები ჯერჯერობით მიღწეული არ არის, მათი გაგრძელება აუცილებელია.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში დღეს მორიგი სწავლება დაიწყება, რომელშიც მონაწილეობას თავდაცვის სამხედრო საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალები ერთობლივად მიიღებენ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში მიღებული ინფორმაციით, სწავლების მიზანი პირობითი მოწინააღმდეგის საავიაციო დარტყმების მოგერიების დამუშავებაა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# გამოცდა მარტში

## როგორ ვასრულებთ IPAP-ს

ნათია მსხილაძე

*საქართველოს მიერ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულებას მარტში ნატო-ს ჯგუფი შეაფასებს. დადებითი დასკვნის შემთხვევაში კი, მიმდინარე წლის შემოდგომაზე, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გეგმისა და მიერთების საკითხი დადგება. ნატო-სთან საქართველოს IPAP-ის შესრულების შესახებ გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კონფერენციაზე მსჯელობდნენ.*



კონფერენციაში მონაწილეობა სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართული შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა, საქართველოში ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩებმა, სამხედრო ატაშეებმა და უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ექსპერტებმა მიიღეს. IPAP-ის ფარგლებში საქართველომ რეფორმები და ცვლილებები სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში განახორციელა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, აღნიშნული კონფერენცია მიზნად ისახავს, ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე, საბოლოოდ შეჯერდეს საქართველოს პოზიციები და განხორციელებული რეფორმები ნატო-სთვის მისაღები ფორმით ჩამოყალიბდეს. **“საქართველოში გატარებულ ყველა რეფორმას საერთაშორისო პარტნიორებისათვის ჩვენება სჭირდება, რადგან საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი საბოლოოდ მათზეა დამოკიდებული. ჩვენი ამოცანაა, მივიღოთ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, რისთვისაც აუცილებელია ე.წ. IPAP-ის წარმატებით დასრულება. ყველა მიმართულებით გვაქვს რეალური პროგრესი, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მარტში ჩამოსული ნატო-ს ექსპერტები IPAP-ის შესრულებას დადებითად შეაფასებენ. ამით შევძლებთ, ნატო-ში ინტეგრაციისთვის ნაბიჯი წინ გადავდგათ,”** - აღნიშნა ბარამიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიორგი მანჯგალაძის თქმით, ამ ეტაპზე ხელისუფლება ნატო-ს ექსპერტთა ვიზიტის წინ ერთგვარ მოთელვას გადის.

**“როგორც იცით, მარტში ჩამოდის ნატო-ს შეფასების გუნდი, რათა შეაფასონ საქართველოს მიღწევები IPAP-თან მიმართებაში. კონფერენციის მიზანი იყო, შეფასებები ერთად დაგვეწყო და გვენახა, რა მიღწევები გვაქვს სხვადასხვა მიმართულებით. ასევე, დამსწრე დიპლომატებს წინასწარი ინფორმაცია მივაწოდეთ, თუ რა სტადიაშია სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში და დაახლოებით რა სახეს იღებს ნატო-ს შეფასების გუნდის ჩამოსვლისთვის,”** – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ქართველი დიპლომატის თქმით, IPAP-ის მიმდინარეობის შეფასება მარტში იქნება და ამას ნატო-ს წარმომადგენლები გააკეთებენ, საქართველოს ხელისუფლება კი ოპტიმიზმს არ მალავს. **“ყველა სტრუქტურის წარმომადგენელი დაუღალავად მუშაობს. აქედან გამომდინარე, მარტში შეფასება დადებითი იქნება,”** – ამბობს მანჯგალაძე.

საგარეო უწყებაში გამართული კონფერენციის ორგანიზატორთა მტკიცებით, გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი ის იყო, რომ დამსწრე ექსპერტებსა და ნატო-ს წევრი-ქვეყნების წარმომადგენლებს გარკვეული შეხედულებები გამოეთქვათ, თუ რა შეიძლება იყოს შეცვლილი ან დახვეწილი წარმოდგენილ საკითხებში.

თუმცა, გუშინ დიპლომატიური კორპუსი მასმედიასთან კომენტარების გაკეთებისაგან თავს იკავებდა. მხოლოდ რამდენიმე ელჩმა გადაწყვიტა საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება – და მათი აზრით, საქართველოში გარკვეული წინსვლაა.

როგორც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ტეფტმა აღნიშნა, საქართველომ წინსვლას მიაღწია, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. **''ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულების შეფასება ალიანსის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა. 5-6 მარტს საქართველოს ეწვევა ნატოს შტაბ-ბინის ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი, რომელიც ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულებას შეისწავლის,''** - აღნიშნა ჯონ ტეფტმა.

იტალიის ელჩის ფაბრიციო რომანოს თქმით, საქართველოს აქვს იმის შანსი, რომ ნატო-სკენ მიმავალი გზა წარმატებით გაიაროს. **"საქართველოს მიერ IPAP-ის შესრულებას, ალბათ, დადებითად შეაფასებენ. საქართველო ნატო-ში შესასვლელად სერიოზულად მუშაობს და ამ გზას წარმატებით გაივლის,"** – აღნიშნა ელჩმა.

# ეუთო-ს სამსჭავროზე

პირველი გვერდიდან

„ახლა მნიშვნელოვანია დიალოგის განახლება. 2005 წლის დეკემბერში ლუბლიანაში, ეუთო-ს მინისტერიალზე საქართველოს შესახებ მიღებული განცხადების სულისკვეთების საფუძველზე ყველა მხარემ კონსტრუქციული პოზიცია უნდა დაიკავოს. არსებობს გადაუდებელი საკითხები, როგორიცაა სასწრაფო დემილიტარიზაცია და სხვა სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც უნდა მოგვარდეს," - აცხადებს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე. "სამხრეთ ოსეთში" არსებული ვითარება კარელ დე გუხტმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან სატელეფონო საუბრის დროს განიხილა. როგორც ცნობილია, რუსეთმა უარი განაცხადა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ვენაში გამართვაზე, რაც სწორედ კარელ დე გუხტის ინიციატივას წარმოადგენდა. **„ჩვენ იმედგაცრუებული ვართ, რომ მხარეები პოლიტიკური დიალოგის განახლების შესაძლებლობებს არ იყენებენ,"** - აცხადებს კარელ დე გუხტი.

იგი კვლავ აპირებს თავისი სპეციალური წარმომადგენლის, სენატორ პიერ შევალიეს გამოგზავნას რეგიონში. სენატორი შევალიე 16-17 თებერვალს საქართველოს უკვე სტუმრობდა.

**"იგი განაგრძობს მხარეებთან მოლაპარაკებებს, რათა ბრიუსელში ან რომელიმე სხვა, მხარეებისთვის მისაღებ ქალაქში პოლიტიკური შეხვედრა შედგეს,"** - აცხადებს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე.

გუშინ გავრცელებული ცნობით, საქართველოს ცალმხრივი სამშვიდობო ინიციატივის მხარდაჭერა გამოხატა ოფიციალურმა ვილნიუსმა. ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ლიტვა "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციის შესახებ საქართველოს ინიციატივას მხარს უჭერს.

უფრო მეტიც, ბალტიისპირეთის ქვეყნის საგარეო უწყება მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს წინააღმდეგ არამეგობრული ქმედებები. **„ჩვენი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციების ეფექტურობისა და ქართული მხარის მიერ სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნა საფუძვლიანი და კანონიერია,"** – ნათქვამია განცხადებაში.

ლიტვის საგარეო უწყებაში ასევე აცხადებენ, რომ ქართველებზე რუსული ვიზების გაცემის შეწყვეტა, საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა, საქართველოს საზღვრის მახლობლად წვრთნების ორგანიზება, ვენაში "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით ეუთოს მიერ ორგანიზებულ სხდომაში მონაწილეობაზე რუსეთის მხრიდან უარის თქმა, რუსეთის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოსკოვში ვიზიტის უსაფუძვლო გადადება, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული პროპაგანდა ფედერაციის ხელისუფლების არაადეკვატური რეაქციაა. **„ეს არაადეკვატური რეაქციაა სუვერენული სახელმწიფოს მისწრაფებაზე, უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა და შიდა კონფლიქტები მშვიდობიანი, საერთაშორისო საზოგადოებისთვის მისაღები მეთოდებით მოაგვაროს,"** - ნათქვამია განცხადებაში.

ლიტვის საგარეო უწყებაში იმედს გამოთქვამენ, რომ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესახებ საქართველოს მცდელობას საერთაშორისო საზოგადოება მხარს დაუჭერს.

*24 საათი*

# არაპროგნოზირებადი რუსეთი

პირველი გვერდიდან

როგორც მაშინ ვარაუდობდნენ, ახლო აღმოსავლეთი, პუტინის ახალი რუსეთისაგან განსხვავებით, უფრო მოუწესრიგებელი და არაპროგნოზირებადი იყო. პრობლემა ამჟამად ისაა, რომ უკრაინელებსა და ქართველებს, თუნდაც იტალიელებს, რუსული “ქრისტიანული” ნავთობი და გაზი სულაც არ ეჩვენებათ ისე საიმედოდ, როგორც ამას პუტინი გვპირდებოდა.

ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც მოკავშირეები და პარტნიორები რუსეთს უნდა აფასებდნენ, პროგნოზირებადობაა, და სწორედ ეს აკლია რუსეთს, სულ უფრო მეტად. როდესაც პუტინი “ჰამასის” ლიდერებს მიესალმება, “კვარტეტის” სხვა წევრებთან (გაერო, ევროკავშირი, აშშ) მოთათბირების გარეშე, ვინც პასუხისმგებელნი არიან პალესტინასა და ისრაელს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, რუსეთი თავის “გალიზიანების შესაძლებლობას” ცდის, თუ “კვარტეტის” სხვა წევრებისათვის “ავანგარდისტულ” როლს ასრულებს?

ყოველდღიურად იკვეთება, რომ ფორმულა, რომელიც კომუნიზმის დაცემის შემდეგ რუსეთისადმი დასავლურ პოლიტიკას განსაზღვრავდა – “გამოვიყენოთ რუსეთი, თუ შევძლებთ. შევაკავოთ რუსეთი, თუ დაგვჭირდა” - აუცილებელია მთლიანად გადაიხედოს. **დასავლეთმა ვერ შეძლო რუსეთის ევროპისა და, საერთოდ, დასავლეთის მოკავშირედ გადაქცევა.** რატომ მოხდა ეს - ჩვენი მხრიდან არასაკმარისი გახსნილობისა და წარმოსახვის უნარის თუ რუსეთის მხრიდან ინტერესისა და კეთილგანწყობის არარსებობის გამო?

საბჭოთა იმპერიის მემკვიდრეები ვერასდროს იფიქრებდნენ, რომ მომავალში მათ მოუწევდათ დასავლეთის “უმცროსი”, უფრო ღარიბი, სინანულითა და აღტაცებით შეპყრობილი პარტნიორის როლში აღმოჩენა. მართლაც, დღეს რუსებს ელცინის პერიოდის არანაირი ნოსტალგია აღარ აწუხებთ. ამ პერიოდს ისინი არეულობას, დამცირებას, სირცხვილსა და სისუსტეს უკავშირებენ. **რუსების უმეტესობისათვის დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების გაჩენას და ცვალებადი დემოკრატიული სიოს პირველ სუსტ გამოვლენას არ შეეძლო უდიდესი ეროვნული იმედგაცრუების ანაზღაურება, რომელსაც ისინი იმპერიის ნგრევისა და სტატუსის დაკარგვის გამო გრძნობდნენ.**

გარდა ამისა, როგორი უნდა იყოს შეკავების პოლიტიკა, რომლის გამოყენება რუსეთის მიმართ ამჟამადაა შესაძლებელი? რუსეთის ხელმძღვანელები, რომლებიც ენერგიაზე მაღალი ფასებით უზრუნველყოფილი უსაფრთხოების პოლიტიკური ქოლგის მიღმა იმალებიან, სამართლიანად გრძნობენ, რომ დრო მათზე მუშაობს; რომ ჩვენ, დასავლეთს, რუსეთი უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ჩვენ ვჭირდებით რუსეთს.

რა თქმა უნდა, რუსეთის, როგორც უახლესი “ნავთობის სახელმწიფოს” როლი მსოფლიოში ძალიან განსხვავდება იმ რუსეთისაგან, სადაც მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა აფრიკის ღარიბეს ქვეყნებში დაფიქსირებულ დონეს უახლოვდება. მაგრამ მსოფლიო მოვლენები რუსეთს უბიძგებს, დაივიწყოს საკუთარი უსიამოვნო დემოგრაფიული პერსპექტივა და ამის ნაცვლად ნავთობით უზრუნველყოფილ მომავალზე იზრუნოს. მართლაც, მზარდი დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ირანის ბირთვული ამბიცია, როგორც ჩანს, იქამდე მიგვიყვანს, რომ აშშ რუსეთის დიპლომატიურ “ეკლებს” ყურადღებას საერთოდ აღარ მიაქცევს. ჩინეთისა და ინდოეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს, რომ ორივე ქვეყანა ძირითად ყურადღებას ენერგიის სტაბილურ ნაკადს, და, შესაბამისად, რუსეთთან მშვიდობიან ურთიერთობას მიაპყრობს. ევროკავშირიც კრემლთან სერიოზული კრიზისის უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემს.

პუტინის გარშემო მყოფ დიპლომატებს, საბჭოური განთლებისა და მეთოდების გათვალისწინებით, შეუძლიათ იფიქრონ, რომ წარსული დამცირებისაგან გათავისუფლების დრო დადგა. რუსეთის ეროვნული ინტერესების დასაცავად, მათი აზრით, მკაცრი მოლაპარაკებების ტაქტიკაა საჭირო. თუნდაც ისინი კომიკურ ხასიათს იძენდნენ, როგორც ეს არარსებული ბრიტანელი ჯაშუშების აღმოჩენის შემთხვევაში მოხდა, რომლებიც თითქოს თავიანთ საიდუმლოებებს მოსკოვის პარკში დადებულ ქვაში მალავდნენ.

რა თქმა უნდა, რუსეთი აშშ-სა და ჩინეთთან გათანაბრებას სერიოზულად ვერ განიხილავს. “ღერძს” პარიზი-ბერლინი-მოსკოვი სინამდვილეში არანაირი აზრი არ ჰქონდა, მაშინაც კი, როდესაც გერმანიის სათავეში შრიოდერი იმყოფებოდა. დღეისთვის ეს აზრი კიდევ უფრო აბსურდულია. გერმანიის სათავეში ახალი კანცლერი ანგელა მერკელი დგას, რომელსაც რუსეთთან მიმართებაში არანაირი ილუზია არ გააჩნია.

აუცილებელია განისაზღვროს მკაფიო ხაზი დასავლეთის პოლიტიკაში რუსეთის მიმართ. მძიმე დიპლომატიური ზეწოლა, მაგალითად, მუქარა რუსეთის “დიდი რვიანიდან” გარიცხვის თაობაზე, უკანასკნელი ზომა უნდა იყოს. მაგრამ მორჩილი თანხმობა ყველაფერზე, რის გაკეთებასაც პუტინის რეჟიმი ინებებს, მხოლოდ განამტკიცებს ამ რეჟიმის რწმენას, რომ მას ყველა უპირატესობა უპყრია ხელთ.

საკვანძო სიტყვა, რომელსაც უნდა დავუბრუნდეთ რუსეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკის განსაზღვრისას, “პროგნოზირებადობაა”. **ერთადერთი უსაფრთხო, პროგნოზირებადი რუსეთი ისეთი რუსეთი იქნება, რომელიც არა “ქრისტიანულ ენერგიას”, არამედ “კანონის უზენაესობის ენერგიას” შემოგვთავაზებს.** ნორვეგიის “დემოკრატიული ენერგიის” მსგავსი მოვლენა შეიძლება ძალზე შორეული მიზანი იყოს, მაგრამ იმისთვის, რომ რუსეთმა ენერგიის პროგნოზირებადი მომწოდებლის როლი შეასრულოს, აუცილებელია კორუფციის “მეფობის” შეჩერება.

პროგნოზირებადობა პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ჩვენ დასავლეთში რუსეთის ენერგია ძალიან გვჭირდება, მაგრამ თუ რუსეთს არ სურს, რომ მისი მომავალი აღმოსავლურ დესპოტიზმში გადაიზარდოს, მან დასავლეთთან კეთილსინდისიერად უნდა ითანამშრომლოს. თუ პუტინს გულწრფელად სურს რუსეთის გლობალური მდგომარეობის შენარჩუნება, მან არ უნდა დაუშვას, რომ ამ მიზანს ხელი შეუშალოს რუსების დამცირების გრძნობამ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა“ დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის“.

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის“ უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე 8-10

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ოლიგარქი და „ნარინჯისფერი“

## ბერეზოვსკის იუშჩენკო არ მოსწონს, მაგრამ მხარს მაინც დაუჭერს

ლონდონში პლატონ ელენინის სახელით მცხოვრებ რუს ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკის განზრახული აქვს, კვლავინდებურად მხარი დაუჭიროს უკრაინის ახლანდელ ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ "ის აბსოლუტურად უხერხემლო აღმოჩნდა". "მე ვიტყოდი - აბსოლუტურად უპასუხისმგებლო," - დააზუსტა ბერეზოვსკიმ. ამის შესახებ ინტერნეტ-გამოცემა "FORUS"-ი იუწყება.

ბერეზოვსკის თქმით, უკრაინაში ვიქტორ იუშჩენკოს და მისი გარემოცვის მმართველობის ერთი წლის მანძილზე "ხალხის უმრავლესობას იმედი გაუცრუვდა".

**"ამას მე ლონდონშიც კი ვგრძნობ, უკრაინის ხელისუფლება კოლოსალურ შეცდომას უშვებს, როცა მის მიერ მოპოვებული ნდობის უზარმაზარ პოტენციალს სპობს,"** - განუცხადა მეწარმემ.

ბერეზოვსკი მარტის საპარლამენტო არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩის პოლიტიკურ რევანშს არ გამორიცხავს, **"რადგან იუშჩენკო და მისი გუნდი სრული იმპოტენტურობის დემონსტრირებას ახდენს."** მეტიც, ბიზნესმენის თქმით, ახლანდელი პრეზიდენტის გუნდმა დიდწილად გაიმეორა "წინა ხელისუფლება კორუფციით, სურვილით - მყისიერად ესარგებლა ძალაუფლების ნაყოფით და, რაც მთავარია, იმით, რომ მან უკრაინის განვითარების სტრატეგიის ფორმულირება ვერ შეძლო."

ბერეზოვსკის მიაჩნია, რომ მაიდანზე და მაიდანის შემდეგ განვითარებული მოვლენებისთვის იუშჩენკოს და ტიმოშენკოს ერთნაირად ეკისრებათ "ისტორიული პასუხისმგებლობა". მათ საკუთარი ამბიციები უკრაინაზე მაღლა დააყენეს, რაც დემოკრატიულ რეფორმაზე მოლაპარაკე ლიდერებისთვის დაუშვებელია, - აღნიშნა ბერეზოვსკიმ.

აღსანიშნავია, რომ როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, მარტში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ვერც ერთი პოლიტიკური ძალა დამაჯერებელ გამარჯვებას ვერ მოიპოვებს და, შესაბამისად, არ ეყოლება უმრავლესობა უმაღლეს რადაში.

ასე რომ, პოლიტიკური პარტიების “საგარეო” კავშირები, უდავოდ, სერიოზულ გავლენას მოახდენენ უკრაინის მომავალი მთავრობის ფორმირებაზე, ისევე როგორც საერთოდ ქვეყნის მომავალზე.

*24 საათი*

# კედელი - არსებული და პერსპექტიული

*სამხრეთ კავკასიის ორ, სამტროდ გადაკიდებულ ერს შორის არსებულმა ფსიქოლოგიურმა და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, შესაძლოა, მალე მატერიალური გამოხატულებაც შეიძინოს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამაზე წერდა გუშინ "პანარმენიან.ნეტ"-ი. ინტერნეტ-გამოცემის თანახმად, აზერბაიჯანის საზოგადოებაში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის "კედლის აგების" შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავენ.*

**"სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ადრე თუ გვიან, კედელი უნდა აღიმართოს, რომელიც არაკეთილმოსურნე მეზობლის მხრიდან აგრესიისგან დაგვიცავს. გარდა ამისა, ნაგებობა აზერბაიჯანელ ხალხს და, განსაკუთრებით, მოზარდ თაობას ერევნის დანაშაულებრივი გეგმების დავიწყების საშუალებას არ მისცემს. ამგვარ წინადადებას საზოგადო მოღვაწეებმა და მილი მეჯლისის დეპუტატებმა დაუჭირეს მხარი. ამასთან ერთად, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კედელს უფრო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ექნება, ვიდრე სამხედრო-თავდაცვითი,"** - ბაქოში გამომავალი გაზეთ "ეხო"-ს ასეთი შინაარსის სტატიის ციტირებას ახდენს “პანარმენიან.ნეტ”-ი.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გამყოფი კედლის მშენებლობას აუცილებლად მიიჩნევს აზერბაიჯანის პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომისიის წევრი ზაჰიდ ორუჯი.

პარლამენტის დეპუტატი აღნიშნავს, რომ ორ მხარეს შორის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შესაძლოა, თავად მთიანი ყარაბაღის პრობლემაც მოგვარდეს, "თუმცა საეჭვოა, ფსიქოლოგიურ დონეზე რაიმე შეიცვალოს".

**"ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხალხებს შორის სიძულვილის და უნდობლობის აღმოფხვრა რთული იქნება. გაცილებით რთული იქნება მეგობრობის და თანამშრომლობის ძველი ატმოსფეროს აღდგენა,"** - დარწმუნებულია დეპუტატი.

ამ სიტუაციაში, მისი აზრით, **"უნდობლობის და სიფხიზლის გრძნობა თვალსაჩინო მაგალითით - ორ ქვეყანას შორის მყარი კედლის სახით უნდა განმტკიცდეს." “შესანიშნავია, რომ ეს თემა აქტუალური ხდება საზოგადოებაში,"** - აღნიშნავს აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი.

**"ამჯერად ჩვენ სომხებთან ხანმოკლე საუბარი გვექნება,"** - განაცხადა თავის მხრივ დეპუტატმა, გაზეთ "ადალიათის" რედაქტორმა აგილ აბასმა. მისი თქმით, დღეისათვის სომხეთი თურქულენოვანი ხალხების ალყაშია მოქცეული და **"ამიტომ ამჯერად ისინი ან დაჭკვიანდებიან, ან საერთოდ აქ არ იქნებიან".**

## ინციდენტს შეიარაღებული თავდასხმის კვალიფიკაცია მიეცა

*გუშინწინ, ღამით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მომხდარი ინციდენტის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ უკვე მისცა შეიარაღებული თავდასხმის კვალიფიკაცია. „მომხდარის დეტალებს გამოძიება დაადგენს. პირველადი ინფორმაციით, ეს იყო შეიარაღებული თავდასხმა, სადაც დაიჭრა როგორც ჩვენი თანამშრომელი, ასევე - თავდამსხმელიც. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის", - განაცხადა ახალაიამ.*

როგორც ცნობილია, ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ კლინიკაში, მესამე სართულზე, სადაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილება მდებარეობს, შეიარაღებული ინციდენტი ორი დღის წინ, დაახლოებით, საღამოს 21.30 საათისთვის მოხდა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ორი ადამიანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მივიდა. მათი ვინაობის გასარკვევად პატიმართან მყოფმა ბადრაგმა რკინის სარკმლიდან გაიხედა, რა დროსაც მას თავს დაესხნენ. უცნობებმა ბადრაგის წევრს თავში კონდახი რამდენჯერმე ჩაარტყეს. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა საავადმყოფოში ძალით შეაღწიეს, რის გამოც, იქვე მყოფმა ბადრაგის მეორე წევრმა ცეცხლი გახსნა. ინციდენტის დროს დაიჭრა ერთი თავდამსხმელი, ერთ-ერთი მსჯავრდებული და ერთიც ბადრაგის თანამშრომელი.

როგორც გაირკვა, სამკურნალო დაწესებულებაზე თავდასხმა მსჯავრდებულ გიორგი ჩუბინიძის გათავისუფლების მიზნით დაიგეგმა. იგი 2002 წლიდან ყაჩაღობის ბრალდებით რუსთავის კოლონიაში იმყოფება და მას აღნიშნული დანაშაულისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. ცოტა ხნის წინ, სასამართლოს განჩინებით, ჩუბინიძეს თბილისში, ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის კურსი დაენიშნა, სადაც ის რამდენიმე დღის წინ გადაიყვანეს.

ინციდენტის დროს გიორგი ჩუბინიძე ფეხში დაიჭრა. ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამაგიეროდ, მძიმე მდგომარეობაშია მისი „განმათავისუფლებელი".

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განაცხადეს, პირველად თავდამსხმელი თავს ლაშა კაპანაძედ ასაღებდა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი მკვლელობისთვის ძებნილი კახა სანიკიძეა. კახა სანიკიძეს ჭრილობები მუცლისა და მენჯის არეში აქვს მიყენებული. ინციდენტის შემდეგ იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთდა. როგორც ექიმებმა განაცხადეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავაც მძიმეა. სანიკიძე ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

ოპერაცია გაუკეთდა ბადრაგის წევრსაც, რომელიც ფეხშია დაჭრილი. ამ დროისთვის მისი ვინაობაც გასაიდუმლოებულია. იგი გუშინ იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა ბაჩო ახალაიამ მოინახულეს. მინისტრის ინფორმაციით, დაჭრილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას ექიმები მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ.

**"ჩვენი თანამშრომლის მოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა არის ქვეყნის ერთგული სამსახური. მან თავის კოლეგასთან ერთად განაიარაღა ორი დამნაშავე, რომლებიც თავს დაესხნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს,"** - განაცხადა პალატიდან გამოსულმა ქავთარაძემ, რომლის თქმითაც, დაჭრილის მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. გამოჯანმრთელების შემდეგ კი საბადრაგო სამსახურის თანამშრომელს სახელმწიფო ჯილდოზე წარადგენენ და მის დაწინაურებაზე იმსჯელებენ.

ასათიანის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომლის ვინაობაც ამ დროისთვის უცნობია, შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხა. მასზე ძებნაა გამოცხადებული.

*24 საათი*

## ქართული მართლმსაჯულების კურიოზები

პირველი გვერდიდან

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ თამაზ კაპანაძემ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ დავით ერქვანიამ უკანონო გადაწყვეტილება მიიღეს და ბრალდებულ თეიმურაზ შარაშენიძეს წინასწარი პატიმრობა უკანონოდ შეუფარდეს. ერთი შეხედვით, მოსამართლეთა მიერ გამოტანილ ამ ვერდიქტში, თითქოს, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მოსამართლეებმა კაპანაძემ და ერქვანიამ თემურ შარაშენიძეს წინასწარი პატიმრობა ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ შეუფარდეს. უფრო ზუსტად, მკვლელობაში ბრალდებული თეიმურაზ შარაშენიძე 1994 წელს დააკავეს და მას წინასწარი პატიმრობა პირველად სწორედ მაშინ შეუფარდეს. 1995 წელს კი საქმე პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებით შეწყდა, აღმკვეთი ღონისძიება გაუქმდა და, შესაბამისად, შარაშენიძე წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა. მოგვიანებით, შარაშენიძე სხვა ბრალდებით დააკავეს და წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს. 2006 წლის 2 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თამაზ კაპანაძემ უკვე დაპატიმრებულ თეიმურაზ შარაშენიძეს 1994 წლის ბრალდებასთან დაკავშირებით, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა კვლავ შეუფარდა. თეა თუთბერიძის განცხადებით, მოსამართლის გადაწყვეტილება შარაშენიძის ადვოკატებმა გაასაჩივრეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამრთლოს მოსამართლემ დავით ერქვანიამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კვლავ ძალაში დატოვა. არადა, მოქმედი კანონმდებლობით არ შეიძლება პირს წინასწარი პატიმრობა ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ შეეფარდოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დანაშაულთან დაკავშირებით ახალი გარემოებები გამოიკვეთება.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე მოსამართლეებს არაკანონიერ ქმედებაში ადანაშაულებს და მათ წინააღმდეგ, დისციპლინარული დევნის აღძვრის მოთხოვნით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მან უკვე მიმართა.

თეა თუთბერიძე გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბონდო ვართიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც მოითხოვს. ამის მიზეზად იგი პრეზიდენტის ბრძანებულების შეუსრულებლობას ასახელებს.

თეა თუთბერიძის განცხადებით, 10 თებერვალს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს გიორგი მიროტაძეს უფლებამოსილება შეუწყდა.

თეა თუთბერიძის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბრძანებულების შესახებ გორის სასამართლოს თავმჯდომარეს ბონდო ვართიაშვილს იმ დღესვე შეატყობინეს, მიროტაძემ მოსამართლეობა კვლავ განაგრძო და რამდენიმე ადამიანს წინასწარი პატიმრობაც შეუფარდა - 11 თებერვალს სულიკო რაზმაძესა და ვოვა შუღლიაშვილს, 14 თებერვალს კი - გრიგოლ სანიძეს. თეა თუთბერიძის განცხადებით, იმის გამო, რომ მიროტაძეს უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდა, მის მიერ გამოტანილი ყველა ვერდიქტი უკანონოა. შესაბამისად, ყველა ის პირი, რომლებსაც მან პატიმრობა შეუფარდა, უკანონო პატიმრები არიან, რადგან მათ საპატიმრო სანქცია არაუფლებამოსილმა პირმა შეუფარდა.

**„გამოდის, რომ ეს გადაწყვეტილებები არაუფლებამოსილმა პირმა გამოიტანა. ამდენად, ხსენებული პირები უკანონო პატიმრობაში არიან და ისინი დაუყოვნებლივ, უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ. მათ გასათავისუფლებლად სასამართლო გადაწყვეტილება საჭირო არ არის. სასამართლოში დარღვევები უამრავია, თუმცა უფლებამოსილებაშეწყვეტილი მოსამართლის მიერ სასამართლო საქმეების განხილვის შემთხვევა პირველია,"** – განაცხადა თეა თუთბერიძემ.

თეა თუთბერიძე უკანონო პატიმრების გათავისუფლებას კატეგორიულად მოითხოვს. მისი განცხადებით, დაკავებულებს შეუძლიათ, სახელმწიფოსგან კომპენსაციაც მოითხოვონ, იმის გამო, რომ ისინი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, "თავისუფლების ინსტიტუტი" გენერალური პროკურატურისგან მომხდართან დაკავშირებით გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებასაც მოითხოვს.

თუმცა, „თავისუფლების ინსტიტუტის" განცხადებას გორის სასამართლოს თავმჯდომარე ბონდო ვათიაშვილი აბსურდულს უწოდებს. იგი აცხადებს, რომ პრეზიდენტის 10 თებერვლის ბრძანებულება მან 14 თებერვალს ფაქსით მიიღო, რის შემდეგაც მას მოსამართლე მიროტაძისთვის საქმე განსახილველად აღარ დაუწერია.

*24 საათი*

## სამი განაჩენის მოლოდინში

*გუშინ სააპელაციო სასამართლოში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მსჯავრდებულის დაცვისა და თავად სულხან მოლაშვილის საბოლოო სიტყვა მოისმინა.*

როგორც ცნობილია, 2005 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს, რომელსაც გამოძიება სახელმწიფოსა და სხვადასხვა იურიდიული პირისთვის 3 მილიონი ლარის ოდენობის ზარალის მიყენებას ედავება, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მოლაშვილის ადვოკატები კი ირწმუნებიან, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით წარიმართა, რის გამოც, სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გააუქმოს.

გუშინდელ სხდომაზე მსჯავრდებულის ერთ-ერთი ადვოკატი სოსო ბარათაშვილი დაცვის სიტყვას, დაახლოებით, საათნახევრის განმავლობაში კითხულობდა. მან ძირითადი აქცენტი სისხლის სამართლის საქმის შედგენის დროს დაშვებულ საპროცესო კანონდარღვევებზე გაამახვილა.



სულხან მოლაშვილი სამი სასამართლოს გადაწყვეტილებებს ელოდება.

სოსო ბარათაშვილის განმარტებით, ბრალდების მხარემ თავის დროზე გვერდი აუარა ყველა იმ საკითხს, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა მოლაშვილისთვის წაყენებულ ბრალდებასთან, თუმცა სასამართლოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ბარათაშვილისვე თქმით, საქალაქო სასამართლომ, გარდა ამ დარღვევებისა, უბრალოდ, მექანიკური შეცდომა დაუშვა და სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალში 11 ათასი ლარით მეტი დაიანგარიშა, რაც აუცილებლად უნდა ჩასწორდეს.

**"სააპელაციო სასამართლომ საქალაქოს შეცდომები აღარ უნდა გაიმეოროს და უნდა გააუქმოს სულხან მოლაშვილისთვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი"**, - განუცხადა სოსო ბარათაშვილმა სასამართლოს.

თავად სულხან მოლაშვილი კი, რომელმაც გუშინდელ სასამართლო პროცესზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანისას კანონიერების დაცვას სთხოვს.

როგორც კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ განაცხადა, ეს არის პოლიტიკური პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც პროკურორები, ასევე, მოსამართლეები. მოლაშვილის თქმით, იგი იმის გამო დააპატიმრეს, რომ თანამშრომლებს საბიუჯეტო სახსრებიდან პრემიები დაურიგა და ისეთი ორგანიზაციები შეამოწმა, რომლებიც არ უნდა შეემოწმებინა.

**"დამისახელეთ ისეთი ორგანიზაცია, სადაც თანამშრომლები არ იღებდნენ პრემიებს და ხელმძღვანელობის ამგვარი ქმედებით სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი მიადგა. რაც შეეხება ბრალდების მეორე პუნქტს, რომლის თანახმადაც, მე ისეთ ორგანიზაციებს ვამოწმებდი, რომლის შემოწმების უფლებაც კონტროლის პალატას არ გააჩნდა, ამ ორგანიზაციებს პალატა ჩემს თავმჯდომარეობამდეც ამოწმებდა და ჩემს შემდეგაც"**, - განაცხადა მოლაშვილმა.

კანონიერების დაცვის მოწოდებაზე პასუხს - ანუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სულხან მოლაშვილი 6 მარტს შეიტყობს. სწორედ ამ დრომდე გადაიდო სასამართლო პროცესი.

სულხან მოლაშვილი კი ამ განაჩენის პარალელურად კიდევ ორ სასამართლოს ვერდიქტს ელოდება - სტრასბურგის სასამართლოში მისი წინასწარი პატიმრობის კანონიერების საკითხი უნდა განიხილონ, თბილისის საქალაქო სასამართლოში კი განხილვაშია მისი წამების გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

მოლაშვილის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, წამების ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ საქმეზე პასუხისგებაში მიცემულნი არიან თბილისის N1, N7 საპყრობილეების სამკურნალო დაწესებულების ექიმები, იმ მოტივით, რომ მათ ვერ აღმოაჩინეს მოლაშვილის სხეულზე მიყენებული დაზიანებები მანამდე, ვიდრე პატიმარს სამკურნალო დაწესებულებიდან საპყრობილეში გადაიყვანდნენ.

ადვოკატის განმარტებით, იმ დროს, როდესაც გამოძიებას არ დაუდგენია რეალურად ვინ მიაყენა დაზიანებები სულხან მოლაშვილს, გამოძიებამ პასუხისგებაში მისცა ექიმები, რომლებიც მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნავდნენ.

**"მოლაშვილის წამების ფაქტზე აღძრულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება საზოგადოების თვალის ასახვევად ჩატარდა. დაისაჯნენ უდანაშაულო ექიმები, ისე, რომ არც ის გარკვეულა, ვინ შეუკვეთა მისი წამება და არც ის - თუ ვინ შეასრულა დაკვეთა"**, - ამბობს შალვა შავგულიძე.

*24 საათი*

## სახალხო დამცველი ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

*სახალხო დამცველი პოლიციის მხრიდან გამოხატვის თავისუფლების ხელყოფისა და ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტს გმობს და კატეგორიულად მოითხოვს, დაუბრუნონ ჟურნალისტებს წართმეული კასეტები. ომბუდსმენის ასეთი კატეგორიული განცხადება მარნეულის რაიონის სოფელ დამია-გერარხში მომხდარ ინციდენტს მოჰყვა.*

ცოტა ხნის წინ სოფელ დამია-გერარხის მცხოვრებმა მიწის ნაკვეთების განაწილების პროცესისადმი უკმაყოფილება ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვით გამოხატეს. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, გზის გახსნა პოლიციამ მხოლოდ ძალის გამოყენებით შეძლო. აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის მომხდარი დაპირისპირებისას ორივე მხარე დაზიანდა. დაკავებულია მასობრივი არეულობის ორგანიზებასა და ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაში ეჭვმიტანილი 15 ადგილობრივი მოსახლე. ინციდენტს ორი აზერბაიჯანული ტელევიზია - Leader-ი da ANS-ი იღებდა. მოგვიანებით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტების განცხადებით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციის შეიარაღებულმა თანამშრომლებმა მათ გადაღებული კასეტები წაართვეს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ადგილზე შეისწავლეს სოფელ დამია-გერარხში მომხდარი ინციდენტი და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს დაზარალებულ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს - რასილ დემირჩალოვს და აიმაზ კალაევს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ასევე, შეხვდნენ მარნეულის პოლიციის უფროსს სოსო მესხს, რაიონის გამგებელს მერაბ შუბითიძეს, აღმოსავლეთ საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსს გოჩა ჯანჯღავას და საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს პირველ მდივანს ელხან პოლუხოვს. ძალოვანი უწყების წარმომადგენლები კასეტების წართმევისა და ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ზეწოლის ფაქტს უარყოფენ. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოინახულეს დაკავებული პირები და დაკავების ოქმებს გაეცნენ.

სოზარ სუბარის თქმით, პოლიციას უფლება ჰქონდა ცენტრალური მაგისტრალის გასახსნელად კანონით მინიჭებული უფლებები გამოეყენებინა. თუმცა, ის აცხადებს, რომ მსგავსი ძალადობა მედიის წარმომადგენელთა მიმართ მიუღებელია. სახალხო დამცველი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტზე გამოძიების დაწყებასა და ჟურნალისტებისთვის კასეტების დაბრუნებას მოითხოვს.

*24 საათი*

## მოკლედ

### 3000 ლარად შეფასებული 50-დოლარიანი ქრთამი

შიდა ქართლის პროკურატურამ 60 წლის კასპელი მანდილოსანი ნაილა გეჯაძე დააკავა. რეგიონის საგამოძიებო ნაწილის უფროსის გელა გელაშვილის განცხადებით, ნაილა გეჯაძის მიერ კასპის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსისათვის ქრთამის მიცემის ფაქტზე შეტყობინება საოლქო პროკურატურამ 21 თებერვალს მიიღო. ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 21 თებერვალს გეჯაძე კასპის პოლიციაში სწორედ იმ მიზნით მივიდა, რომ მოხელისათვის ქრთამი მიეცა. ნაილა გეჯაძემ პოლიციის უფროსს შოთა როსტიაშვილს კაბინეტში, სამუშაო მაგიდაზე, წიგნის ქვეშ 50 ამერიკული დოლარი დაუდო, სანაცვლოდ კი, მოითხოვა, რომ მისი მეზობლის თემურ ბახტაძისთვის აეკრძალათ მავთულბადის ღობის მოწყობა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე. სწორედ იმ დროს, როცა ქალბატონი კაბინეტის დატოვებას აპირებდა, იგი თავად შოთა როსტიაშვილმა დააკავა.

22 თებერვალს ნაილა გეჯაძეს ბრალდება 339-ე მუხლით წარედგინა. ხოლო პროკურატურამ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და მას საბოლოოდ აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდა გირაოს გადახდა 3 000 ლარის ოდენობით.

ვიდრე ნაილა გეჯაძე პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიშზე არ შეიტანს აღნიშნულ თანხას, იგი პატიმრობაში დარჩება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თავშესაფარი უსახლკარო პრობაციონერისთვის

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის ბიუროს შუამდგომლობით, ხვალ, 24 თებერვალს რუსთავში პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ უსახლკაროდ დარჩენილ ხანდაზმულ მსჯავრდებულს საცხოვრებლით უზრუნველყოფენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროში რამდენიმე დღის წინათ გამოცხადდა პირობითი მსჯავრდებული ჯემალ ბიწაძე, რომელმაც განაცხადა, რომ საცხოვრებელი სახლი არ გააჩნდა და ღამის გათევა რუსთავის რკინიგზის სადგურში უწევდა.

პრობაციონერისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თხოვნით ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს წარმომადგენლებმა რუსთავის მოხუცთა და გაჭირვებულთა სახლის "ქსენონის" დირექციას მიმართეს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღეს. საცხოვრებელი ფართის გარემონტების ხარჯები რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ გაიღო. **24 საათი**

### დაკავება ცხელ კვალზე

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ ადამიანის გამტაცებელთა ხუთკაციანი ჯგუფი დააკავეს.

მარტვილელმა დავით კოხიამ, რუსთავის მცხოვრებებმა გოგა და გოჩა ჩიმაძეებმა და ქუთაისელებმა - ვალერი ფხაკაძემ და ზაალ დვალიშვილმა გუშინწინ სენაკიდან 23 წლის ლაშა მიქავა გაიტაცეს.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცველებმა ხუთივე ეჭვმიტანილი ქუთაისის მახლობლად, ქვიტირის გზატკეცილზე დააკავეს. ეჭვმიტანილები წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილნი. მათ 5-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **ინტერპრესნიუსი**

### საპროტესტო აქცია ცხინვალელის დაკავების გამო

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართველმა სამართალდამცავებმა ცხინვალში მცხოვრები 26 წლის აუზბი ჩიბიროვი დააკავეს. იგი ეჭვმიტანილია ფალსიფიცირებული ფულის რეალიზაციაში. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ინფორმაციით, ჩიბიროვის ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა 4 300 ფალსიფიცირებული დოლარი და ნარკოტიკები. აღნიშნულთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

ჩიბიროვის განთავისუფლების მოთხოვნით, გუშინ რამდენიმე ასეულმა ოსმა სოფელ თამარაშენთან ტრანსკავკასიური მაგისტრალი გადაკეტა, თუმცა აქცია მალევე დაიშალა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### უაქციზო სიგარეტი შიდა ქართლში

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე ორი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება დაიწყო.

აბრაამ ძარღუაშვილი 1 800 კოლოფი უაქციზო სიგარეტის გადაზიდვაშია ეჭვმიტანილი, გია ბაიაძე, მაკა ტლაშაძე და გია ტერტერაშვილი კი - 1 400 კოლოფის. ორივე საქმესთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით დაიწყო - "მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა". **ჯი-ეიჩ-ენი**

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებული იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] "24 საათის" [illegible]
11. [illegible] 77 [illegible] "გაპის" [illegible]

"24 საათის" [illegible] 72 [illegible] "გაპი".

# რუსული ბანკების ინტერესები აფხაზეთში

პირველი გვერდიდან

მათი დახმარებით აფხაზეთში მნიშვნელოვანი მოცულობით შავი ფულის გათეთრება ხორციელდება. რუსეთის ბანკები აფხაზეთის უკონტროლო ტერიტორიას და მის ბანკებს საერთაშორისო ნორმებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისაგან თავის ასარიდებლად იყენებენ. რუსული ბანკების მეშვეობით აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას შეუძლია, ფინანსური ოპერაციები, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აწარმოოს.

არსებული მდგომარეობის გამო, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფის თავმჯდომარეს სარჩელით მიმართა. ქართულმა მხარემ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ უკანონო საფინანსო სტრუქტურებთან რუსული კომერციული ბანკების არალეგალური თანამშრომლობის გამო, ამ ორგანიზაციის წინაშე რუსეთის ფედერაციის, როგორც FATF-ის წევრი ქვეყნის, მიმართ მკაცრად გაფრთხილება და სათანადო სანქციების გამოყენება მოითხოვა. რომან გოცირიძემ „24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ FATF-ის დაინტერესების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შეუძლია რუსული ბანკების არაკანონიერი საქმიანობის შესახებ დამატებითი მასალები წარადგინოს. ამ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაგზავნილ სარჩელს თან ერთვის რუსული ბანკების სია.

აფხაზეთში არსებულმა საბანკო დაწესებულებებმა რუსეთთან ელექტრონული ანგარიშსწორების მექანიზმი აამოქმედეს და ისინი ჩართულნი არიან რუსეთის საფინანსო-საკრედიტო სისტემა „ზოლოტაია კორონაში", „ინტერექსპრესში", „კონტაქტში" და სხვ. ხორციელდება ნებისმიერი თანხის გადარიცხვა რუსეთის ფედერაციიდან აფხაზეთში და პირიქით.

აფხაზურ ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობები აქვთ დამყარებული შემდეგ რუსულ ბანკებს: „ეს-დე-ემ ბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „როსსლავბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „ყუბანტორგბანკი" (ქ. კრასნოდარი, რუსეთის ფედერაცია), „ნოვოსიბირსკვნეშტორგბანკი" (ქ. ნოვოსიბირსკი, რუსეთის ფედერაცია), „ბანკ მოსკვი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „ვიპ ბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „ევროპრომინვესტი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „კრაიინვესტბანკი" (ქ. კრასნოდარი, რუსეთის ფედერაცია), „კიიბ სოჩი" (ქ. სოჭი, რუსეთის ფედერაცია), „მეჟპრომბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „სვიაზბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია).

აფხაზური სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურები სარგებლობენ რუსეთის ფედერაციის შემდეგი ბანკების მომსახურებით: „დონბანკი" (ქ. დონის როსტოვი, რუსეთის ფედერაცია), „ვნეშაგრობანკი" (ქ. კოლომნა, რუსეთის ფედერაცია), „სითი ბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „ურალის საგარეო ვაჭრობის კომერციული ბანკი" (ქ. ეკატერინბურგი, რუსეთის ფედერაცია), „იუგბანკი" (ქ. კრასნოდარი, რუსეთის ფედერაცია), „მოსკომპრივატბანკი" (ქ. სოჭი, რუსეთის ფედერაცია), „მოსკოვპრივატბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „საუთ-ვესტ ბანკი" (ქ.როსტოვი, რუსეთის ფედერაცია), „ნორდ-ვესტ ბანკი"(ქ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია), „ნორდ-კავკაზუს ბანკი" (ქ. სტავროპოლი, რუსეთის ფედერაცია), „ბენკ ნორთ ტრეჟერი" (ქ. ეკატერინბურგი, რუსეთის ფედერაცია), „სვიაზბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „იუნიასტრუმბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „როსტბიზნესბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „ატონბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „მეჟპრომბანკი" (ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია), „კავკაზპრომსტროიბანკი" (ქ. ჩერკესკი, რუსეთის ფედერაცია), „სმოლენსკი ბანკი" (ქ. სმოლენსკი, რუსეთის ფედერაცია), „რუსეთის ფედერაციის შემნახველი ბანკი" „ნოვოკუზნეცკი მუნიციპალნი ბანკ" ქ. ნოვოკუზნეცკი), „საერთაშორისო ინდუსტრიული ბანკი" (რუსეთის ფედერაცია), „რუსეთის ელიტბანკი" (რუსეთის ფედერაცია), რუსეთის ფედერაციის შემნახველი ბანკის დასავლეთ ურალის ბანკი" (ქ. პერმი), „ალფაბანკი" (ქ. მოსკოვი), „ბანკ მოსკვი" (ქ. მოსკოვი), „მდმ ბანკი" (ქ. მოსკოვი), „როსბანკი" (ქ. მოსკოვი), „მეჟდუნაროდნი მოსკოვსკი ბანკი" (ქ. მოსკოვი), „პრომსვიაზბანკი" (ქ. მოსკოვი), „როსსელხოზბანკი" (ქ. მოსკოვი), „ბანკი ვოზროჟდენიე", „ევრაზბანკი" (ქ. ნემჩილოვკა-1), „ბანკ ცენტრინვესტი" (ქ. დონის როსტოვი).

საქართველოს ეროვნულ ბანკს გადაწყვეტილი აქვს, მიმართოს ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტს MONEYVAL-ს, ასევე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საბანკო რეგულირების ორგანოებს, რათა აღნიშნული სახელმწიფოების კომერციულმა ბანკებმა შეწყვიტონ საანგარიშსწორებო ურთიერთობები რუსეთის ზემოთ აღნიშნულ კომერციულ ბანკებთან.

# ოქრო ძვირდება

ნინო ნატროშვილი



ოქროს ფასმა მსოფლიოს სასაქონლო ბირჟებზე ყველა რეკორდი მოხსნა. ძვირფასი მეტალის ფასი 24 წლის წინ დაფიქსირებულ ნიშნულს მიუახლოვდა. ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე თებერვლის კონტრაქტებზე, ოქროზე ფასი ერთ უნციაზე 0,7 პროცენტით გაიზარდა და 526,69 დოლარი შეადგინა. ექსპერტების შეფასებით, 2005 წელს მსოფლიოს ბირჟებზე ოქროს ფასმა ოთხჯერ განიცადა ცვლილება და 19 პროცენტით გაძვირდა. ოქროზე მოთხოვნა იზრდება საიუველირო საქმის ოსტატების და ინვესტორების მხრიდან. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტატისტიკური მონაცემებით, ოქროს წარმოება მსოფლიოში საგრძნობლად დაეცა.

ნიუ-იორკის ოქროს ბირჟის ანალიტიკოსების აზრით, ოქროს ფასი ერთ უნციაზე კიდევ გაიზრდება, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებს დოლარის კურსთან მიმართებაში სერიოზული პრობლემები აქვს. ექსპერტების პროგნოზით, 2006 წელს ოქროს ფასის განმსაზღვრელი დოლარის კურსი იქნება.

ამ მოსაზრებას იზიარებენ რუსი ექსპერტებიც. რადგან ევროს და დოლარის არასტაბილური კურსი საინვესტიციო ფონდებს და ფინანსურ ინსტიტუტებს აიძულებს, კაპიტალი ოქროში ჩადონ, რითაც მათი სახსრები დაცული იქნება.

არსებობს კიდევ რამდენიმე მიზეზი, რომელიც ძვირფასი მეტალის სასარგებლოდ მუშაობს. თუ ოქროს და ნავთობპროდუქტების ფასების ზრდის დინამიკას ერთმანეთს შევადარებთ, გარკვეული დამოკიდებულების აღმოჩენა რთული არ იქნება. საქმე ის არის, რომ ექსპორტიორი ქვეყნები დარჩენილ თავისუფალ სახსრებს ოქროს რეზერვებში აბანდებენ. ამდენად, "შავ ოქროზე" ფასის ზრდა "ყვითელი ოქროს" გაძვირებას განაპირობებს. ბოლო დროს, ცნობილი ანალიტიკოსების უმრავლესობა ერთი ბარელი ნავთობის ფასის ზრდას 100 დოლარამდე წინასწარმეტყველებს. თუ ეს მოხდება, ამ შემთხვევაში ძვირფას მეტალზე ფასი შთამბეჭდავ "ნახტომს" გააკეთებს, ამასთან, ევრო და დოლარი მნიშვნელოვნად გაუფასურდება. ამიტომ ექსპერტები მოსახლეობას ოქროს გაყიდვას არ ურჩევენ.

ოქროს ციებ-ცხელების განელებას ექსპერტები სოლიდური შენაძენის გაკეთებით გვირჩევენ. ამ შემთხვევაში ყველაზე მომგებიანია ოქროს მონეტების და საკოლექციო ოქროს ნივთების ყიდვა, რადგან მათი ფასი იზრდება.

რაც შეეხება თბილისის ოქროს ბირჟებზე დაფიქსირებული ფასების დინამიკას, დილერებმა "24 საათთან", ძირითადად, ოქროზე მოთხოვნის გაჩენის ტენდენციაზე და ძვირფასი ლითონის გაძვირებაზე ისაუბრეს.

თბილისის ოქროს ბირჟის დილერის ხათუნა ტყეშელაშვილის განმარტებით, 999 სინჯის ოქროს ფასი, 21 თებერვლის მონაცემებით, 18 დოლარის (32,6 ლარის) ნიშნულზე დაფიქსირდა, 583 სინჯის ოქროს ფასმა კი 19,2 ლარი შეადგინა. დილერის განმარტებით, ბაზარზე მოთხოვნა, ძირითადად, ამ ორი სინჯის ოქროზე ფიქსირდება. ფასის ზრდა უფრო თვალშისაცემი იანვარში იყო. ბოლო ორი კვირაა, ოქროს ფასი თბილისის ბირჟებზე აღნიშნულ პოზიციებს ინარჩუნებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძვირფას ლითონზე ფასის ზრდა შეჩერდება.

დილერის განმარტებით, მსოფლიო ბაზარზე ოქროზე ფასის ზრდას ძვირფას ლითონზე გაჩენილი მოთხოვნა განაპირობებს. რაც შეეხება თბილისის ოქროს ბირჟებს, იქ, ძირითადად, თურქული, ბერძნული და სომხური ნაწარმი იყიდება. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ადგილობრივი იუველირების ნაწარმსაც. ექსპერტის პროგნოზით, თბილისის ოქროს ბირჟაზე სტაბილური ფასი დიდხანს არ შენარჩუნდება, რადგან მსოფლიო ბირჟებზე ფასების ზრდის დინამიკა საქართველომდეც მოაღწევს.

# შრომის ბაზარი საქართველოში

თინა შავაძე

საქართველოს შრომის ბაზარი დროის თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩება. ბაზრის სტრუქტურის შემადგენელი მთავარი ნაწილები - შრომის კანონმდებლობა, კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურები, პროფკავშირული გაერთიანებები, სამუშაო ძალა - სუსტად არის განვითარებული. ქვეყანაში შრომის ძველი, კომუნისტებისდროინდელი კანონმდებლობა მოქმედებს. მის შესაცვლელად მომზადებული კანონპროექტი განხილვის პროცესშია. სამუშაო ძალაც ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს, რადგან სპეციალისტების გადამზადების სახელმწიფო სამსახურები უმოქმედოა. ბაზარზე მოქმედ კერძო კომპანიებს უჭირთ ყველა იმ სფეროს ათვისება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალის ცვლილების მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში 2 მილიონი შრომისუნარიანი ადამიანია. 2 მილიონიდან კონტრაქტით დასაქმებული იყო 750 ათასი ადამიანი. აქედან, 300 ათასი სახელმწიფო სექტორში მუშაობდა. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა მათი დასაქმების ალტერნატივა ჯერჯერობით არ ჩანს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული საწარმოები, დარგები და პროფესიები გამუდმებით იცვლება და ქრება, ამ დროს კი სხვები ჩნდება, იზრდება და ვითარდება. რადგან ტექნოლოგიური პროგრესის გამო ცვლილებები სწრაფად ხდება, საწარმოები მუდმივად მოითხოვენ სულ ახლებური და მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების და ცოდნის მუშაკებს. ამ ცვლილებებით რომ ისარგებლონ, მუშაკებს ისეთი პროფესიონალური უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეთ, რომელიც მათ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მონაწილეობის საშუალებას მისცემს. დღეს ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე ათი წლის წინ, შეხვდებით ისეთ მუშაკებს, რომლებიც არა მარტო სამსახურს, არამედ მთელ კარიერასაც იცვლიან, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

არსებული მდგომარეობის კვლევა საინტერესო სურათს ქმნის. შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, მედიით ვრცელდება. გაზეთი "სიტყვა და საქმე" რამდენიმე გვერდს უთმობს განცხადებებს რუბრიკებით: "გთავაზობთ სამუშაოს", "ვეძებ სამუშაოს". "ვარ მაღალი, ლამაზი, სასიამოვნო გარეგნობის, ენერგიული, 22 წლის. ვიმუშავებ სერიოზულ ფირმაში მდივნად"; "დამთავრებული მაქვს კონსერვატორია, ვასწავლი მუსიკალურ სასწავლებელში, ვიმუშავებ სუპერმარკეტში ადმინისტრატორად ან გამყიდველად," - სამუშაოს მძებნელთა ამ განცხადებებიდან კარგად ჩანს, რომ ერთი მათგანი შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად კარიერის შეცვლას აპირებს და სურს, ადმინისტრატორი გახდეს, მაგრამ სათანადო პროფესიული გადამზადების კურსები ჯერ არ გაუვლია. პირველ განმცხადებელს კი სპეციალობა საერთოდ არ აქვს.

გავრცელებული ინფორმაციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შრომის ბაზარზე სამუშაოს მძებნელებსა და არსებულ ვაკანსიებს შორის ბალანსი არათანაბარია. უმეტესობას ოფისში მუშაობა სურს, მოთხოვნა კი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო სექტორში მომუშავე სპეციალისტებზეა. მათ შორისაა გამყიდველი, მიმტანი, პურის მცხობელი, ხელოსანი, ძიძა და ა.შ. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მონაცემებიც იგივეს ადასტურებს. გასულ წელს, საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით რეგისტრირებული თავისუფალი სამუშაო ადგილებიდან კომუნალურ, სოციალურ და პერსონალურ მომსახურებაზე 37 პროცენტი მოდის, საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე, ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი ნივთების რემონტზე - 18,4 პროცენტი, განათლებაზე - 8,1 პროცენტი, ოპერაციებზე უძრავი ქონებით, იჯარასა და სხვა კომერციულ საქმიანობაზე - 7,7 პროცენტი, ტრანსპორტსა, სასაწყობე მეურნეობასა და კავშირგაბმულობაზე - 7,5 პროცენტი, მრეწველობაზე - 7,3 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე - 5,0 პროცენტი.

როგორც საწარმოთა მესაკუთრეები ახდენენ ინვესტირებას თავიანთ საწარმოებში, ზუსტად ასევე მუშები ინვესტირებას ახდენენ თავიანთ პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ცოდნაში. ეს მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია დღეს, რადგან ცოდნა, იდეები და "ტვინის ძალა" სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში.

თბილისის საცნობაროს (ყვითელი ფურცლები) მიხედვით, ქვეყანაში ძალზე მცირეა იმ კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ სერტიფიცირებას ემსახურება. გამოკითხულთა შორის მოქმედი კომპანიებიდან რამდენიმე ცდილობს, დასავლური სტანდარტებით იმუშაოს. კომპანია "მარკეტინგული კომუნიკაციების" ადმინისტრაციაში "24 საათს" განუცხადეს, რომ მუშაკების კვალიფიკაციის დონის ასამაღლებლად მათ საბანკო სისტემაში, ჯანდაცვაში, საყოფაცხოვრებო და კვების სექტორში მოქმედი კერძო კომპანიები მიმართავენ. ტარდება ჯგუფური ტრენინგები და სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ეფექტური კომუნიკაციები, კლიენტთან ურთიერთობა, სატელეფონო კომუნიკაცია, გუნდი და ლიდერობა, ეფექტური მენეჯმენტი, დროის მენეჯმენტი, პრობლემების გადაწყვეტა, შემოქმედებითი აზროვნება, საქმიანი მოლაპარაკება, კონფლიქტების მოგვარება, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, სიტუაციების მოდულირება, ვიდეოგადაღება და ვიდეოანალიზი, და სხვები.

კომპანია "აი-თი-ნოლიჯი" - ტესტინგის და ტრენინგის ცენტრი IT-ს სპეციალისტების პროფესიული დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. ცენტრის ხელმძღვანელი გელა გელაშვილი "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ IT-ს საერთაშორისო დონის სერთიფიცირებულ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა, რადგან სერთიფიკატი მაღალ კვალიფიკაციას ადასტურებს. ამჟამად კომპანიას უცხოელი პარტნიორები თანამედროვე დონის სასწავლო პროგრამით უზრუნველყოფენ.

ნავთობსადენის "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მშენებლობის დროს კომპანია "ბი-პი"-მ მილების შემდუღებლებიც კი უცხოეთიდან ჩამოიყვანა, რადგან ადგილობრივ სპეციალისტებს სათანადო პროფესიული გამოცდილება არ ჰქონდათ. როგორც ირკვევა, სამშენებლო ფედერაციასთან არსებული სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი შემდუღებლების, დეფექტოსკოპიის, მასალათმცოდნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, ტესტირებას და სერთიფიცირებას ემსახურება. ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გივი კახიშვილი "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ ცენტრის პარტნიორია თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, რომლის დახმარებითაც მომზადდა სასწავლო პროგრამა. ცენტრს მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად სამშენებლო კომპანიები და მსხვილი ქარხნები მიმართავს.

ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები, განათლება და გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს საქართველოს შრომის ბაზარზე და, ფაქტობრივად, მოთხოვნას და მიწოდებას აბალანსებს. ამის შედეგად ზოგის ხელფასი იზრდება, ზოგის კი მცირდება. ეს ნიშნავს იმას, რომ საბაზრო ეკონომიკა მუშაკებს მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის - ბევრი მუშაკი ხედავს, რომ ჩამორჩენილ დარგში მუშაობას აზრი არ აქვს. სწორედ ამიტომაც ისინი ცდილობენ, მზარდი, მომავლის დარგების პროფესიები აითვისონ და ამ გზით იპოვონ ახალი სამუშაო.

## მოკლედ

### "თბილგაზის" აუდიტი დასრულდა

აუდიტორულმა კომპანიამ "თბილგაზის" ქონების დათვლა უკვე დაასრულა. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს "თბილგაზის" გაკოტრების საქმის მმართველმა გიორგი გვიჩიანმა განუცხადა. თუმცა, მისი თქმით, რა თანხად შეფასდება "თბილგაზის" აქტივები, ჯერჯერობით უცნობია.

**"კრედიტორთა სასამართლო პროცესი, რომელიც დღეს უნდა გამართულიყო, სხვადასხვა მიზეზების გამო გადაიდო. სასამართლო, რომელმაც "თბილგაზის" კრედიტორთა ტაბულა უნდა განსაზღვროს, სავარაუდოდ, მარტის დასაწყისში გაიმართება,"** - განაცხადა მან. გვიჩიანის განმარტებით, უკვე აქტიურად დაიწყება ყაზახური კომპანია "ყაზტრანსგაზისათვის" "თბილგაზის" მიყიდვის საკითხზე მუშაობა, თუმცა რა სავარაუდო თანხაში შესთავაზებენ "თბილგაზს" ყაზახები, ვერ დააკონკრეტა. როგორც გვიჩიანი აცხადებს, კომპანიის ზუსტი კრედიტორული დავალიანება ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა სავარაუდო მონაცემებით ის 240 მილიონ ლარს აღემატება. მისივე თქმით, კომპანიის ძირითადი კრედიტორები არიან თბილისის მერია, საბაჟო და მსხვილგადამხდელთა ინსპექცია, რომლებზეც მთელი კრედიტორული დავალიანების 70-80 პროცენტი მოდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ენგურჰესის ახალი აგრეგატი მალე ჩაირთვება

ენგურჰესის ახალი - N3 აგრეგატის ჩართვა მომავალ კვირას იგეგმება. ამის შესახებ "ენგურჰესის" გენერალურმა დირექტორმა ლევან მებონიამ განაცხადა. მისი თქმით, სამონტაჟო სამუშაოები, რომელსაც ავსტრიულ-გერმანული კომპანია "ფოიტ სიმენსის" წარმომადგენლები ახორციელებენ, დასრულების სტადიაშია. **"სამუშაოების დასრულების შემდეგ აგრეგატის ტესტირებას დავიწყებთ. თუ ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა, ბლოკი ჩაირთვება,"** - განაცხადა მებონიამ.

მესამე აგრეგატი ჩართვის შემდეგ საქართველოს ენერგოსისტემას 260 მეგავატი ენერგია შეემატება. მესამე აგრეგატი აფხაზეთის ომის დროს გაიძარცვა, რის შემდეგაც მას აღარ უმუშავია.

შეგახსენებთ, რომ ახალი აგრეგატი კომპანია "ფოიტ სიმენსმა" "ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში" ააწყო. აღნიშნული პროექტი ევრობანკის სესხით - 38,5 მილიონი დოლარით, ევროკომისიის გრანტით - 10 მილიონი დოლარით და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით - 14 მილიონი დოლარით ხორციელდება. მებონიას განცხადებით, მესამე აგრეგატის სრულ რეაბილიტაციას დაახლოებით 7 მილიონი ევრო დასჭირდა. მისივე თქმით, "ფოიტ სიმენსს" უკვე ჩაბარდა N2 აგრეგატიც, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას ერთი წელი დასჭირდება.

N2 აგრეგატი სრული რეაბილიტაციის შემდეგ დადგმულ სიმძლავრეზე გავა და 260 მეგავატის გამომუშავება შეეძლება. დემონტაჟამდე აგრეგატი, მაქსიმუმ, 220 –230 მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ენერგეტიკული ობიექტები განსაკუთრებული რეჟიმით ისარგებლებენ

ენერგეტიკული ობიექტები, გაკოტრების საქმის წარმოებისას, განსაკუთრებული რეჟიმით ისარგებლებენ. მოქმედი კანონმდებლობით, გენერაციის, ელექტროგადამცემი, ელექტროგამანაწილებელი და რეგიონული გაზის ქსელების საწარმოებისთვის გაკოტრების საქმე, წარმოების გახსნა, გადავადების პერიოდი 9-დან 18 თვემდეა.

ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაკოტრების შესახებ კანონში წარდგენილი ცვლილებების მიხედვით კი ეს ვადა კიდევ 18 თვით გრძელდება.

აღნიშნული ცვლილებების პროექტი გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა. ეკონომიკის სამინისტრო ენერგეტიკული ობიექტებისთვის ასეთი რეჟიმის დაწესებას ამ დარგში პრივატიზების პროცესით ხსნის.

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ თუ საწარმოებს ექნებათ დამატებითი დრო იმისათვის, რომ გააუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა, მაშინ ასეთი ტიპის ობიექტების პრივატიზაცია უფრო წარმატებით განხორციელდება.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის კახა დამენიას განცხადებით, აღნიშნული ცვლილებები ენერგეტიკულ ობიექტებს საშუალებას მისცემს, გააუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და აღმოფხვრან გაკოტრების საფუძვლები. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, გაკოტრების შესახებ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება გუშინდელ სხდომაზე არ მიიღო და საკითხი, მომავალი კონსულტაციებისათვის, დროებით გადადო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსთავის დიდ ნაწილს დღეს დენის მიწოდება შეუწყდება

რუსთავის დიდ ნაწილს პარასკევს რამდენიმე საათით დენის მიწოდება შეუწყდება. როგორც სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან" აცნობეს, ელექტრომომარაგებაში შეფერხება ქვესადგურ "რუსთავი 200"-დან გამომავალი რუსთავის მკვებავ - მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებს უკავშირდება. ენერგოკომპანიის ინფორმაციით, რუსთავის მარჯვენა სანაპიროს მთლიანად და მარცხენა სანაპიროს გარკვეულ ნაწილს პარასკევს, 24 თებერვალს დილის 11.00-დან 15.00 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება.

მათივე ცნობით, ჩართული იქნება მხოლოდ 110 კილოვოლტიან ე.წ. "მეტალურგიის ქვსადგურის" კვებაზე მყოფი ობიექტები. **პრაიმ-ნიუსი**

### პრესის ჯიხურები სალარო აპარატების გამოყენებისგან გათავისუფლდება

გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის ინიციატივა, რომელიც ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე ჯიხურების საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას შეეხება. მის პირველ საკომიტეტო განხილვას მიხეილ მაჭავარიანი არ დასწრებია. როგორც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ კობა აბულაძემ განაცხადა, მთავრობა ამ იდეას ეთანხმება.

**"თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლში მკვეთრად განისაზღვროს სპეციალიზებული ჯიხურის განმარტება. კერძოდ, კანონში ჩაიწეროს, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან ის სპეციალიზებული ჯიხურები გათავისუფლდებიან, რომლებიც მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით ვაჭრობენ,"** - განაცხადა კობა აბულაძემ. მისივე თქმით, ტერმინის "სპეციალიზებული ჯიხურის" ამგვარი მკვეთრი განმარტება ყოველგვარ გაუგებრობას აგვაცილებს. **მედიანიუს**

### მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე კვლავ ზვავსაშიშროებაა

ჰიდრომეტცენტრის ცნობით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე კვლავ ზვავსაშიშროებაა. შესაბამისად, გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა 12:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე აკრძალულია.

დღე-ღამის განმავლობაში ასევე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა 17:00 საათიდან 12:00 საათამდე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ცალმხრივად, კოლონებად, ზვავდამცავი გვირაბების გავლით. თითოეულ კოლონაში უნდა შედიოდეს არაუმეტეს 3-5 ავტომანქანისა.

გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობისას იკრძალება ავტომანქანების გაჩერება. მიმართულების რეჟიმის ცვლა და რეგულირება ხორციელდება საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის უშუალო კოორდინაციითა და ზედამხედველობით ადგილზე შექმნილი ვითარების შესაბამისად.

ქუმლისციხე-გუდაური და კობი-ლარსის მონაკვეთებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

ლიპყინულის გამო, თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 70-112 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რიკოთის საუღელტეხილო გვირების შემოვლით გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მარნეული-თეთრიწყარო-წალკის საავტომობილო გზის 60-88 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე. გზის დანარჩენ მონაკვეთში კი მოძრაობა თავისუფალია. ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 32-52 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აღმკვეთი ღონისძიების გამკაცრებას ითხოვენ

ფინანსთა სამინისტრო უაქციზო პროდუქციის წარმოება-გავრცელებისთვის აღმკვეთი ღონისძიების გამკაცრებას მოითხოვს. ფინანსთა სამინისტრომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების პროექტი წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონელი აქციზური მარკის ნიშანდების გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციისა და გადაზიდვის შემთხვევაში აღმკვეთ ღონისძიებად მხოლოდ დაპატიმრება უნდა გამოიყენებოდეს. ფინანსთა სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ასეთი ტიპის დანაშაულზე დღეს არსებული სანქციები არაეფექტურია. კანონპროექტის წარდგენამ კომიტეტის სხდომაზე დეპუტატების სიცილი გამოიწვია. საპარლამენტო უმრავლესობამ კი კანონპროექტი პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლის გაგრძელებად ჩათვალა. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა წვრილმან დანაშაულებზე ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ განცხადება გააკეთა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ავსტრია - ოლიმპიადის გმირი და ანტიგმირი

20 თებერვალი ალბათ ოქროს ასოებით შევა ავსტრიული სპორტის ისტორიაში, როგორც ის საოცარი დღე, როცა ზამთრის მეოცე ოლიმპიურ თამაშებზე ავსტრიის ნაკრებმა სამი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ბევრი ვერ დაიტრაბახებს ასეთი არაჩვეულებრივი შედეგით. ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, რომ არა ეს დაწყევლილი დოპინგ-სკანდალი, რომელიც ავსტრიის ოლიმპიურ კომიტეტს და სპორტსმენებს საშინლად უტეხს სახელს. მთელი მსოფლიო უკვე ეჭვის თვალით უყურებს ალპებსგადაღმელ ათლეტებს, იმათაც კი, ვისაც ბიატლონთან და ვალტერ მაიერთან საერთო არაფერი აქვთ. ყველაფერი ისე აირ-დაირია, რომ უკვე აღარავინ იცის, რა მოხდა სინამდვილეში და რისთვის გაიქცა ბიატლონის ნაკრების ექსმწვრთნელი და ორი სპორტსმენი ოლიმპიური სოფლიდან. ნუთუ ასე სასტიკად იყვნენ "დადოპინგებული" ავსტრიელი ბიატლონისტები?

## უმანკო მსხვერპლი თუ ვერაგი დამნაშავე?

ამ რამდენიმე დღის წინ, უფრო კონკრეტულად კი შაბათღამეს, როცა იტალიურმა პოლიციამ პირველად გაჩხრიკა ავსტრიელი ბიატლონისტების სადგომი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ავსტრიული პრესა სასტიკად იყო აღშფოთებული მასპინძელი სამართალდამცავების უზოდიშო ვიზიტით. ავსტრიელებს დოპინგის კომისიის გადაჭარბებული კონტროლის მსხვერპლად მიაჩნდათ თავი და საჯაროდ იფიცებოდნენ, ჩვენი სპორტსმენები დოპინგს არ გაკარებიანო. თავიდან თითქოს ყველას სჯეროდა მათი. ბოლოს და ბოლოს, პირველი შემთხვევა ხომ არ იქნებოდა, დოპინგ-კომისიას უდანაშაულო სპორტსმენებისთვის რომ დაედო ბრალი აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში.

მალე მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. იტალიელებმა შეძლეს იმის დამტკიცება, რომ "ავსტრიულ სახლში" ჩატარებული რაცია უშედეგო სულაც არ იყო. ბიატლონისტთა ექსმწვრთნელი ვალტერ მაიერი, რომელსაც სისხლის პრეპარატების გამოყენების გამო 10 წლით აკრძალული ჰქონდა სპორსტმენების გაწვრთნა, კერძო პირის სტატუსით ჩავიდა ტურინში და იმის ნაცვლად, რომ ასპარეზობებისთვის ტრიბუნიდან ედევნებინა თვალყური, მაშინვე თავის ყოფილ სპორტსმენებთან განაახლა კონტაქტი. ამან ტურინის პროკურატურა დააეჭვა. მაინც რისთვის მიდიოდა მაიერი თითქმის ყოველდღე ბიატლონისტებთან? ვითომ მხოლოდ კათხა ლუდის დასალევად და ძველი კეთილი დროის გასახსენებლად? თუ ისევ აკრძალული ხერხით ცდილობდა ეს გამოუსწორებელი ბებერი ცოდვილი თავისი ბიჭები პოდიუმზე აეყვანა? ერთი გვარიანი შემოწმება საქმეს ნამდვილად არ აწყენსო, იფიქრეს იტალიელმა პოლიციელებმა და ერთ მშვენიერ ღამეს თავიანთი მოულოდნელი სტუმრობით გააბედნიერეს უკვე ტკბილ ძილბურანში მყოფი ავსტრიელი ბიატლონისტები. ვინ იცის, იქნებ ოქროს მედლებიც ესიზმრებოდათ ბიჭებს! მოკლედ, პოლიცია საქმეს შეუდგა და აბსურდის თეატრის პირველი მოქმედებაც იმ ღამესვე დაიწყო. ყოფილი მწვრთნელი ვალტერ მაიერი, რომელიც ასე გვიან, წესით, უკვე საკუთარ სასტუმროში უნდა ყოფილიყო, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ტურინიდან. შემდეგ უკვალოდ გაქრა კიდევ ორი ბიატლონისტი – ვოლფგანგ პერნერი და ვოლფგანგ როტმანი. ვალტერ მაიერის საქციელი უფრო და უფრო უაზრო და ალოგიკური ხდებოდა. ტურინიდან გაქცევის შემდეგ კარგა ხანს არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა ამ გაუგონარი სკანდალის მთავარი გმირი, სანამ კვირას ფილახის პოლიციის ღამის მორიგე ერთმა უჩვეულო ზარმა არ ააფორიაქა: უცნობი ქალი იტყობინებოდა, ჩემი სახლის წინ უკვე რა ხანია დგას წითელი "სიტროენი" ჩართული ძრავით და ადგილიდან დაძვრას არ აპირებსო. პოლიციელები მაშინვე ადგილზე გაჩნდნენ და მანქანაში სასტიკად გამომთვრალი ვალტერ მაიერი აღმოაჩინეს, რომელიც უნიფორმიანების დანახვისას სასწრაფოდ გამოფხიზლდა. სანამ პოლიციელები მის საბუთებს ამოწმებდნენ, ელვის სისწრაფით დაქოქა მანქანა. შემდეგ მოვლენები დაახლოებით ისე განვითარდა, როგორც უხარისხო ამერიკულ თრილერებსა და ბლოკბასტერებში: მაიერი საშინელი სიჩქარით მიქროდა კარინთიის პროვინციის გზებზე. უკან პოლიცია მისდევდა. ეს გიჟური დევნა ერთ-ერთ კარინთიულ სოფელში დასრულდა. პოლიციამ თითქმის ყველა გზა გადაკეტა. ასე იყო პატერნიონშიც, სადაც ადგილობრივი სამართალდამცავები უკვე ელოდებოდნენ გადარეული მწვრთნელის გამოჩენას. პოლიციის ორი მანქანა ჩასაფრებული იდგა სოფლის ბოლოს, მაგრამ მაიერი ვერც ამ ბარიკადმა შეაკავა – დიდი სიჩქარით მიმავალი მისი "სიტროენი" შეასკდა პოლიციელების ბლოკადას. მანქანაში მსხდომებმა ძლივს მოასწრეს გადახტომა. ეს ბოლო აქტი იყო. ოპერაცია "ვალეტრ მაიერი" წარმატებით დასრულდა. პოლიციელებმა ძებნილი დააკავეს და ჯერ სამორიგეოში წაიყვანეს, შემდეგ კი, ასე ვთქვათ, საგიჟეთში. ისე, ავსტრიაში ასეთ დაწესებულებას ნერვების კლინიკას ეძახიან...

## მფრინავი ავსტრიელები და ოქროს მედლები

მაიერის აბსურდული თავგადასავლისა და ორი ბიატლონისტის უკვალოდ გაქრობის შემდეგ (მათი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცის) ავსტრიელთა კეთილი სახელის გადარჩენა მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო – დიდ სპორტულ წარმატებებს! 20 თებერვალი ავსტრიელთათვის არაჩვეულებრივად დაიწყო და ასევე არაჩვეულებრივად დამთავრდა – მოთხილამურეებმა და ტრამპლინიდან მხტომელებმა არავის დაუთმეს ოქროს მედლები. დაშვებაში დაკარგული ოქროს მედლის შემდეგ მამრობითი სქესის მოთხილამურეებს სლალომში აუცილებლად უნდოდათ პირველი ადგილის დაკავება. ბენიამინ რაიხი და ჰერმან მაიერი უპირობო ფავორიტებად ითვლებოდნენ და ორივემ მართლაც შეძლო მედლების დასაკუთრება, თუმცა არა ისეთი თანამიმდევრობით, როგორსაც ჰერმან მაიერი ისურვებდა - "ჰერმინატორი" ისევ სანატრელი ბრჭყვიალა ლითონის გარეშე დარჩა და მხოლოდ ბრინჯაოს მოკრძალებული პრიალით მოუხდა დაკმაყოფილება. ოქროს თვალისმომჭრელი ელვარებით დატკბობის ბედნიერება კი მის თანაგუნდელ ბენიამინ რაიხს ხვდა წილად. ორ ავსტრიელს შორის მოულოდნელად ერთი ფრანგი ჩადგა – ნაკლებად ცნობილმა სპორტსმენმა ჟოელ შენალმა საკმაოდ კარგი დრო აჩვენა და ყველას გასაოცრად ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

შემდეგ ავსტრიელმა ქალმა მოთხილამურეებმა დაანთეს ცეცხლი სან სიკარიოს თოვლყინულოვან ტრასაზე Super G-დ წოდებულ ტურნირზე. დიდხანს ინარჩუნებდა ლიდერობას ახალგაზრდა კანადელი კელი ვანდერბეკი, მაგრამ ბოლოს ბრინჯაოს მედალიც კი არ შეხვდა. ჯერ ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა აჩვენა ყველას, რისთვისაც ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოთხილამურედ და მთელი ხორვატიის სიამაყედ, მერე ავსტრიელი ალექსანდრა მაისნიცერი დაეშვა ფინიშისკენ და მეორე საუკეთესო დრო დააფიქსირა, ბოლოს კი 32 წლის მიხაელა დორფმაისტერი შედგა თხილამურებზე კიდევ ერთი ოლიმპიური ოქროს მოსაპოვებლად. მისი დრო ფანტასტიკური იყო და როცა მთელი ავსტრიული ფანობა გადარეული ზეიმობდა მორიგ ოქროს მედალს, თავად მიხაელას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, აჯობა თუ არა იანიცა კოსტელიჩს. მანამდე იყურებოდა აქეთ-იქით დაბნეული სახით, სანამ თავად კოსტელიჩმა არ ახარა, გამარჯვება შენიაო. "ჩემი დრო ვერსად დავინახე, ამიტომაც ზუსტად არ ვიცოდი, მოვიგე თუ არა რომელიმე მედალი. მერე კი ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა", - ილიმებოდა ბედნიერი ოლიმპიური ჩემპიონი.

ამ შესანიშნავ საზეიმო მენიუს არაჩვეულებრივი დესერტი მოჰყვა – ტრამპლინიდან მხტომელთა გუნდური ოქროს მედალი ავსტრიელთა ბედნიერი დღის ღირსეული დაგვირგვინება იყო. საოცარმა მფრინავმა ოთხეულმა ანდრეას კოფლერის, მარტინ კოხის, ანდრეას ვილდჰოლცის და ტომას მორგენშტერნის შემადგენლობით არანაირი შანსი არ დაუტოვა ფინელ და ნორვეგიელ არწივებს. დიდი ტრამპლინიდან ერთეულთა თანრიგში ტომას მორგენშტერნის ოქროს შემდეგ ავსტრიელებმა გუნდურ შეჯიბრებაშიც ყველას აჯობეს. რა მშვენიერი იქნებოდა ეს ყველაფერი, რომ არა ეს უაზრო დოპინგ-სკანდალი...

*მოამზადა ნინო პირველმა*

ტურინი 2006

# რუსებისთვის თოვლში რბენა ალალია

ბიგა ბურასაშვილი

*ბიატლონში გათამაშებული მედლებით (გუშინდელი დღის ჩათვლით) ნუსხას გერმანელები უდგანან სათავეში, ამასთან, საკმაო უპირატესობით. თუმცა, მათი უპირატესობა მარტო თხილამურებით რბოლასა და შაშხანიდან სროლაში არ არის თვალშისაცემი, არამედ სხვადასხვა სახეობებსა და დისციპლინებში მთლიანობაში გათამაშებული მედლებითაც. ოღონდ გუშინ ქალ ბიატლონისტებს მოეცარათ ხელი, იმავე ჩათვლაში განემტკიცებინათ საკუთარი უპირატესობა. არადა, როგორ სჯეროდათ, რომ გერმანელი ქალები 4X6 კილომეტრზე ესტაფეტაშიც ჩემპიონები გახდებოდნენ. მართალია, უმედლოდ არ დარჩენილან, მაგრამ გერმანელთა კვარტეტის მონაგარი ვერცხლის მედლებია და არა ოქროსი. ჩემპიონები კი რუსები გახდნენ.*




*ზაიცევამ ახმატოვას საჩემპიონო ესტაფეტა გადასცა.*

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები ბიატლონის დიდოსტატები არიან, რუსი ქალების გამარჯვება უფრო კანოზომიერი იყო. ჯერ ერთი, რბოლა და შაშხანით სროლა რუსებსაც ეხერხებათ, ამასთან, ძალიან მაგრად. მეორე ის, რომ მსოფლიო თასის საესტაფეტო რბოლებში ლიდერები არიან. მესამეც ის, რომ გუშინ მეტქოეებს გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვეს და 50,7-წამიანი უპირატესობით გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. ანა ბოგალი, სვეტლანა იშმურატოვა, ოლგა ზაიცევა და ალბინა ახატოვა ისინი არიან, რომლებმაც რუსეთი საერთო ჩათვლაში მესამე საფეხურზე აიყვანეს.

მსოფლიო თასის ეტაპებზე დაწინაურების გამო რუსთა კვარტეტი ჩეზანას ფერდობზე პირველ ნომრად შეუშვეს. ერთი კვირის წინ რუსთა გუნდში მომხდარი ამბავი რომ არა, ანა ბოგალი ალბათ ტურინული ოქროს გარეშე დარჩებოდა. საქმე ისაა, რომ მწვრთნელთა შტაბის თავდაპირველი განაცხადით, ბიატლონისტთა საესტაფეტო განაცხადში იყო სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 30 წლის ოლგა პილევა, რომელმაც მოგვიანებით 15 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ვერცხლის მედალი აიღო, მაგრამ... მოვლენები ისე განვითარდა, რომ პილევას ვერცხლი გერმანელ მარტინა გლაგოვს გადაულოცეს, გერმანელის ბრინჯაო კი პილევას თანაგუნდელს - ალბინა ახატოვას. ამ გადაადგილების მიზეზი პილევას ორგანიზმში აღმოჩენილი სტუმულატორი იყო, რაც რუსი სპორტსმენის ტურინიდან გაძევებასა და ორწლიან დისკვალიფიკაციაში გადაიზარდა.

"კმაყოფილი ვარ იმით, რაც მოხდა, - პილევასთვის ჩამორთმეული მედლის შემდეგ აცხადებდა გლაგოვი, – თუმცა, სამწუხაროა, როცა ასეთ რაღაცასთან გვაქვს საქმე".

რუსები თავს იმით იმართლებდნენ, პილევა დაშავებულ ტერფს მკურნალობდაო. ექიმი კი იმ მედიკამენტებს იყენებდა, რომლებიც აკრძალულ პრეპარატთა ნუსხაში არ იყოო.

"ვწუხვარ, რომ რეპუტაცია შემელახა, - დისკვალიფიკაციის შემდეგ მოიბოდიშა პილევამ, – დარწმუნებული ვარ, უცხოელი სპორტსმენები ჩემდამი დამოკიდებულებას შეცვლიანო".

მიუხედავად იმისა, რომ რუსთა ნაკრებმა ერთ-ერთი ლიდერი დაკარგა, სტარტის წინ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერი პოლხოვსკი ირწმუნებოდა: მხოლოდ და მხოლოდ ოქროსთვის ვიბრძოლებთო.

ანა ბოგალიმაც არ გაუცრუა მწვრთნელს იმედები და პირველივე საცეცხლე მიჯნაზე ტყვია ტყვიაში ჩააჯინა. მარტინა გლაგოვს კი, რომელიც რუსის მთავარ მეტოქედ იყო მიჩნეული, საცეცხლე მიჯნაზე სათადარიგო ვაზნის გამოყენება დასჭირდა. მისგან განსხვავებით, კიდევ ერთი კონკურენტი, ნორვეგიელი ტორა ბერგერი იძულებული გახდა საჯარიმო წრეზე წასულიყო.

რუსთა უპირატესობა ბოგალისგან ესტაფეტამიღებულმა სვეტლანა იშმურატოვამაც შეინარჩუნა, თუმცა, საწყის მონაკვეთზე, წინამორბედისგან განსხვავებით, არცთუ სწრაფად მიიწევდა წინ. ამასთან, მესამე საცეცხლე მიჯნასთან გერმანელ ანდრეი ჰენკელთან ერთად მისულმა პირველი ორი ვაზნა ააცილა. იგივე დაემართა ჰენკელსაც. 15 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა იშმურატოვამ რუსთა უპირატესობა 18,5 წამამდე გაზარდა. მომდევნო საცეცხლე მიჯნაზე კი ხუთივე სროლა ზუსტად გამოიყენა.

უპირატესობა მას შემდეგ გახდა თვალშისაცემი, როდესაც ესტაფეტა ოლგა ზაიცევამ ჩაიბარა. ამ დროისთვის გერმანელები რუსებთან 32,3 წამს აგებდნენ. უპირატესობა კიდევ გაიზარდა, როდესაც გერმანელ კატრინ აპელს საჯარიმო წრის გავლა მოუხდა.

ზაიცევას შემდეგ ალბინა ახატოვას, რომელმაც ტურინში ორი ბრინჯაო უკვე მოიგო, ისღა დარჩენოდა, ტემპი შეენარჩუნებინა და თანაგუნდელების მიერ მოპოვებული უპირატესობა არ გაენიავებინა. რუსეთის ნაკრების ყველაზე გამოცდილმა და სტაბილურმა წევრმა თავი არ შეირცხვინა და რუსეთს მერვე ოლიმპიური ოქრო მოუტანა. მათი გამარჯვება იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ესტაფეტაში რუსი ქალები ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლაში ბოლო 12 წელიწადია ხელმოცარულნი რჩებოდნენ.

ერთი სიტყვით, ვერცხლი გერმანელებს დარჩათ, ხოლო, ბრინჯაო სანდრინ ბაიის თავგამოდებით, - ფრანგებს, რომლებიც ნორვეგიელებთან ფინიშის ხაზამდე მუდმივად მდევრის როლში იყვნენ.

**ბიატლონი**
**4X6 კმ. ესტაფეტა**

**ქალები:**

| | |
|---|---|
| 1. რუსეთი | 1:16:12.5 |
| 2. გერმანია | +0:50.7 |
| 3. საფრანგეთი | +2:26.2 |

# ყინულზე ცეკვა თუ ყინულზე წაქცევა?

ნინო პირველი

მოკლედ, რას არ მოესწრება კაცი. 2006 წლის 20 თებერვლამდე ვინმეს რომ ეთქვა, ოლიმპიურ მედლებს ფიგურულ ცეკვებში ის წყვილები მოიპოვებენ, რომლებიც პროგრამას წაქცევის გარეშე დაასრულებენო, არაფრით არ დავიჯერებდი. ვინ უშვებს ასეთ საშინელ შეცდომას ცეკვებში? აქ ხომ არავინ ასრულებს ურთულეს ოთხმაგ და სამმაგ ნახტომებს, რომლის დროსაც ძნელია წონასწორობის შენარჩუნება და ყინულზე სუფთად დაშვება? ცეკვებში წაქცევა? რა უაზრობაა! მაგრამ თურმე ასეც ხდება ხანდახან, როცა ფსიქოლოგიური ზეწოლა საშინლად ძლიერია, როცა აუცილებლად გინდა ოლიმპიური ოქროს მოპოვება, როცა დღედაღამ ამაზე ოცნებობ და მოუთმენლად ელი იმ წუთს, როცა თავაზიანად მოღიმარი ოლიმპიური კომიტეტის წევრები სანატრელ მედალს ჩამოგკიდებენ, როცა მთელი ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ ერთი ბედნიერი წამისთვის ემზადები და საკუთარ თავს პოდიუმზე ხედავ აღტაცებული ფანების გარემოცვაში. ასეთ დროს ყველაფერია შესაძლებელი – დიდებული ტრიუმფიც და საშინელი იმედგაცრუებაც, აღმავლობაც და დაცემაც. პალაველად წოდებულ სპორტის სასახლეში დაცემა უფრო მეტი იყო, ვიდრე აღმავლობა. წაქცევათა სეზონი ისრაელის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებმა გახსნეს. პირველივე დღეს, სავალდებულო ცეკვის შესრულებისას, რომელიც ამჯერად "რავენსბურგული ვალსი" გახლდათ, უაღრესად გამოცდილი და უკვე 30 წელს გადაცილებული გაიტ ჩალიტი მოულოდნელად ყინულზე აღმოჩნდა. პარტნიორი სერგეი სახნოვსკი იმდენად გააოგნა გაიტის ამ გაუგონარმა შეცდომამ, რომ დიდხანს ვერ შეძლო ცეკვა ნორმალურ რიტმში გაეგრძელებინა. "თერთმეტი წელია ერთად ვცეკვავთ და ასეთი რამ არასოდეს მომსვლია", - სევდიანად აფახულებდა თვალებს დამწუხრებული გაიტი ასპარეზობის დასრულების შემდეგ. არადა, ეს წყვილიც ოლიმპიურ მედლებზე ოცნებობდა. პირველი მედალი უნდა მოეპოვებინათ ისრაელისთვის ზამთრის ოლიმპიადაზე... "რავენსბურგული ვალსი" თურმე შეცდომათა ფესტივალის პირველი აკორდი იყო. მეორე დღეს ლათინურამერიკული ცეკვები გახლდათ პროგრამაში: სამბა, რუმბა, ჩა-ჩა-ჩა, სალსა, მერინგე... არაჩვეულებრივი რიტმები, არაჩვეულებრივად სწრაფ ნაბიჯთა პასაჟები და... არაჩვეულებრივი შეცდომები. დღის პირველი უიღბლოს ტიტულის მფლობელი ფრანგი ნატალი პეშალა გახდა, რომელიც სრულიად მოულოდნელად გაიშხლართა ყინულზე. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: შესანიშნავი ლიტველი წყვილი, უკვე ხუთი ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ფავორიტთა შორის მოხსენიებული მარგარიტა დრობიაცკო და პოვილას ვანაგასი ასევე ყინულზე აღმოჩნდნენ მარგარიტას ფატალური შეცდომის მერე. ორივე, რა თქმა უნდა, მედლების მოგებაზე ოცნებობდა. ამისთვის დაუბრუნდნენ მოყვარულთა სპორტს 2002 წელს პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ. ლიონში, ევროპის ჩემპიონატზე, მესამე ადგილი დაიკავეს, ტურინში კი...

შემდეგ იტალიელების ჯერი დადგა: მეორე ნომერმა იტალიურმა წყვილმა – ფედერიკა ფაიელამ და მასიმო სკალიმ, რომელთაც მთელი დარბაზი მხურვალედ უჭერდა მხარს, ასევე დამწუხრებულმა და იმედგაცრუებულმა დაასრულა ცეკვა. ფედერიკამ თავადაც არ იცოდა, როგორ დაემართა ასეთი რამ. რა თქმა უნდა, ეს უიღბლო წაქცევა მის კარიერაშიც პირველი შემთხვევა იყო. კანადელ მარი- ფრანს დუბრუელს და პატრის ლოსოს უფრო მეტად არ გაუმართლა: ერთ-ერთი პირუეტის შესრულებისას პატრისს პარტნიორი ხელიდან გაუვარდა. მარიფრანსი ისე დაასკდა ყინულს, რომ ცეკვის გაგრძელება ვეღარ შეძლო. კიდევ ერთი ფავორიტი წყვილი გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას!

ამ ქაოსის შემდეგ უკვე აღარავინ იცოდა, გადაურჩებოდნენ თუ არა ტურნირის მთავარი ფავორიტები წაქცევას. უკრაინელი ვეტერანი წყვილი, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლის პრიზიორები ელენა გრუშჩინა და რუსლან გონჩაროვი ტურინშიც ბრინჯაოს უმიზნებდნენ და, ბუნებრივია, არ სურდათ თავიანთი ხანგრძლივი კარიერის სამარცხვინოდ დასრულება. უკრაინელი ფანების საბედნიეროდ, ელენას და რუსლანს არ მოუწიათ, ტურინის ყინული არასახარბიელო პოზაში გამოეცადათ. მათი გამოსვლა წარმატებით დასრულდა. ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონებმა, რუსული სკოლის სიამაყემ ტატიანა ნავკამ და რომან კოსტომაროვმა, რომლებიც ფაიელა-სკალის წაქცევის შემდეგ პირჯვრის წერით გავიდნენ ყინულზე, შეუდარებლად იცეკვეს სამბა, რუმბა და სალსა. ვალის პირნათლად მოხდის შემდეგ მშვიდად გაემართნენ გასახდელისკენ. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, შეძლებდნენ თუ არა იტალიელთა საყვარელი სპორტსმენები რავენსბურგული ვალსის შემდეგ პირველ ადგილზე მყოფი ბარბარა ფუზარ-პოლი და მაურიციო მარგალიო პროგრამის უშეცდომოდ შესრულებას. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ პროგრამის დამთავრებამდე სამი წამით ადრე მაურიციო, ჰაერში ატაცების ნაცვლად, ბარბარას ყინულზე დაანარცხებდა. დარბაზმა ამოიგმინა, ნავკა-კოსტომაროვმა კი შვებით ამოისუნთქა. ეს იტალიური წყვილის ოქროს იმედების დასამარება იყო! 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტიში ბარბარა და მაურიციო მსოფლიო ჩემპიონების რანგში ჩავიდნენ და ოქროს მედლებზე ოცნებობდნენ, მაგრამ საჩვენებელ პროგრამაში მაურიციოს წაბორძიკების შემდეგ მხოლოდ ბრინჯაოს მედალიღა შეხვდათ. 2006 წელს სამშობლოში, რა თქმა უნდა, ისევ ოქრო სურდათ. ამიტომაც დაუბრუნდნენ სპორტულ ცეკვებს და ისევ იგივე უაზრო შეცდომა, ისევ მარცხი! ბარბარა ფუზარ-პოლი იმდენად შოკირებული იყო, რომ გასახდელში კინაღამ გული წაუვიდა, მაურიციო მარგალიოს დანახვაც კი აღარ უნდოდა. მეორე დღეს მაინც ერთად გავიდნენ ყინულზე და საჩვენებელი პროგრამა ძალდატანებით შეასრულეს. ოქროს მედლის ნაცვლად საბოლოოდ მეექვსე ადგილს დასჯერდნენ.

ოლიმპიური ჩემპიონები კი სწორედ ისინი გახდნენ, ვისაც ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა - ტატიანა ნავკა და რომან კოსტომაროვი. ვერცხლის მედალი ახალგაზრდა ამერიკელებს ტენიტ ბელბინს და ბენჯამენ აგოსტოს ერგოთ, ბრინჯაო კი უკრაინელ წყვილს ელენა გრუშჩინას და რუსლან გონჩაროვს, რომლებმაც ბოლო წუთამდე არ იცოდნენ, მოახერხებდნენ თუ არა პოდიუმზე ასვლას. ამბიციური ფრანგი წყვილი - იზაბელ დელობელი და ოლივიე შიონფელდერი სულ ახლოს იყვნენ მესამე ადგილთან, მაგრამ ბოლოს მაინც მეოთხე პოზიციაზე დარჩნენ და ვერაფრით ვერ მალავდნენ უდიდეს იმედგაცრუებას. რა გაეწყობა, ყველა შეჯიბრებაზე მხოლოდ სამი მედალი არსებობს!

ოლიმპიზმი

# "ოლიმპიური ვარსკვლავის" ოლიმპიური სიურპრიზი

მიხეილ აბაიშვილი

საზოგადოების განვითარების ხარისხის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ისაა, თუ როგორ აფასებს და უფრთხილდება ეს საზოგადოება თავის გმირებს. ადამიანები, რომლებზეც მაქვს საუბარი, არა მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონული მასშტაბის, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის გმირები არიან. მზია ჯუღელი, რობერტ შავლაყაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, ლერი ხაბელოვი და რომელი ერთი ჩამოვთვალო – ის ადამიანები არიან, რომლებმაც ოლიმპიური მწვერვალის დაპყრობით საქართველოს სახელი მთელ მსოფლიოს გააგებინეს. ეს გმირები დღესაც ჩვენ გვერდით არიან, საკუთარი პრობლემებით არავის აწუხებენ და უპრეტენზიოდ ცხოვრობენ. მათი არსებობა მხოლოდ იუბილეების ან რაიმე ღირსსახსოვარი მოვლენის დროს გვახსენდება. ბედად, ამ თვალსაზრისით ვითარება თანდათან უკეთესობისკენ იცვლება. გასაგებიცაა, რომ ამ საქმეში "პირველი ვიოლინოს" პარტიას თავად სპორტსმენები ასრულებენ.

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში დიდი სპორტულ-სოციალური ხასიათის საქველმოქმედო აქცია გაიმართა, რომლის ორგანიზატორი იყო ახლახან დაფუძნებული "ოლიმპიური ვარსკვლავი". თავად "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზენტაციაც სულ რამდენიმე დღის წინ, 14 თებერვალს შედგა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში". "ოლიმპიური ვარსკვლავის" დაფუძნების იდეა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ოლიმპიური ოქროს მედლების პირველ მფლობელებს გიორგი ასანიძეს და ზურაბ ზვიადაურს, ასევე საბერძნეთის სახელით ოლიმპიადაზე გამარჯვებულ ჩვენს თანამემამულეს ჯარჯი ზვიადაურს ეკუთვნით. "ოლიმპიური ვარსკვლავი" ჯერ მხოლოდ სამშენებლო პროექტია, არცთუ შორეულ მომავალში კი მისი სახით თბილისს ბრწყინვალე სპორტულ-საცხოვრებელი კომპლექსი შეემატება, რომელშიც საცხოვრებელ ფართთან ერთად იქნება სპორტული ბაზები, სამედიცინო აღდგენითი ცენტრი, მოედნები და სპორტული დანიშნულების სხვა ობიექტები. სწორედ "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზენტაციაზე დაიგეგმა საქველმოქმედო აქცია, რომელზეც ახალმა ოლიმპიელებმა მეოცე საუკუნის ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები მიიწვიეს და დაასაჩუქრეს. პრესტიჟული ბრენდის ფართოეკრანიანი ტელევიზორები და ვიდეოფლეერები – ასეთი ძღვენი მიიღო ოცდაათმა ვეტერანმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა "ოლიმპიური ვარსკვლავისგან". ჩვენს ვეტერან "ოქროს" ოლიმპიელებს სიხარულისა და მადლიერების დამალვა არც უცდიათ. მათზე მეტად კი თავად აქციის ორგანიზატორები იყვნენ გახარებულები. მათი თქმით, სპორტის, ოლიმპიური ტრადიციების პროპაგანდა ყოველთვის პრიორიტეტი იქნება და ამ აქციასაც სწორედ ამ კონტექსტში განიხილავენ.




*"ოლიმპიური ვარსკვლავის" სიურპრიზი.*

"საქართველოს ისეთი სპორტული ისტორია და ტრადიციები აქვს, როგორიც ბევრ, გაცილებით დიდ და მდიდარ ქვეყანას შეშურდება. ეს ისტორია, ტრადიციები და წარსული ჩვენმა დღევანდელმა სტუმრებმა, ჩვენმა სახელოვანმა და გმირმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა შექმნეს. მათ გამარჯვებებზე, მათ მაგალითზე მთელი თაობები აღვიზარდეთ. უზომოდ მიხარია, რომ დღევანდელი დღით ცოტათი მაინც გავულამაზეთ ცხოვრება ჩვენს უსაყვარლეს ოლიმპიელებს. ეს აქცია პირველია, მაგრამ არა უკანასკნელი. "ოლიმპიური ვარსკვლავი" კიდევ მრავალ მსგავს აქციას მოაწყობს", - განუცხადა "24 საათს" ათენის ოლიმპიურმა ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ.

"ჩვენმა სასიქადულო და ღვაწლმოსილმა სპორტსმენებმა უნდა დაინახონ, რომ მათი შრომა, ღვაწლი და ის სიხარული, რომელიც საქართველოს, ქართველ ხალხს მოუტანეს, ქართულ საზოგადოებას არ ავიწყდება. დღეს ბედნიერები ვართ, რომ უკვე ხანდაზმული, მაგრამ ლეგენდარული ჩემპიონების სიხარული ვიხილეთ. "ოლიმპიური ვარსკვლავი" ახალი დაფუძნებულია, თუმცა, დიდი გეგმები გვაქვს და კიდევ ბევრ სიურპრიზს შემოგთავაზებთ", - განაცხადა "ოლიმპიური ვარსკვლავის" დამფუძნებელმა მაია ანჯაფარიძემ.

"საჩუქრის ფორმას და ფასს ალბათ ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუმცა, ამ საჩუქარს ნამდვილად არაფერი აქვს დასაწუნი. უფრო მნიშვნელოვანი და სასიხარულო ისაა, რომ ვეტერან ოლიმპიელებს არ გვივიწყებენ. "ოლიმპიური ვარსკვლავის" დამფუძნებლებისადმი მადლობის მეტი რა გვეთქმის. ასეთი სითბო და ყურადღება თოთოეულ ჩვენგანს სასიცოცხლო ენერგიას მატებს", - ეს სამადლობელი სიტყვები ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონს ლერი ხაბელოვს ეკუთვნის.

ყველაზე დიდი სიურპრიზი კი მომდევნო ოლიმპიური თამაშების პირველ ქართველ გამარჯვებულს ელის. პეკინი 2008-ის პირველი ოქროსმედალოსანი კომპლექს "ოლიმპიურ ვარსკვლავში" საჩუქრად საცხოვრებელ ბინას მიიღებს.

# შუმერული იავნანა, რუსული ნაჯახი და ქართული ვაშლი

*ჰეროდოტე თავის "ისტორიაში" ასეთ ამბავს გვიამბობს: დარიოსმა, სპარსეთის მეფემ, ელინებს მოუხმო და ჰკითხა, რა ფასად შეჭამდნენ გარდაცვლილი მშობლების ცხედრებს. ელინებმა ეს შეკითხვა შეურაცხყოფად აღიქვეს. მაშინ მეფემ კალანტიელებს მიმართა (მათი წესის თანახმად, გვამების ჭამა ჩვეულებრივი ამბავი იყო), მიცვალებულებს კოცონზე თუ დაწვავთო და ეს ხალხიც ზომაზე მეტად განარისხა. ჰეროდოტე დასძენს, ახლა კი დავრწმუნდი, წეს-ჩვეულებები ყველაფრის მეფეაო. როგორც ჩანს, დარიოსის დროს კულტურათა დიალოგი არ შედგა. 25 საუკუნის შემდეგ ბერნარდ შოუ ამ პრობლემას სხვა კუთხით უდგება და ერთ საინტერესო შედარებას გვთავაზობს: როცა ორი ადამიანი ერთმანეთს ვაშლებს უცვლის, ორივეს თითო ვაშლი რჩება, მაგრამ ეს ორი კაცი იდეებს თუ გაცვლს, ორივეს ორ-ორი იდეა შერჩება.*
*ქართველებს მიცვალებულები არასოდეს შეგვიჭამია; ცხედრების დაწვას ბრინჯაოს ხანაშივე გადავეჩვიეთ; რაც შეეხება ვაშლებსა და იდეებს, ჯერჯერობით ბლომად გვაქვს. საკითხავია, დღეს რის რეალიზაციას მოვახდენთ უკეთ – ვაშლების თუ იდეების? ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარია გამსახურდიას მთავრობაში საგარეო საქმეთა უწყებას ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ ორი პრეზიდენტი და სხვადასხვა პროფესიის ექვსი საგარეო საქმეთა მინისტრი გამოვიცვალეთ. დიპლომატიის ენა ერთგვაროვანი არ არის და, როგორც წესი, პოლიტიკური კურსის ცვალებადობაზეა დამოკიდებული. მაგრამ ამ "ენაში" არის რამდენიმე სიტყვა, რომელსაც ყველა დიპლომატი წარმატებულად იყენებს სხვათა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ქართულ კულტურაზე მოგახსენებთ.*


იური მეჩითოვის ფოტო

სოფიო თოდუა

**- ხშირად, როცა კულტურაზე ვლაპარაკობთ, ხელოვნებას ვგულისხმობთ, უფრო ზუსტად, ხელოვნების რომელიმე კონკრეტულ დარგს. ეს ფაქტი იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ სინამდვილეში კარგად არ გვაქვს გაცნობიერებული, რა ფენომენია კულტურა?**

- თუ თქვენც ისე სვამთ საკითხს, როგორც მე, შესაძლოა, ასეც იყოს. დავიწყოთ იმით, რომ კულტურა მთლიანობის გარეშე არ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო ან არის კულტურა, ან – არა. ისინი ერთმანეთზე მოქმედებენ პირდაპირ ან ირიბად. ეს განსაკუთრებით მაშინ შევიგრძენი, როცა ხელისუფლებაში ყოფნა მომიხდა. ხელოვნებაში კიდევ შეიძლება ლაპარაკი კულტურულ ცხოვრებაზე, თუმცა იქაც ბევრი რამ გასარკვევი და დასაზუსტებელი, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის დონე საქართველოში ძალზე დაბალია. სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში არცაა გასაკვირი, მით უფრო მაშინ, როცა რუსეთის იმპერიის ნაწილი ხარ. ამას წინათ ერთი საზარელი მკვლელობა მოხდა – ახალგაზრდა კაცი ჯერ აწამეს და მერე ყინვაში ტყეში დატოვეს. ესეც, სხვათა შორის, კულტურაზე, უფრო სწორად, კულტურის ნაკლებობაზე მეტყველებს. მკვლელობა ყოველთვის საზარელი ფაქტია, მაგრამ კაცი შესაძლოა, ნაჯახითაც მოკლა (რასკოლნიკოვი გაიხსენეთ) და საწამლავითაც (ეს უკვე იტალიელთა ხელწერაა).

**- სხვა იმპერიის შემადგენლობაში რომ ვყოფილიყავით, უფრო მაღალი მოქალაქეობრივი კულტურა გვექნებოდა?**

- იმის თქმა მინდა, რომ თავად რუსეთი სოციალური და პოლიტიკური კულტურის დონით ვერ დაიკვეხნის და ამასაც, სხვათა შორის, სერიოზული მიზეზები აქვს. საქმე ისაა, რომ ეს უზარმაზარი იმპერია ოქროს ურდოს ყველაზე ცუდი ტრადიციების მემკვიდრე აღმოჩნდა. ფაშისტი არა ვარ, მაგრამ სისხლს გარკვეული მნიშვნელობა რომ აქვს, ეს უდავოა. ახლა რაც გითხარით, ჩემი მოსაზრება არ გეგონოთ, იგივეს მარქსიც ამტკიცებდა თავის "ინგლისურ დღიურებში", რომელსაც საბჭოთა პერიოდში თარგმნა არ ეღირსა. რუსეთმა ბიზანტიისგანაც ცუდი უფრო მეტი შეითვისა, ვიდრე კარგი. ბიზანტიის იმპერიაში ფეოდალიზმი კლასიკური გაგებით არც ყოფილა. როგორც ჩანს, ბიზანტიის მაგალითზე ბევრს რატომღაც ჰგონია, რომ ფეოდალიზმი უარყოფითი მოვლენა იყო. არადა, თავის დროზე ის ძალიან პროგრესული სოციალური წყობა იყო - პიროვნული საწყისის წინა პლანზე წამოწევა ამ ფორმაციის მონაპოვარია. კლასიკური ფეოდალიზმი იყო დასავლეთ ევროპაში, მეტ-ნაკლებად ცენტრალურში, ნაწილობრივ იაპონიაში. ბიზანტიასთან ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მიუხედავად, რომელიც ისეთივე დამპყრობელი იყო, როგორც სხვები, ჩვენი სამოქალაქო კულტურა სწორედ რუსეთის ბატონობის შედეგად დაეცა ასე დაბლა. რუსული ჩინოვნიკური აპარატის წნეხიდან გამოსვლა იმდენად ძნელი აღმოჩნდა, ამ პრობლემის დაძლევა დღემდე გვიჭირს. ყოვლად დაუშვებელია, იმ ეპოქაში, როდესაც კარავს ვითხოვდით, სოციალური კულტურა არ გვქონოდა. სხვაგვარად როგორღა უნდა ავხსნათ გასაოცარი მიდრეკილება ევროპისკენ, რომელიც სულხან-საბას და ვახტანგ VI-ის გარემოცვას ჰქონდათ? ესეც საქართველოს ბედი თუ უბედობაა - წავიდა ვახტანგი და თან წაასხა რამდენიმე ათასი განათლებული ქართველი. მოგვიანებით ბოლშევიკურმა აგრესიამ, რომელსაც განსწავლული ფენის ფიზიკური განადგურება მოჰყვა, საზოგადოების დეგრადირება და კონფორმიზაცია გამოიწვია. შემთხვევითი როდია, რომ იმ დროიდან მოყოლებული სიტყვა "ინტელიგენტი" ერთგვარ მოვეტონად იქცა. ცხადია, გამორჩეული პიროვნებები, თავი ღირსეულად რომ ეჭირათ, ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ინტელექტუალური ელიტა, რომელიც ყველა საზოგადოებაში ტონის მიმცემია, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა.

**- დღეს ხშირად ლაპარაკობენ, რომ ქართული კულტურა კრიზისშია. ვიღაცას ეს აღიზიანებს და თვლის, რომ ყოველ ოც წელიწადში ერთხელ რამდენიმე გალაკტიონი, ფიროსმანი და ფალიაშვილი არ დაიბადება. სხვების აზრით, თუ დროზე არ მოვეგებით გონს, ქართული კულტურა სამუზეუმო ექსპონატად იქცევა. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შავად და თეთრად არაფერს არ ვღებავ, კრიზისი, რა თქმა უნდა, არის. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა სახელს გამოვუძებნით ამ პროცესს: კრიზისს, უკმარობას თუ კულტურის ნაკლებობას. სამწუხაროდ, მარტო ჩვენთან არ ხდება ასე. ეს გლობალური პრობლემაა და, შესაბამისად, საქართველო ამ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ. ორტეგა ი გასეტს დავესესხები (სხვათა შორის, ის მთელ დასავლეთ ევროპას თავის სამშობლოდ აღიქვამდა): სადღაც ნორვეგიაში ლექსების წერა თუ შეწყვიტეს, მე ესპანეთში განგაში უნდა ავტეხოო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რა ეპოქაში ვცხოვრობთ. დემოკრატია მაქვს მხედველობაში. ჩერჩილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატია მმართველობის ცუდი ფორმაა, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე უკეთესი არ არსებობს. აინშტაინსაც გავიხსენებ: ვიცი რა დემოკრატიის ყველა მინუსი, მაინც ის მირჩევნიაო. გასაგებია, რომ ამ ეტაპზე ჩვენ დემოკრატიის დადებითი მხარეები უნდა გადმოვიღოთ, მაგრამ მისი თანამდევი უარყოფითი მოვლენებიც არ უნდა დავივიწყოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა დემოკრატია ზედაპირულ ხასიათს ატარებს. კულტურაში ზედაპირულობას კი ერზაცკულტურამდე მივყავართ.

**- გლობალიზაციას გულისხმობთ?**

- არა მხოლოდ გლობალიზაციას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გავაცნობიეროთ, რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოში – კარგიც და ცუდიც.

**- საერთოდაც თუ არსებობს კულტურა გლობალიზაციის გარეშე?**

- არადიფუზირებული კულტურა მართლაც არ არსებობს. თუ შენ ძლიერი გენი აღმოგაჩნდება, მაშინ უცხო კულტურა შენსას საფრთხეს არ უქმნის, პირიქით, ამდიდრებს მას და ეს ძალიან კარგია. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველო და ქართული კულტურა, ან თუნდაც საბერძნეთი, რომელმაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფინიკიური ანბანი აიღო. მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რა საფრთხე მოჰყვება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ეს პრობლემა არც დღევანდელია და არც გუშინდელი, იგი სადღაც მე-17 საუკუნიდან, ახალი დროიდან იღებს სათავეს. სწორედ ამ დროს იწყება შემოქმედების მართვა ევოლუციის კანონების თანახმად, რაც, თავის მხრივ, დიფერენციაციასა და სპეციალიზაციაზეა დაფუძნებული. ადამიანი ხდება ერთი დარგის პროფესიონალი, მაგრამ სანაცვლოდ სხვა სფეროს სწყდება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ბურჟუაზიული შეზღუდულობა, გნებავთ, მეშჩანობა, რის წინააღმდეგაც გამოდიოდა ყველა დიდი შემოქმედი.

**- ასე იქამდე მივალთ, რომ ბევრი დღესაც, ისევე როგორც უწინ, ვერ ხედავს სხვაობას კულტურასა და ცივილიზაციას შორის...**

- ჩვენში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, კულტურის ეკოლოგიაზე ნაკლებად ფიქრობენ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველამ ვიცით, რა დაემართა თავის დროზე ამერიკელ ინდიელთა კულტურას. თავისთავად კულტურა არ შეიძლება უარყოფითი იყოს. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ არა უცხო კულტურის ცუდ მხარეებზე, რაც ნონსენსია, არამედ ცივილიზაციის მავნე ელემენტებზე, რომელიც კულტურაში შემოდის და ხშირად ამა თუ იმ ხალხის სულიერ ცხოვრებაზე ცუდ გავლენას ახდენს. მაგრამ აქ ისიც უნდა ვიკითხოთ: ჩვენ თვითონ კი გვაქვს გაცნობიერებული, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ? ვიცით კი, რომ უძველესი სამყაროს ნამსხვრევი ვართ? რა თქმა უნდა, ევროპელები ვართ, მაგრამ ევროპაც არაა ერთგვაროვანი. ჩვენ, ქართველები, ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის ნაწილი ვართ, თანაც ძალიან ძველი ნაწილი. რუკას რომ დავხედოთ, ვნახავთ, რომ ამ რეგიონში, რომელსაც წინა აზია და ახლო აღმოსავლეთი ჰქვია, ისეთი მაღალი კულტურის ერები გაქრნენ, როგორებიც იყვნენ შუმერები, აქადეველები, ურარტუელები, ასურელები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, ხეთები. ჩვენ იმ ფესვებიდან ამოზრდილი ხალხი ვართ. დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, დედა რომ შვილს "იავნანას" უმღერის, ის აქადურ-შუმერულ ქალღმერთ იშთარ-ინანას ეხმიანება.

**- იმ ძველი ერებისგან განსხვავებით, ჩვენ მაინც გადავრჩით. აქედან გამომდინარე, გვაქვს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო საზღვრების გაქრობა კულტურული საზღვრების მოშლას არ გამოიწვევს?**

- საზღვრები ადრე თუ გვიან, რა თქმა უნდა, მოიშლება, მაგრამ კულტურული საზღვრები არავითარ შემთხვევაში არ გაქრება. საშიში ის კი არ არის, რომ მთელ მსოფლიოში ერთი ფული შემოვა მიმოქცევაში, არამედ ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ. კულტურა არ იქმნება მხოლოდ ნიჭიერების ხარჯზე, კულტურული ტრადიციაც აუცილებელია.

**- მაგრამ ხშირად ძნელი გასარჩევია, სად გადის ზღვარი ტრადიციასა და პროვინციალიზმს შორის. ეს პრობლემა, ბუნებრივია, ქართულ კულტურაშიც დგას...**

- ასე ვიტყოდი: ქართულ კულტურას კლდიაშვილის, ვაჟასა თუ ფიროსმანის შემდეგ პროვინციალიზმის ელფერი დაჰკრავს.

**- მათ შორის გალაკტიონსაც?**

- გალაკტიონი რომ გენიოსი იყო, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ორქიდეები, მარმარილოები... მართალია, გალაკტიონზე ვარ გაზრდილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მასში არ დავინახო ის, რისი დანახვაც არ მინდა.

**- პროვინციალიზმმა მონუმენტებისადმი დაუოკებელ სწრაფვაშიც იჩინა თავი?**

- ესეც, რა თქმა უნდა, პროვინციალიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მაგრამ აქ საქმე კიდევ უფრო რთულადაა. პოსტსტალინური ლიბერალიზაციის შემდეგ გაჩნდა ილუზია, რომ ქართული კულტურა განთავისუფლდა საბჭოთა წნეხისგან, ხელოვნებაში უკვე მივაღწიეთ მსოფლიო სტანდარტებს და მონუმენტების უთავბოლო დადგმას მივყავით ხელი, თანაც ამ ყველაფერს ფსევდოეროვნული დამღა მივაკარით. მგონი, დროა, მოვლენები სათანადოდ შევაფასოთ. ეს იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ამ მხრივ დღესაც ბევრი არაფერი შეცვლილა. ავიღოთ 9 აპრილის მონუმენტი, რომელიც პრეზიდენტის გადაწყვეტილებით სასწრაფოდ უნდა დაიდგას. მონუმენტს, როგორც წესი, განსაკუთრებული სოციალურ-კულტურული მნიშვნელობის პიროვნებასა თუ მოვლენას უდგამენ. შესაბამისად, ნაჩქარევი გადაწყვეტილება საქმეს წაახდენს. ამ შემთხვევაში მე პრეზიდენტს ვერ გავკიცხავ, პასუხი მის მრჩეველს ან კულტურის მინისტრს უნდა მოვკითხო. მათ უნდა აუხსნან ქვეყნის პირველ პირს, რომ ასე მოკლე დროში შეიძლება ყაზარმა ააშენონ ან გზა გაიყვანონ. ხელოვნებაში ასე არ ხდება. სულ ცოტა, კონკურსი მაინც უნდა გამოცხადდეს. შესაძლოა, ისეც მოხდეს, პირველ და მეორე ჯერზე საერთოდ არ გამოვლინდეს გამარჯვებული. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ 37 წელს რეპრესირებულებს უხეირო მონუმენტს დაუდგამენ, რადგან აქაც, ისევე როგორც 9 აპრილის შემთხვევაში, სიყალბე მთლიანად იმ ფენის სულში ჩაფურთხება იქნება, ვინც კომპრომისზე არ წავიდა და ფიზიკურად განადგურდა. საქართველოში ძეგლების 90 პროცენტი ასაღებია. ამათი აღება არ გინდა?! ჯერ კიდევ 1956 წელს იხვეწებოდა გიორგი ჩუბინაშვილი, ნუ დავდგამთ გორგასლის ძეგლსო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა და მაინც დადგეს.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს რომ რუსთაველის დონის პოეტი გაჩნდეს, ლექსს მაღალი და დაბალი შაირით გააწყობს? ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ, მგონი, დავკარგეთ დროის შეგრძნება...**

- ის, რაც დღეს საქართველოში ძეგლებთან დაკავშირებით ხდება, პომპეზურობისკენ სწრაფვა უფროა, ვიდრე მონუმენტალიზმით ტკბობა. რა თქმა უნდა, ყველა ეპოქას ხელოვნებაში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილის დამკვიდრება მოსდევს, რასაც, თავის მხრივ, ბევრი ფაქტორი განაპირობებს. შემთხვევითი არ არის, რომ ლეონარდო ფლორენციაში გაჩნდა – ის ყაზახეთში ვერ დაიბადებოდა. გაიხსენეთ, როგორი აჟიოტაჟი მოჰყვა ვაჟა მელიქიშვილის სკულპტურას. ჩემთვის რომ ეკითხათ რჩევა, შესაძლოა, ეს ძეგლი "ცისფერ გალერეასთან" არ დამედგა, მაგრამ სადღაც აუცილებლად დავდგამდი. საინტერესოა, ელენე ახვლედიანის ძეგლი (მომიტევეთ, მზესუმზირის გამყიდველი ქალივით რომ ზის), თვალში არავის ხვდება? ან ქართლის დედა დღესაც ყველას მოსწონს? აი, ამაზე უნდა იყოს ლაპარაკი.

**- ვინ უნდა ილაპარაკოს?**

- ვინ და სახელმწიფომ. ბოლოს და ბოლოს, რისთვის არსებობს კულტურის სამინისტრო – მხოლოდ იმიტომ, რომ იქ დასაქმებულმა ჩინოვნიკებმა ჯამაგირი მიიღონ? პრეზიდენტს იმას არ ვთხოვ, კულტურის საკითხებში ზედმიწევნით კარგად ერკვეოდეს, მაგრამ იმას კი მოვითხოვ, კარგი მრჩევლები და კარგი კულტურის მინისტრი იყოლიოს.

**- პოსტსაბჭოთა პერიოდში ვინმეს, მათ შორის გამსახურდიასაც, რომლის მთავრობის წევრიც თქვენ ბრძანდებოდით, ჰქონდა გააზრებული, როგორი უნდა ყოფილიყო კულტურის პოლიტიკა? ხომ არ შეიძლება, სიმართლეს თვალი არ გავუსწოროთ და არ დავინახოთ, რომ დღეს საზოგადოებრივი დაკვეთა სულ სხვაა, ვიდრე საბჭოთა პერიოდში იყო? ოღონდ ნუ მეტყვით, რომ გამსახურდიას არ დასცალდა...**

- გამსახურდიას რა დასცალდა და რა არა, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთ მაგალითს მაინც მოვიყვან: მხატვრის სახლში, რომელსაც დღეს მხატვრებს აღარ უბრუნებენ, სამების საკათედრო ტაძრის პროექტები იყო წარმოდგენილი. კომისიამ ყველა მათგანი დაიწუნა და კონკურსის ხელახლა გამოცხადებას ვაპირებდით. გამოდის, რომ აქაც პომპეზურობასთან გვაქვს საქმე: მთავარია გვქონდეს დიდი ეკლესია. ისევ კულტურის პოლიტიკას რომ მივუბრუნდეთ, დარწმუნებული ვარ, რომ, მაგალითად, ლაშა ბაქრაძე ბევრად უკეთესი კულტურის მინისტრი იქნებოდა. სხვებიც მოიძებნებიან – დღევანდელ მინისტრზე გამოცდილები და მოწიფულები.

**- მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლება კულტურაზე მეტად ზრუნავს, ვიდრე უწინდელი?**

- ძალიან კარგია, რომ ხელისუფლებამ კულტურული მემკვიდრეობა პრიორიტეტად დასახა. ისე, ამაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, ეს იმთავითვე გარკვეული უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ატენის სიონი მხოლოდ ქართველების პრობლემა არ არის. ცალკე მსჯელობის საგანია ჩვენი მუზეუმები და სამუზეუმო ექსპონატების სხვა ქვეყნებში გატანა. ამ განცხადების გამო შესაძლოა, კოცონზე დამწვან, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, ფიროსმანის რამდენიმე ტილოს სოთბის აუქციონზე გავიტანდი. ამით მის ფასსაც ავწევდი და ქართული ხელოვნების პოპულარიზაციასაც შევუწყობდი ხელს. ჩვენ თვითონ ვუვლით კი ფიროსმანს? პომპიდუს ცენტრს რომ ამშვენებდეს ფიროსმანაშვილის ტილოები, განა ის ქართველი მხატვარი აღარ იქნება? რა, "მონა ლიზა" ლუვრში რომ კიდია, ლეონარდო და ვინჩი ფრანგი მხატვარია? არადა, შინ თუ გარეთ რამდენი კარგი ექსპოზიციის გაკეთება შეიძლება.

**- როგორ უნდა ემართათ კულტურა, ეს კომუნისტებმა კარგად იცოდნენ. ამის მიუხედავად, იყო 60-იანელთა თაობა, რომელმაც ქართულ კულტურას კალაპოტი შეუცვალა, თუ, რასაკვირველია, აქაც გადაჭარბებულად არ ვაფასებთ გასულ საუკუნეში მომხდარ პროცესებს...**

- 60-იანელები აშკარად ნიჭიერი თაობა იყო, მაგრამ ისინი რომ გავაიდეალეთ, ესეც ფაქტია. როგორც ჩანს, წარმატებამ თავბრუ დაგვახვია და ვირწმუნეთ, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვქმნიდით. არადა, ნიკოლოზ კანდელაკი ბევრად უკეთესი ხელოვანი იყო, ვიდრე შემდეგი თაობის მოქანდაკეები, ჩვენ რომ მურებად და როდენებად შევრაცხეთ. კანდელაკის "ფილიპე მახარაძე" ან გურამ კორძახიას "ვლადიმერ მაიაკოვსკი", როგორც მონუმენტი, სხვებს ბევრად აღემატებოდა. ვიღაც განვითარდა, ვიღაც - ვერა. მაგალითად, ედმუნდ კალანდაძის მიერ გააზრებული ფერწერა უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე სხვების – ამიტომაა ის სხვებზე უკეთესი მხატვარი. მთავარია, საღად შევაფასოთ ეს პერიოდი. ნურც იმას ვიტყვით, რომ არაფერი მომხდარა და ნურც იმის მტკიცებას მოვყვებით, რომ საქართველოში ამ დროს მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები შეიქმნა.

**- შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ გვყავს 70-იანელები, 80-იანელები, 90-იანელები?**

- იმ საზომით თუ მივუდგებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, ოთხმოციანელებიც არიან და ოთხმოცდაათიანელებიც. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ხელოვნებას ასწავლიან, რადიკალურადაა შესაცვლელი. იქ დღემდე მხოლოდ ნიჭიერებაზე კეთდება აქცენტი. არადა, ვან გოგს თეო რომ არ ჰყოლოდა, ის დაიკარგებოდა და პიკასოც, როგორც მხატვარი, ვერ შედგებოდა, პარიზში რომ არ მოხვედრილიყო.

## გალერეა „დიდი" და „ზამთრის პეიზაჟები"



ერეკლე მეორის ქუჩა № 13-ში მდებარე გალერეა "დიდი" 24 და 25 თებერვალს ოლეგ ცქიტიშვილის, როდიონ შკინინისა და თაზო მოსიაშვილის "ზამთრის პეიზაჟებს" წარმოადგენს. ფოტოკამერით გადმოცემული ბორჯომი, ბაკურიანი, კოჯორი – კლასიკური, არქიტექტურული და სულიერი განწყობითაა სავსე. დღისა და ღამის შერწყმა თოვლში, სითბოსა და სიცივის თამაში ავტორთა მთავარი თემაა.

- არ მიყვარს მუშაობა ხალხის გარეშე. ადამიანთა მანერები, ხასიათი მაძლევს საშუალებას მივიღო ეფექტური ფოტოები, რადგან მათში ძალიან დიდი ემოციაა. ეს კი სიამოვნებას მგვრის. 1 400 მეტრიდან კოჯორიც ძალინ ემოციური იყო...

საგამოფენო დარბაზში ერთმანეთს ენაცვლება ვივალდი, ჩაიკოვსკი და კარაიანი, რადგან ავტორების თქმით, მუსიკა ყოველთვის ერწყმის ბუნებას, ბუნება კი მუსიკას.

- ეს ჩვენი პირველი გამოფენაა. გვინდა იგი სეზონური გავხადოთ. ამიტომ უახლოეს მომავალში რაჭას ვესტუმრებით...

## რუსეთი კინოდაჯილდოებისთვის ემზადება

17 მარტს რუსული კინოდაჯილდოება "ნიკას" მორიგი ცერემონიალი გაიმართება, სადაც პრემია გადაიცემა 18 ნომინაციაში. წლევანდელ დაჯილდოებაზე წარდგენილი იყო 119 ნამუშევარი, 41-დოკუმენტური ფილმი, 26 - მულტიპლიკაციური და 49 -მხატვრული ფილმი. 21 თებერვლიდან 11 მარტამდე ჩაივლის არჩევნების მეორე ეტაპი, რომლის მიხედვითაც გადაწყდება, 2006 წელს ვინ გახდება "ნიკას" გამარჯვებული. პრემიის ლაურეატებს დაჯილდოების ცერემონიალზე დაასახელებენ.

ყველაზე საპატიო ნომინაციაში ("კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის") გამარჯვებულის ვინაობა უკვე ცნობილია, ჯილდოს კინოკრიტიკოსი ნეა ზორკაია მიიღებს. ხოლო ნომინაციაში "დამსახურებული რეჟისორი" ჯილდო გადაეცემა მარლენ ხუციევს.

ნომინაციაში "საუკეთესო ფილმზე" წარდგენილი იქნება სამი ფილმი: "მეცხრე კარიბჭე", "გარპასტუმი" და "იტალიელი"

წლის "საუკეთესო რეჟისორის" ნომინანტები არიან ფიოდორ ბონდარჩუკი ("მეცხრე კარიბჭე"), ალექსეი გერმან-უმცროსი ("გარპასტუმი") და ანდრეი კრავჩუკი ("იტალიელი").

ხოლო "საუკეთესო მსახიობის" ტიტულისთვის "იბრძოლებენ" ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორებიც არიან ნიკიტა მიხალკოვი, ევგენი მირონოვი, ალისა ფრეინდლიხი, ჩულპან ხამატოვა და სხვები.

ცალკე კატეგორიაში შეირჩევა ასევე ბალტიისა და ჟნდ- ეს ქვეყნების ნამუშევრები, რომლებიც დაჯილდოებისას კონკურენციას არ გაუწევს რუსულ ფილმებს.

ყველაზე მეტ, შვიდ ნომინაციაზე წარდგენილია ფილმები "მეცხრე კარიბჭე" და "გარპასტუმი".

## შვიდი მილიონი ფრიდასთვის

სოთბის აუქციონის ექსპერტებმა ამ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ ისახელეს თავი. შვიდ მილიონ დოლარად შეფასდა მექსიკელი მხატვრის ფრიდა კალოს ავტოპორტრეტი სახელად "ფესვები". სააუქციონო ვაჭრობა ნიუ იორკში მაისში გაიმართება. სოთბი ვარაუდობს, რომ ეს ნამუშევარი ამ ავტორის ყველაზე ძვირად ღირებული ქმნილება გახდება.

"ფესვები" ზეთით არის შესრულებული, თუმცა არა ტილოზე, არამედ ლითონის ფურცელზე. იგი 1943 წელს შეიქმნა, სწორედ მაშინ, როცა ფრიდა დიეგო რივერასთან მეორედ დაქორწინდა. კრიტიკოსები ფიქრობენ, რომ 40-იანი წლები ფრიდა კალოს შემოქმედების საუკეთესო პერიოდია, დრო, როცა ყველაზე საინტერესო ნამუშევრები შექმნა. "ფესვები" კი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის.

აქამდე კალოს ნახატების რეკორდული ღირებულება ხუთი მილიონი დოლარი გახლდათ. რაც შეეხება "ფესვებს", მისი პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა 2005 წლის შემდეგ, რაც დიდად განაპირობა ლონდონურ გალერეა "ტეიტში" გამართულმა ფრიდა კალოს ნამუშევრების გამოფენამ. ეს ექსპოზიცია ამ საგამოფენო დარბაზის არსებობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული გამოდგა. გამოფენა 370 ათასმა ადამიანმა დაათვალიერა.


საქართველოს **სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო**, საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ **2006** წლის 13 თებერვალი გაზეთ "24 საათში" განთავსებულ **სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის** მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1. **განცხადებაში მითითებული როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის საკვალიფიკაციო მონაცემებში მოთხოვნილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების შესახებ ლიცენზია ამოღებულია**.



განცხადება

სახალხო დამცველის აპარატის სატენდერო კომისიას შეაქვს შესწორება მის მიერ 2006 წლის 10 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ.

კერძოდ: პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების და სატენდერო წინადადების მიღების საბოლოო ვადა ნაცვლად 2006 წლის 3 მარტის 11.00 საათისა გადატანილ იქნას 2006 წლის 12.00 საათზე.

# პარალელები საქართველოსთან

პირველი გვერდიდან

2003 წელს ჯერ კიდევ უცნობი ვინტერბოტომი უკვე დაჯილდოვდა მთავარი პრიზით, წელს კი მხოლოდ საუკეთესო რეჟისორის ტიტული დაიმსახურა. ფილმი ერთმნიშვნელოვნად ანტიამერიკული იყო.

**გზა გუანტანამოსკენ.** დიდი ბრიტანეთის მოქალაქე სამი ახალგაზრდა ავღანელი ბიჭი პაკისტანში მოხვდება. აქ მათ შესაძლებლობა მიეცემათ ავღანეთში გაჭირვებული ხალხის დასახმარებლად წავიდნენ. ავღანეთში ჩასვლიდან მეორე დღესვე ისინი ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე ამერიკელთა ტყვეობაში აღმოჩნდებიან. დიდი ხნის განმავლობაში მათ ამ ბაზაზე ამყოფებენ. ყოველდღიურად სხვადასხვა მეთოდით დაკითხვას უწყობენ, ცდილობენ გამოტეხონ და გამოააშკარაონ თინეიჯერი ბიჭების საიდუმლო კავშირი ბინ ლადენთან. კითხვები აბსურდულია, გამოტეხვისა და წამების ფორმები კი - მრავალჯერ ნაცადი, ძველი და ნაცნობი. ეს დოკუმენტური ისტორია მაიკლ ვინტერბოტომის მხატვრული ფილმის სიუჟეტია. ფილმი ნამდვილ ამბავს გვიყვება. სცენარის, ასე ვთქვათ, ავტორები მთავარი გმირები არიან, რომლებიც თავს გადამხდარ ისტორიას ისე ყვებოდნენ, როგორც ერთი არდადეგების შესახებ, ოღონდ ეს იყო ჯოჯოხეთში გატარებული არდადეგები, – ამბობს რეჟისორი. ფილმს ანუ ამ ნამდვილ ამბავს თავად რეჟისორი საკმაოდ საინტერესოდ აფასებს. **“გვინდოდა გვეჩვენებინა განსხვავება იმ ისტორიებში, რომლებსაც ბუში და ბლერი გვიყვებიან და რომლებიც სინამდვილეში არსებობს; ბიჭები, რომლებმაც გუანტანამოში გატარებული დღეების შესახებ გვიამბეს და რომლებიც ამერიკული სახელმწიფოსთვის ყველაზე საშიშ ტერორისტებად იყვნენ გამოცხადებულნი; დავინახეთ, რომ ეს ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება, ისინი სრულიად ჩვეულებრივი თინეიჯერები არიან”.**

ფილმი ზედმეტად ტენდენციურია, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მხარე და ჩანს ავტორის პოზიცია – ასეთი იყო კრიტიკოსთა ერთი ნაწილის პრეტენზია ვინტერბოტომის მიმართ. ვფიქრობ, პრეტენზიები სრულიად გაუმართლებელია; კინორეჟისორი არ არის ჟურნალისტი, რომელსაც მაქსიმალური ობიექტურობა მოეთხოვება. მას სრული უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი პოზიცია, ან წარმოადგინოს მხოლოდ ერთი მხარე. ტერორიზმისა და ტერორისტების შესახებ დღეს მსოფლიო მედია ბევრს საუბრობს და ყველასთვის ცხადია, რომ ეს ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი მოვლენაა. მაგრამ არც ბოროტება არსებობს ცალმხრივი და ყველა ტერორისტულ აქტს, როგორც შედეგს, თავისი მიზეზი აქვს. ვინტერბოტომი ამ მიზეზებზე მხოლოდ ფარულად საუბრობს, ის ღიად აკრიტიკებს ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს, წარმოგვიდგენს მათ შეცდომებს და მიგვანიშნებს პერსპექტივაზე, რომ შესაძლოა ამ სამი ახალგაზრდა ბრიტანელი ავღანელის სახით მომავალში ტერორისტები მივიღოთ. მაგრამ მაშინ, როდესაც ბრიტანელ რეჟისორს აკრიტიკებდნენ და ტერორისტების თანაგრძნობაში სდებდნენ ბრალს, აშკარა იყო, რომ კრიტიკოსები არ ულრმავდებოდნენ ფილმში მოცემული იდეის არსს. მსგავსი პრობლემის წინაშე, რასაკვირველია, საქართველოც შეიძლება აღმოჩნდეს და ამის ნიშნები უკვე არის. მაგალითად, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის კონკურსში გამარჯვებული სცენარის დაფინანსებაზე შესაძლებელია ქვეყნის პირველმა პირებმა უარი თქვან. საქმე ის არის, რომ სცენარში მოთხრობილია ახალგაზრდა ტერორისტი ქალის ისტორია ტრაგიკული ფინალით. დარწმუნებული ვარ, ძლიერთა ამა ქვეყნისა სცენარი არ წაუკითხავთ და თუ წაიკითხავენ, ვერ ჩაწვდებიან იდეის არსს და ამ სცენარს ტერორიზმის პროპაგანდად მიიჩნევენ, მთავარ გმირს კი იდეალურ გმირად მონათლავენ. ამგვარი სწორხაზოვნებისა და პრიმიტიულობისკენ ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით პოლიტიკური ელიტა ისედაც მიდრეკილია, ცენზურის დაწესება კი მათი შინაგანი მოთხოვნილებაა, რომელსაც არასდროს ეტყვიან უარს და ყოველთვის ყველა ბერკეტსა და შესაძლებლობას გამოიყენებენ. ქვეყანაში, სადაც ჯორჯ ბუშის ქუჩაა, რასაკვირველია, დაუშვებელია ფილმი, რომელშიც ტერორისტიც ადამიანია.

მრავალი კრიტიკული შენიშვნის მიუხედავად, ვინტერბოტომის ფილმი ოქროს დათვის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო, მაგრამ, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, ის ერთხელ უკვე გახდა ბერლინის რჩეული და ახლა სრულიად უცნობ ავტორს მიენიჭა უპირატესობა.



გზა გუანტანამოსკენ.




ფესტივალის ემბლემა.



GRBAVICA.

## ოქროს დათვი - ისევ პარალელები საქართველოსთან

31 წლის ბოსნიელი კინორეჟისორის ჟასმილა ზბანიცის ფილმი **GRBAVICA**.

მარტოხელა დედა ომის შემდგომი სარაევოს ერთ-ერთ გარეუბანში 12 წლის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. გოგონას ექსკურსიაზე უნდა წასვლა. ამისთვის 200 ევრო სჭირდება, მაგრამ არსებობს შეღავათებიც. ომში გმირულად დაღუპულ მებრძოლთა შვილებს გადასახადის საფასური უნახევრდებათ, თუ ისინი მამის ომში დაღუპვის დამადასტურებელ საბუთს მიიტანენ. სარა, რომელმაც იცის, რომ ის სამშობლოსთვის თავდადებული გმირის შვილია, დედას დაჟინებით სთხოვს ამ საბუთს. როდესაც ესმა, სარას დედა, სკოლაში გადასახადის სრული თანხით მივა, თანხით, რომელიც ბევრი უძილო ღამისა და ვალების წყალობით შეაგროვა, სარა ხვდება, რომ 12 წლის მანძილზე შექმნილი წარმოდგენა გმირი მამის შესახებ სრული ილუზია იყო. ოჯახში დატრიალებული კონფლიქტის შემდეგ სარასათვის ცნობილი ხდება, რომ ის დედამისის გაუპატიურების შედეგად გაჩნდა ამ ქვეყანაზე.

გმირი არა მხოლოდ ქართველს, ყველას სჭირდება, თუნდაც წარმოსახვითი და გამოგონილი. მისი მეშვეობით არსებობა გაცილებით იოლია. იმისთვის, რომ ომის საშინელება ვიგრძნოთ, ბატალური სცენების ჩვენება არ არის საჭირო. ომი არ არის მხოლოდ ბრძოლის ველზე სიკვდილი, ის დიდი აგრესიის, დესტრუქციის, ძალადობის მომტანია, რის შედეგადაც ფატალურ შედეგებს ვიღებთ. ესმა ომისა და ძალადობის მსხვერპლია, სარა, მისი ქალიშვილი, მსხვერპლის - შედეგად მიღებული მსხვერპლი და არავინ იცის, კიდევ რამდენ თაობას გასწვდება ეს ადამიანური ტრაგედია. აგრესია, რომელმაც ტყუილი დათესა და ტყუილი, რომელმაც მოზარდი გოგონას ფსიქიკა გარკვეულად დაასახიჩრა. გმირი მამის ხატი ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია პროცესის დროებით შესაჩერებლად. ის პატრიოტიზმის, სამშობლოსთვის თავდადებისა და სიყვარულის ილუზიას ქმნის, რომელიც ისევე, როგორც კონკრეტულ ადამიანს, ზოგადად, ამართლებს ომსა და სიკვდილს. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს მხოლოდ დროებითი, გამოგონილი და გაუმართლებელი გამოსავალია, რომელსაც არანაკლებ მტკივნეული შედეგები მოაქვს.

ყველა ქვეყანა და ყველა ერი მსგავს გამოსავალს პოულობს და ერთნაირად იჯერებს, რომ სისხლის ღვრამ და ომმა შესაძლოა ქვეყანას ახალი გმირები და ბედნიერი მომავალი მოუტანოს. ასე ხდებოდა საქართველოშიც. ყველას ახსოვს, რომ სამოქალაქო და აფხაზეთის ომის დროს ახალგაზრდა ბიჭები მხოლოდ ცხელ წერტილებში არ იღუპებოდნენ. ისინი კვდებოდნენ ქურდობის, ნარკოტიკების, ფულის, ყაჩაღობის და აგრესიული გარემოს პირობებში. თუ პატარა ბავშვი მისი მშობლების მეგობრის, მამის, ბიძის თუ უბრალოდ ახლობლის სიკვდილის მიზეზს იკითხავდა, ჩვენც ასე ვპასუხობდით – აფხაზეთში დაიღუპა! ყოველი ჩვენგანი ცდილობს დაფაროს საკუთარი თუ სახელმწიფოს შეცდომები, ყველას ერთად გვინდა დავიჯეროთ: იმ ეპოქას, როდესაც "სამშობლოსთვის ვიბრძოდით", მრავალი გმირი ჰყავს და ეს გმირები ქვეყნის ნათელი მომავლისთვის დაიღუპნენ.

ერთი შეხედვით, ბოსნიელი დამწყები კინორეჟისორი ქალბატონის ფილმი მარტივ ადამიანურ ისტორიას გვიამბობს და პოლიტიკური აქ არაფერია, მაგრამ ასეთი სიტყვა ომის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ყველა დიდი სახელმწიფო "გამათავისუფლებელ" ბრძოლებს აწარმოებს და ომის პროპაგანდას ეწევა, მწვავე და მნიშვნელოვანი განაცხადია. ამიტომ, როდესაც პრესა ბერლინის ფესტივალის დაწყებამდე წერდა, რომ წარმოდგენილი ფილმები პოლიტიკურ ქვეტექსტებს შეიცავს, მართალი აღმოჩნდა. 31 წლის ბოსნიელმა ჟასმილა ზბანიცმა პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევრით **GRBAVICA** თანამედროვე სამყაროს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ყველა ძალადობრივი ფაქტი მხოლოდ პროცესში არ არის ტრაგიკული, მისი შედეგები სამუდამოდ რჩება კაცობრიობის, როგორც ადამიანთა ნაკრების ბიოგრაფიაში. და არ არსებობს ომი, რომელიც შეიძლება გაამართლო.

კინემატოგრაფიული თვალსაზრისით ბოსნიური ფილმი არა მხოლოდ ჩვენი, არამედ გამოკითხულ კრიტიკოსთა მოსაზრებითაც არ იყო ოქროს დათვის სავარაუდო პრეტენდენტი, მაგრამ ბერლინის ფესტივალს საკუთარი წესები და პრიორიტეტები აქვს, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ეს რეჟისორის პირველი მხატვრული ფილმია, ჟასმილა ზბანიცი კი კიდევ ერთი ახალი სახელია მსოფლიო კინემატოგრაფში, რომელიც ბერლინის ფესტივალმა 2006 წელს შვა. ამ ფილმის გამარჯვება ხმამაღალი განაცხადია თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და ომის წინააღმდეგ. ხელოვანის უპირველესი დანიშნულებაც ხომ სწორედ ეს არის. და თუ ქართული სახელმწიფო ქართველ ხელოვანებს მომავალში თავად არ დაუწესებს მისთვის მისაღებ თემებს, უმჯობესი იქნება.

## ჟანას ისევ ეძებენ



საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში, სახელად გარში, დეტექტივის მონაცემებით დაჯილდოებული რამდენიმე ექიმი აღმოჩნდა. მათ ჟანა დარკის ნეშთის ნაშთების კვლევა გადაწყვიტეს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაარკვიონ, ნამდვილად ცხოვრობდა თუ არა იგი მეთხუთმეტე საუკუნეში.

საფრანგეთის ეროვნული გმირი და 1920 წლიდან წმინდანად შერაცხული ჟანა დარკი ერეტიკოსობის ბრალდებით რუანაში კოცონზე დაწვეს. მისი ნეშტი ფერფლად აქციეს და მდინარეზე მიმოაბნიეს. გადმოცემის თანახმად ჟანას გული გადარჩა, თუმცა ისიც წყალში მოისროლეს. ასევე არსებობს ცნობა იმის თაობაზე, რომ ორლეანელი ქალწულის ერთ-ერთ თაყვანისმცემელს მისი სხეულისა და ტანსაცმლის ნახშირად ქცეული დეტალები ჩუმად შეუნახავს. სწორედ ისინი ინახება ამჟამად ჟანა დარკის სახელობის მუზეუმში, შინიონის მხარეში.

ძვლების ნაწილების გამოკვლევა, როგორც დასავლური პრესა იუწყება, დაახლოებით ნახევარ წელს მოითხოვს. “დიახ, ეს ჟანაა, მაგრამ საჭიროა დავადგინოთ რამდენი წლის იყო იგი და მართლაც 1431 წელს მოხდა თუ არა მისი გასამართლება.” – აცხადებს გარშის საავადმყოფოს მთავარი გენეტიკოსი ფილიპ შარლი.

## TV5MONDE

24 თებერვალი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ამოუცნობი ცხოველები. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** ბატონი ვალაპი და ორმოცი ტელეარხი. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** პოლინი პლიაჟზე. მხ ფილმი. რეჟისორი ერიკ რომერი. 1983. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ბაქანი N1 ტელესერიალი. **24.00** აკრძალვა. მხ ფილმი. რეჟისორი დავიდ დელრიე. 2004. **02.20** გადაცემა: თვეში ერთხელ.


გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge






# არის თუ არა და ვინჩი?



ლეონარდო და ვინჩის სანგინით შესრულებული ავტოპორტრეტი თითქმის ყველასთვის კარგად არის ცნობილი. პოპულარობის ნაკლებობას არ უჩივის, მაგრამ მის გარშემო ეჭვები და ეჭვიანი მსჯელობები აქამდე დიდად არ გამწვავებულა. შესაძლოა ამიტომაც “გარდიანში” დაბეჭდილმა ინტერვიუმ ერთ-ერთ ხელოვნებათმცოდნესთან, დიდი ინტერესი გამოიწვია.

და ვინჩის მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მკვლევარი პიეტრო მარანი გაზეთს უცხადებს, რომ ზემოაღნიშნული ნამუშევარი, სავარაუდოდ, არა მხატვრის პორტრეტია, არამედ “საიდუმლო სერობისთვის” შექმნილი ეტიუდი, კონკრეტულად კი ერთ-ერთი მოციქულის სახე.

პიეტრო მარანი საკუთარ ეჭვებს და ვინჩის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდის მანერების გარჩევით ამყარებს. მისი აზრით, ავტოპორტრეტის შესრულების მანერა მხატვრის ადრეულ წლებზე მიუთითებს, დაახლოებით მეთხუთმეტე საუკუნის 90-იან წლებს. ამ წლებში ლეონარდო და ვინჩი მილანში მუშაობდა. მარანის შეფასებით “მხატვრის ხაზები ბევრად კუთხოვანი და მკაფიო გახლდათ; შემდგომ წლებში მისი მანერა ბევრად რბილი და ნატიფი გახდა”. მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს ლეონარდო და ვინჩი ორმოცდაათი წლისაც არ იყო, მაშინ როცა პორტრეტზე ღრმად მოხუცებულია წარმოდგენილი. მსგავსი ვარაუდები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს არსებობდა, თუმცა, ამის მიუხედავად ეს ნამუშევარი დღემდე მაინც ლეონარდო და ვინჩის ავტოპორტრეტად რჩება.

ეს უკანასკნელი ნახატი, რომელიც აქამდე 1512 წლით თარიღდებოდა, ლეონარდოს სხვა გრაფიკულ ნამუშევრებთან ერთად ტურინის სამეფო ბიბლიოთეკის მუზეუმში ინახება. მიმდინარე თვიდან მარტის ჩათვლით, ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, მათი მონახულება ფართო საზოგადოებას შეეძლება.

# ვასილი ლივანოვი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით ჯილდოვდება



დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციაში, ტონი ბრენტონმა, საელჩოში გამართულ მიღებაზე განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტ II-ის გადაწყვეტილებით, რუსი მსახიობი ვასილი ლივანოვი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით ჯილდოვდება, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი, რომელმაც განასახიერა ცნობილი გამომძიებელი შერლოკ ჰოლმსი.

მსახიობმა, რომელიც ბრიტანეთის საელჩოში გამართულ მიღებას ესწრებოდა, განაცხადა, რომ მისთვის ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ეს ორდენი და გულისტკივილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მისი მეგობარი და პარტნიორი, მსახიობი ვიტალი სოლომინი, რომელიც სერიალში დოქტორი ვატსონის როლს თამაშობდა ცოცხალი აღარ არის.




სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში”

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს ხელის რადიო სადგურების შესყიდვაზე:

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხელის რადიო სადგურები | |
| 1.1 | ხელის რადიო სადგური, 146-174 მეგაჰერცი სიხშირული დიაპაზონის, მინიმუმ 4 არხი, 5ვტ სიმძლავრე, MDC სიგნალირება | 140 |
| 1.2 | ხელის რადიო სადგური, 146-174 მეგაჰერცი სიხშირული დიაპაზონის, მინიმუმ 20 არხი, 5ვტ სიმძლავრე, LCD ეკრანი, MDC სიგნალირება | 10 |
| 1.3 | აკუმულატორი NiMH, მინიმუმ 1400მამპსთ მოცულობის | 150 |
| 1.4 | სამაგიდო დასამუხტი მოწყობილობა ხელის რ/ს-ის აკუმულატორისათვის | 50 |
| 1.5 | სამაგიდო 6-სექციანი დასამუხტი მოწყობილობა ხელის რ/ს-ის აკუმულატორისათვის | 3 |
| 2 | საბაზო რადიო სადგურები | |
| 2.1 | საბაზო რადიო სადგური, 146-174 მეგაჰერცი სიხშირული დიაპაზონის, მინიმუმ 100 არხი, 25ვტ სიმძლავრე, LCD ეკრანი, MDC სიგნალირება | 2 |
| 2.2 | იმპულსური კვების წყარი 220VAC/12VDC, 10-12ამპ | 2 |
| 2.3 | საბაზო ანტენა, 146-174 მეგაჰერცი, თანაბრადმიმართული, მინიმუმ 5 დეციბელი გაძლიერება, სამონტაჟო კომპლექტით | 2 |
| 2.4 | რადიოსიხშირული კოაქსიალური კაბელი, დაბალი კარგვების, Belden 9913/RG213/RG8 ტიპის | 100m |
| 2.5 | საბაზო რადიო სადგურის მონტაჟისათვის საჭირო რადიოსიხშირული კონექტორებისა და ადაპტერების კომპლექტი | 2 |
| 3 | საბაზო რეტრანსლატორი | |
| 3.1 | საბაზო რეტრანსლატორი, 146-174 მეგაჰერცი სიხშირული დიაპაზონის, 1 არხი, 25ვტ სიმძლავრე, MDC სიგნალირება, კვება 220VAV/12VDC, აკუმულატორის დამუხტვის ფუნქციით | 1 |
| 3.2 | საბაზო ანტენა, 146-174 მეგაჰერცი, თანაბრადმიმართული, მინიმუმ 5 დეციბელი გაძლიერება, სამონტაჟო კომპლექტით | 2 |
| 3.3 | რადიოსიხშირული კოაქსიალური კაბელი, დაბალი კარგვების, Belden 9913/RG213/RG8 ტიპის | 100m |
| 3.4 | საბაზო რეტრანსლატორის მონტაჟისათვის საჭირო რადიოსიხშირული კონექტორებისა და ადაპტერების კომპლექტი | 1 |

/ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში./

საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 15 დღის ვადაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 17 მარტიდან 20 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.
2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1. იურიდიული პირებისათვის:

· ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

· ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

· ტენდერში მონაწილე კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ მწარმოებლის მიერ გაცემული ავტორიზაციის (დისტრიბუტორი ან დილერი) დამადასტურებელი სერთიფიკატები რომლებიც ძალაშია 2006 წლის ბოლომდე.

· მწარმოებლის მიერ გაცემული ავტორიზებული ტექნიკური მომსახურეობის ცენტრის არსებობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

2.2. ფიზიკური პირებისათვის:

· ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);

· ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);

· მწარმოებლის მიერ გაცემული ავტორიზაციის (დისტრიბუტორი ან დილერი) დამადასტურებელი სერთიფიკატები რომლებიც ძალაშია 2006 წლის ბოლომდე.

· მწარმოებლის მიერ გაცემული ავტორიზებული ტექნიკური მომსახურების ცენტრის არსებობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთმოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩდება.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებსN სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. 2006 წლის 16 მარტის ჩათვლით.

5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133.

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლია მინდიაშვილი, ნანა თურქიაშვილი, ტატიანა კაპანაძე მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93 56 96; 92 09 31

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | თბილისის სააპელაციო სასამართლო | 38 | საშტატო ერთეული |
| 2. | ქუთაისის სააპელაციო სასამართლო | 21 | საშტატო ერთეული |
| 3. | თბილისის საქალაქო სასამართლო | 21 | საშტატო ერთეული |
| 4. | ამბროლაურის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 5. | ახალქალაქის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 6. | ბათუმის საქალაქო სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 7. | გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 8. | გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 9. | გარდაბნის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 10. | გორის რაიონული სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 11. | ლენტეხის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 12. | მესტიის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 13. | ონის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 14. | საგარეჯოს რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 15. | საჩხერის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 16. | სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 17. | ქედას რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 18. | ქობულეთის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 19. | ქუთაისის საქალაქო სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 20. | შუახევის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 21. | ჩხოროწყუს რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 22. | ცაგერის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 23. | წალკის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 24. | ხარაგაულის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 25. | ხულოს რაიონული სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 26. | ჯავის რაიონული სასამართლო | 3 | საშტატო ერთეული |

მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება 2006 წლის 1 მარტიდან 5 მარტამდე შაბათ-კვირის ჩათვლით, 11 საათიდან 17 საათამდე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე კონკრეტული ვაკატური ადგილის მითითებით (შეივსება ადგილზე)

ბ) ავტობიოგრაფია

გ) ცნობა ქონებრივი დეკლარაციის შევსების შესახებ

დ) სერტიფიკატი ან ცნობა საკალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ

ე) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N27)

ვ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი)

ზ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი)

თ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

ი) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ

კ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ

ლ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4-ზე)

კანდიდატები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2005 წლის ნოემბერში გამოცხადებულ მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში წარმოადგენენ მხოლოდ განცხადებას.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში - ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. N12 ან შემდეგ ტელეფონებზე: 27-31-00; 27-31-04; 27-31-05; 27-31-06; 27-31-07; 27-31-08.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ქობულეთის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქ. ქობულეთის ქუჩების დაგვისა და ნარჩენების გატანის შესყიდვაზე.

2. ქ. ქობულეთის იმ ქუჩებისა და ქუჩების მონაკვეთების ჩამონათვალი, რომელიც უნდა დაიგვას შესაბამისი ფართობების, მათი დაგვის და ნარჩენების გატანის მიხედვით:

| № | ქუჩებისა და ქუჩების მონაკვეთების ჩამონათვალი | დასაგველი ფ. კვ მ<br>მოგრ. ნარჩ. გატანა კბ მ |
|---|---|---|
| 1 | აბაშიძის ქუჩა მდინარე კინტრიშის ხიდიდან რკინიგზის სადგურის ბოლომდე | 1000<br>16.7 |
| 2 | რკინიგზის სადგურის მოედნის ნაწილი ბაქანზე ასასვლელი კიბეებიდან კაიკაციშვილის ქუჩის მიმართულებით | 6000<br>10 |
| 3 | კაიკაციშვილის ქუჩა რკინიგზის სადგურის მოედნიდან ბაქნის ბოლომდე | 4000<br>6.7 |
| 4 | რაიონის გამგეობის შენობის წინამდებარე მოედანი კავშირგაბმულობის სამმართველოს ოფისამდე | 8000<br>13.3 |
| 5 | დ. აღმაშენებლის ჩიხი, კავშირგაბმულობის შენობის წინამდებარე ჩიხი, კოსტავას ქუჩის ნაწილი, ჯინჭარაძის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა | 14000<br>23.3 |
| 6 | დ. აღმაშენებლის გამზირი რკინიგზის სადგურიდან პანსიონატ "ჩირალდნამდე" | 112000<br>180 |
| 7 | რუსთაველის ქუჩა ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების შენობიდან №140 სახლამდე | 4000<br>6.7 |
| 8 | სანაგვე კონტეინერებში დაგროვებული ნაგვის გატანა | 181 |

3. სამუშაოს მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის ბოლომდე ყოველდღიურად.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები, როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 141 (რაიონის გამგეობის შენობა), ქობულეთის რაიონის გამგეობის აპარატის იურიდიულ განყოფილებაში. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 25 მარტს 17 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) პრეტენდენტის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ე) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 14 მარტიდან 2006 წლის 15 მარტამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის ("სახალხო ბანკი"-ს ქობულეთის ფილიალი, ბ/კ 220101468, ანგ. № 33060005) გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 141. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დაუბრუნებს წარმომდგენ პირებს.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: (88236) 6-79-00, 6-72-11.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის 204-ე სამუსიკო სკოლა-პანსიონი (მის: ქ. თბილისი, ლოტკინის დასახლება, სამღერეთის ქ. №13) აცხადებს ტენდერს 2006 წელს მოსწავლეთა კვებისათვის სხვადასხვა სასურსათო პროდუქტის შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. საქონლის მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ სამ ეგზემპლარად, 2006 წლის 20 მარტიდან 25 მარტამდე, 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლოტკინის დასახლება, სამღერეთის ქ. №13.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- იურიდიული, ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მასზე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 6 მარტიდან 16 მარტამდე, 10-დან 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ლოტკინის დასახლება, სამღერეთის ქ. №13.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა თავიანთი წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 მარტის 14 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ლოტკინის დასახლება, სამღერეთის ქ. №13. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით. სატენდერო კომისიას მასალები წარედგინება დახურული კონვერტით.

8. სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება საქართველოს ეროვნულ ბანკში. კოდი 220101107, ანგ. № 200122900, სახაზინო კოდი 2081.

9. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 69-45-33, 69-43-51.

სატენდერო კომისია

# ქალაქ თბილისის მთავრობა

ადმინისტრაციული წარმოების
დაწყების თაობაზე

"ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიწის დამაგრების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 1998 წლის 4 აგვისტოს N16.35.358 დადგენილებით მიღებულ იქნა ქ.თბილისის მერიის მიწათსარგებლობისა და ქალაქმშენებლობის საქმეთა საქალაქო კომისიის წინადადებები (1997 წლის 7 ნოემბრის ოქმი N4, 1998 წლის 15 ივლისის ოქმი N15 და 1998 წლის 15 ივლისის კონკურსის შედეგების შემაჯამებელი სხდომის ოქმი N2) და დადგენილების 6.1 პუნქტით, კრწანისის რაიონში, შპს "ანი და კომპანიას", კაფე-ბარის მოსაწყობად, დაუმაგრდა აბანოთუბანში, კლუბ "ფიროსმანის" მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარე 350 კვმ მიწის ფართი.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე 1998 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ხუთი წლის ვადით (სარეგისტრაციო N2607) ქ.თბილისის მერიასა და შპს "ანი და კომპანიას" შორის "მიწის ნაკვეთის იჯარით აღების თაობაზე".

1998 წლის 28 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ", რომელიც შპს "ანი და კომპანიის" მიერ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაციის საფუძველი გახდა.

ქ.თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის 2006 წლის 26 იანვრის N01-04/44 მოწერილობისა და თანდართული მასალების თანახმად, კერძოდ, ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის 2006 წლის 25 იანვრის N4-09/135 წერილის შესაბამისად, ქ.თბილისში აბანოთუბანში, კლუბ "ფიროსმანის" მომიჯნავედ, შპს "ანი და კომპანიას" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი წამოადგენს დასასვენებელ ადგილს - სკვერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთი უნდა განკარგულიყო მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვის საფუძველზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 20 იანვრის N13/08/128 წერილის მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მოქცეულია ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში, წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას და მიწის განკარგვისას, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა თანახმად, საკითხი უნდა შეთანხმებულიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქ.თბილისის მთავრობა მიიჩნევს, რომ "ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიწის დამაგრების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 1998 წლის 4 აგვისტოს N16.35.358 დადგენილების 6.1 პუნქტის საფუძველზე კრწანისის რაიონში, შპს "ანი და კომპანიასათვის" კაფე-ბარის მოსაწყობად 350 კვმ მიწის ფართის (მდებარე აბანოთუბანში, კლუბ "ფიროსმანის" მომიჯნავე ტერიტორიაზე) დამაგრების კანონიერება-უკანონობის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესები (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავი, 115-121-ე მუხლები), ხოლო ამავე კოდექსის მე-601 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით. ამასთან, ამავე კოდექსის 62-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ამ კოდექსის მე-601 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

"ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიწის დამაგრების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 1998 წლის 4 აგვისტოს N16.35.358 დადგენილების 6.1 პუნქტის საფუძველზე, კრწანისის რაიონში, შპს "ანი და კომპანიასათვის" კაფე-ბარის მოსაწყობად 350 კვ.მ მიწის ფართის (მდებარე აბანოთუბანში, კლუბ "ფიროსმანის" მომიჯნავე ტერიტორიაზე) დამაგრება, თავისი თანმდევი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

ქ.თბილისის მთავრობა აღნიშნავს, რომ ვინაიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შპს "ანი და კომპანიას" გააჩნია გარკვეული სამართლებრივი ინტერესები, რომლებიც მას შესაძლოა შეეზღუდოს ახლადგამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 95-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, დასახელებული სუბიექტი ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ უნდა იქნეს მოწვეული და მას უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 51-53-ე მუხლების, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, 85-ე, 95-ე , 99-ე, 115-118-ე მუხლების, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად,

ქ.თბილისის მთავრობა ადგენს:

1. "ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიწის დამაგრების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 1998 წლის 4 აგვისტოს N16.35.358 დადგენილების 6.1 პუნქტის საფუძველზე, კრწანისის რაიონში, შპს "ანი და კომპანიასათვის" კაფე-ბარის მოსაწყობად 350 კვმ მიწის ფართის (მდებარე აბანოთუბანში, კლუბ "ფიროსმანის" მომიჯნავე ტერიტორიაზე) დამაგრების კანონიერება-უკანონობის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარდ მოწვეულ იქნეს შპს "ანი და კომპანია".

3. ქ.თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის საქალაქო სამსახურმა და ქ.თბილისის მერიის აპარატმა უზრუნველყონ:

ა) წინამდებარე დადგენილების გამოქვეყნება და დაინტერესებულ მხარეთათვის გადაგზავნა (გადაცემა);

ბ) ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ მხარეთა მოწვევა.

4. წინამდებარე დადგენილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

**ქ.თბილისის პრემიერი თემურ ქურხული**

# განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი**

**ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში წყალდიდობით დაზიანებული ნაგებობების რეაბილიტაცია**

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი (IDA): N 35421-GE; გრანტი: N H1760
პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068
IFB N PCC/IDCDP/CW/NCB/9-2006

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი და გრანტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტისა და გრანტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში წყალდიდობით დაზიანებული ნაგებობების რეაბილიტაციის N PCC/IDCDP/CW/NCB/9-2006 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა მდებარეობს კახეთის რეგიონში, თელავის რაიონში, მდინარე ალაზნის ხეობაში თბილისიდან 153 კმ დაშორებით.

ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-თელავის ასფალტირებული ავტომაგისტრალით, საიდანაც სოფ. კონდოლთან ჩრდილო-აღმოსავლეთით გადახვევის შემდეგ სამშენებლო მოედნამდე მიდის 10 კმ სიგრძის მოხრეშილი გზა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს:

432 მ სიგრძის ნაპირდამცავი დამბის მოწყობას დანგრეულ საყრდენ კედელთან, მდინარე ალაზნის კალაპოტის გასწორხაზოვნებას და ნატანისაგან წმენდას 400 მ სიგრძის მონაკვეთზე, 242 მ მიმყვანი არხის გაჭრას, ხეების დამჭერი ნაგებობის, სამომსახურო ხიდების და კიბეების მოწყობას, დროებითი წყალმიმღების და გამრეცხი რაბის ჰიდრომექანიკური მოწყობილობის შეკეთებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- გრუნტის დამუშავება - 54.3 ათასი $м^3$;
- ხარისხოვანი ყრილები და უკუყრილები - 7.62 ათასი $м^3$;
- მონოლითური ბეტონი და რკ/ბეტონი - 2280 $м^3$;
- არმატურის მონტაჟი - 22.3 ტონა;
- ფოლადის კონსტრუქციების და მოწყობილობების დემონტაჟი და მონტაჟი - 13.9 ტონა.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 60 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანაგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, მიმღები ბანკი - "თი ბი სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი,თბილისი, საქართველო.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 27 000 (ოცდაშვიდი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 20 მარტის 11 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის
ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული
საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224
ტელ: +995 32 989924 / 935169
ფაქსი: +995 32 934921 / 989924
ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილქალაქგანათება" აცხადებს ღია ტენდერს საწარმოსათვის საავტომობილო ბენზინის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: 320 000 ლიტრი საავტომობილო ბენზინი. მათ შორის 300 000 ლიტრი ნორმალი და 20 000 ლიტრი პრემიუმი.

2. ბენზინის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის დავალების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. მიწოდება იწარმოებს შემოტანის წესით.

მიწოდების ადგილი: თბილისი, თვალჭრელიძის I შესახ. №7.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 15 მარტის 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის შესახ. №7. შპს "თბილქალაქგანათება".

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ბანკი, ბ/კ 220101502. ანგ. № 013467736, ს/კ 208141474.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 16 მარტის 12 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თვალჭრელიძის I შესახ. №7. შპს "თბილქალაქგანათება".

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ამირან ქურცუა, 45 48 15, 45 45 13. თენგიზ ჭელიძე, 899 743 119. ან მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის I შესახ. №7. შპს "თბილქალაქგანათება".

**სატენდერო კომისია**

## შ.პ.ს. თბილისის N4 კლინიკური საავადმყოფო აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - სამეურნეო თვით დაფინანსება**

**შესყიდვის ობიექტი:**

1. **ლოტი N1**-ნარკოტიკული საშუალებები
2. **ლოტი N2**-მედიკამენტები
3. **ლოტი N3**-სისხლის კომპონენტები
4. **ლოტი N4-შესახვევი მასალები**
5. **ლოტი N5- სამედიცინო დანიშნულების საგნები**
6. **ლოტი N6-სამედიცინო ჟანგბადი**
7. **ლოტი N7- სადიზენფექციო სასტერილიზაციო საშუალებები**
8. **ლოტი N8- რენტგენო-დიაგნოსტიკური მასალები**
9. **ლოტი N9- ლაბორატორიული მასალები**

**სხვა დამატებითი ინფორმაციების მიღება ზემოთჩამოთვლილ ლოტების შემადგენლობაზე** ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მათი მოთხოვნის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატში, დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაცის მიხედვით.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 10 აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში, ადგილზე მიტანით (ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. N4) ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 მარტის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. N4, შ.პ.ს. თბილისის N4 კლინიკური საავადმყოფო, მეორე სართული ოთახი N203. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ცენტრალური)
საქართველოს ბანკი
ანგ. N 300467512
ბანკის კოდი: 220101502
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 24 მარტის 14 საათიდან 28 მარტის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. N4, თბილისის N4 კლინიკური საავადმყოფო, მეორე სართული, ოთახი N303. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 28 მარტს 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკური პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. საქართველოს კანონის "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ" შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას ლიცენზია შესაბამისი საქონლის რეალიზაციაზე

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის წევრს:** ჯემალ ყოლბაია, ტელ: 61-04-80, ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. N4, თბილისის N4 კლინიკური საავანდტყოფო, მეორე სართული, ოთახი N303.

***სატენდერო კომისია***

# ქალაქ თბილისის მერია

"ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის N62 ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების მე-12 მუხლის "ნ" ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის N62 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

**ა)** დებულების 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში."

"3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, საქართველოს სანიტარიული კოდექსით, "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით, "ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს კანონის "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ", საქართველოს კანონი "საალკოჰოლო ნაწარმის შესახებ" "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N140 დადგენილებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და წინამდებარე დებულებით."

**ბ)** დებულების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" მუხლი N3

1. სამსახურის ძირითადი ამოცანაა ზედამხედველობის განხორციელება:

ა) მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობების, კონსტრუქციების საპროექტო ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე;

ბ) ქალაქის გარე იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე;

გ) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, კვების, სწავლების, აღზრდის, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების განმსაზღვრელი სანიტარიული ნორმების დაცვაზე;

დ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და მათ რაციონალურ გამოყენებაზე კანონით დადგენილი წესით ზედამხედველობა;

ე) ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე ქ. თბილისის მერის ცალკეული დავალებების შესრულება.

2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სამსახურის ფუნქციებია:

ა) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი, მათ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენება;

ბ) სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გატანა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა-გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა), დედაქალაქის დაზიანებული ქუჩებისა და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის დაწესება;

გ) გარე რეკლამის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, და მათ შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი;

დ) დედაქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე (შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გარე განათების, მიწისქვეშა გადასასვლელების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, მარკიზების, კომუნიკაციათა კიოსკების და ჭების საქალაქო მეურნეობის სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე კონტროლი;

ე) გარე ვაჭრობისა და ავტოტრანსპორტის პარკირების დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესრულებაზე კონტროლი;

ვ) უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება;

ზ) ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ სანიტარიული ნორმების დაცვაზე, აგრეთვე პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

თ) ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების აღმოცენების, გავრცელების მიზეზებისა და პიროვნებების გამოვლენა, ამ დაავადებებისა და მოშხამვების პროფილაქტიკისაკენ მიმართული სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გამხორციელებაზე კონტროლი;

ი) ობიექტის მშენებლობის (რეკონსტრუქციის) საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და აღნიშნულ დოკუმენტაციაზე ჰიგიენური დასკვნის გაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) ობიექტების ჰიგიენური სერტიფიკაცია;

ლ) პროდუქციის, აგრეთვე ჰაერის, წყლის და ნიადაგის ლაბორატორიული გამოცდა, კვლევა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო მავნე ზეგავლენის შეფასება;

მ) საკვები პროდუქციის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებების ჰიგიენური შეფასება და სანიტარული პასპორტის გაცემა;

ნ) ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება, მიწერილობისა და დასკვნის გაცემა;

ო) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, სანიტარიული კოდექსისა და დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება;

პ) მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი და ლანდშაფტური, მცირე არქიტექტურული ფორმების ინსპექტირება;

ჟ) ქ.თბილისის გარემოს დაცვა;

რ) კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი;

ს) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მის სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული, მის მიერ საკონტროლო ობიექტების სამოქმედო პროგრამებისა და ღონისძიებათა პროექტების შეთანხმება;

ტ) ქ.თბილისის მრავალმიზნობრივი კადასტრისათვის გარემოსდაცვითი მონაცემების აქტუალიზაციასა და აღრიცხვაში, აგრეთვე აქტუალიზაციის საჭიროების განსაზღვრასა და არსებული დეფიციტების ჩამონათვალის შედგენაში მონაწილეობის მიღება;

უ) ახლად აშენებული რეკონსტრუქციული ობიექტებისა და რეკულტივირებული მიწების, დამთავრებული სამუშაოების მიმღებ მუშა და სახელმწიფო კომისიებში მონაწილეობის მიღება;

ფ) სახელმწიფო ცენტრალური, მუნიციპალური და სხვა პროგრამების შესრულება."

**გ)** დებულების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" მუხლი 4.

1. სამსახური უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით შევიდეს და განახორციელოს კონტროლი მის საზედამხედველო ობიექტში არქიტექტურულ - სამშენებლო, სანიტარიული და ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვასა და შესრულებაზე; შემოწმების პროცესში მოითხოვოს ყველა საჭირო და აუცილებელი დოკუმენტაცია სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და უწყებრივი ქვემდებარეობისა;

ბ) განსაზღვროს დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებები და ვადები, კანონმდებლობთ დადგენილი წესით გასცეს მიწერილობა, დააწესოს კონტროლი მათ ხარისხიან შესრულებაზე;

გ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობისა და სანიტარიული ზედამხედველობის განხორციების მიზნით სათანადო საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს შესამოწმებელ ობიექტში ლაბორატორიული გამოცდის კვლევის და გაზომვების ჩატარება ან/და ამავე მიზნით სინჯის(ნიმუშის) აღება.;

დ) დადგენილი წესით მიიღოს დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეაჩერების შესახებ;

ე) დადგენილი წესით მიიღოს დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის შესახებ;

ვ) აწარმოოს კონტროლი საქალაქო მეურნეობის, კეთილმოწყობის, გარე იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების და სანიტარული დასუფთავების ღონისძიებათა შესრულებაზე;

ზ) განახორციელოს წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელი წყლის ხარისხზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა; ჩაატაროს სასმელი და სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროების წყლების, საბანაო, სპორტული, მოსახლეობის დასვენებისა და სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ობიექტების, აგრეთვე ნიადაგისა და ჰაერის ლაბორატორიული გამოცდა, კვლევა სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობაზე კონტროლის მიზნით;

თ) ექსპლუატაციაში გადაცემის შემდეგ აწარმოოს დასახლებული ადგილისა და კურორტის ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ჰიგიენური სერთიფიკაცია, აგრეთვე სანიტარიული კლასიფიკაციით IV და V კლასს მიკუთვნებული საწარმოების, ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) მნიშვნელობის სხვა ობიექტების ჰიგიენური სერტიფიკაცია და გასცეს ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი;

ი) გასცეს ჰიგიენური დასკვნა დასახლებული ადგილებისა და კურორტის დასუფთავევბის გენერალური სქემების პროექტებზე, აგრეთვე სანიტარიული კლასიფიკაციით IV და V კლასს მიკუთვნებული საწარმოების, ადგილობრივი (საქალაქო, რაიონული) მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) საპროექტო ტექნიკურ დოკუმენტაციაზე;

კ) ჩაატაროს საკვები პროდუქციის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებების ჰიგიენური შეფასება და გასცეს სანიტარული პასპორტი;

ლ) ფიზიკური პირის მოთხოვნით ან მისი თანხმობის საფუძველზე გამოიკვლიოს მათი საცხოვრებელი ბინა და გასცეს ჰიგიენური დასკვნა საცხოვრებელი პირობების შესახებ. შეადგინოს მიწერილობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისა და გამოვლენილი სანიტარიული ნორმების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის შესახებ;

მ) მონაწილეობა მიიღოს დედაქალაქის საწარმოო ძალთა განლაგების, სამრეწველო და სხვა დანიშნულების საწარმოებისა და ობიექტებისათვის ტერიტორიის შერჩევაში, მიწის კომისიის მუშაობაში სათანადო დასკვნების გაცემასა და მის შესრულებაზე კონტროლის საქმეში.

ნ) მონაწილეობა მიიღოს საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების აღკვეთის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავება-გატარებაში;

ო) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე თანამდებობის პირის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები.

პ) მის მმართველობას მიკუთვნებული სფეროების ფარგლებში მოამზადოს წინადადებები მერიის სამსახურებისა და კერძო სამართლის სუბიექტების არამართლზომიერი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შესახებ და წარმოადგინოს დადგენილი წესით დანიშნულებისამებრ;

ჟ) დადგენილი წესის მიხედვით სათანადო ვადებში უზრუნველყოს ინფორმაციის წარდგენა ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან;

რ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოამზადოს და განსახილველად წარადგინოს წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ;

ს) საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მეცნიერები, სპეციალისტები, ექსპერტები;

ტ) ორგანიზება გაუწიოს კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომელთა მივლინებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

უ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი დედაქალაქში მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე, დადგენილი ორგანიზაციული-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე;

ბ) მიიღოს "არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ", არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

გ) დადგენილი წესით მოახდინოს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზკური ან/და იურიდიული პირების შემოწმება, მათი საქმიანობის შეჩერება, აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანი ან ნაწილობრივი დემონტაჟი;

დ) აწარმოოს დედაქალაქის საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვაზე, ქუჩებზე, მაგისტრალებზე, მოედნებზე, პარკებში, სკვერებში, დასასვენებელ ზონებში, საერთო სარგებლობის ეზოებში მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების ჩაწყობა-გადაკეთებაზე, სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვების მოწყობაზე, ქუჩის დროებით გადაკეტვაზე ან ნაწილობრივ შეზღუდვაზე, ჭაბურღილების დაყენებაზე, შენობათა საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებაზე, სამშენებლო პოლიგონების ქვაბულებიდან მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნაგვის სპეციალურად გამოყოფილ საყრელებზე გატანაზე და აღნიშნული სამუშაოების დადგენილი წესებით და განსაზღვრულ ვადებში შესრულებაზე კონტროლი;

ე) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი ქ. თბილისის მერიის, საკრებულოს და მთავრობის მიერ საქალაქო მეურნეობის, კეთილმოწყობის, გარე იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების და სანიტარიული დასუფთავების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციების და წესების შესრულებაზე;

ვ) აწარმოოს დასახლებული ადგილისა და კურორტის დაგეგმარების და განაშენიანების პროექტებისა და გენერალური გეგმის რეალიზაციისას, კურორტისა და საკურორტო ადგილის სანიტარიული დაცვის ზონებში, სანიტარიული კლასიფიკაციით IV და V კლასს მიკუთვნებული საწარმოების, აგრეთვე, ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა (საქალაქო, რაიონული) ობიექტის მოწყობისა და შენახვის სანიტარიული ნორმების დაცვის და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

ზ) აწარმოოს დასახლებული ადგილისა და კურორტის ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემების მშენებლობისას (რეკონსტრუქციისას) და ექსპლუატაციისას სანიტარიული ნორმების დაცვისა და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

თ) აწარმოოს ადგილობრივი წყალმომარაგებისათვის გამოყენებული საზოგადოებრივი სარგებლობის ჭისა და წყაროს მოწყობის, შენახვის სანიტარიული ნორმების დაცვასა და წყლის ხარისხზე კონტროლი, აგრეთვე, ჩამდინარე წყლების ზედაპირულ წყლის ობიექტებში ჩაშვების (ამ ობიექტიდან წყლის ამოღების) პირობებსა და წყლის ობიექტის სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობაზე კონტროლი;

ი) აწარმოოს დასახლებული ადგილისა და კურორტის კანალიზაციის სისტემების მშენებლობისას (რეკონსტრუქციისას) და ექსპლუატაციისას სანიტარიული ნორმების დაცვასა და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

კ) აწარმოოს დასახლებული ადგილისა და კურორტის ტერიტორიების სანიტარიული დასუფთავების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადამუშავების, ჩამარხვისა და უტილიზაციის დროს სანიტარიული ნორმების დაცვაზე კონტროლი;

ლ) აწარმოოს საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვა-დასაწყობების, მოხმარების, გადამუშავების, გაუვნებელობისა და განთავსების, აგრეთვე, რადიაქტიური ნივთიერებებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების მოპოვების, მიღების, დამზადების, წარმოების, გამოყენებისა და ჩამარხვის დროს სანიტარიული ნორმების დაცვაზე კონტროლი;

მ) აწარმოოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოტენების, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს სანიტარიული ნორმების დაცვაზე კონტროლი;

ნ) აწარმოოს ატოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის პროექტებით, აგრეთვე, წყალსარგებლობის პირობებით დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი;

ო) აწარმოოს ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების პროფილაქტიკისათვის სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ - ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

პ) აწარმოოს პროდუქციის, აგრეთვე, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისა და საშუალებების, ფიზიკური ფაქტორების წარმომქმნელი დანადგარების, მოწყობილობების, სამრეწველო დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების სხვა ნაწარმის სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობაზე კონტროლი;

ჟ) აწარმოოს ხეებისა და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განთავსებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე ან დაზიანებაზე კონტროლი;"

**დ)** დებულების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან (განყოფილებებისაგან):

ა) საერთო განყოფილება (აპარატი);

ბ) არქიტექტურულ-სამშენებლო და ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება (ინსპექცია);

გ) სანიტარიული, გარემოდაცვითი და ეკოლოგიური ზედამხედველობის განყოფილება (ინსპექცია);

დ) სპეციალურ დავალებათა ოპერატიული განყოფილება (ინსპექცია);

ე) ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება;

ვ) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება;

ზ) მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება;

თ) გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება;

ი) ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება;

**ე)** მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ვ) დადგენილი წესით ახორციელებენ ამ დებულებით, სამსახურის უფროსის ან უშუალო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილებებს."

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. გურჯაანის ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა სკოლა აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლისათვის აღსაზრდელებისათვის კვების პროდუქტების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა შემსყიდველის მიერ წინასწარ წარდგენილი განცხადებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

3. მოწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 თებერვლიდან 16 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №14.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 10 მარტიდან 11 მარტამდე მისამართზე: ქ. გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №14.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ რობერტ არაყიშვილისაგან. მისამართი: ქ. გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №14. ტელ: 2-38-80.

**რობერტ არაყიშვილი**
**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი აცხადებს კონკურს

**ინჟინერ-ხარჯთამღრიცხველის** თანამდებობაზე.

შესყიდვების მენეჯერის მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ქვეშ, ინჟინერ-ხარჯთამღრიცხველი უნდა განახორციელოს შემდეგი:

1. ყოველ ცალკეულ ნაგებობის საინჟინრო საჭიროებებისა და შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით შეამოწმოს პროექტების არქიტექტურული, კონსტრუქციული და სპეცსამუშაოთა ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისობა გრაფიკულ მასალებთან;

2. მოიპოვოს ინფორმაცია ძირითად სამშენებლო მასალებისა და სამუშაოების საბაზრო ფასების შესახებ და დაამუშაოს მონაცემთა ბაზა.

3. პროექტის განხორციელების ყველა სტადიაზე შერჩევის წესით შეამოწმოს სამუშაოთა ჩამონათვალში მითითებული სამშენებლო და სამონტაჟო მასალებისა და ნაკეთობების ღირებულებების შესაბამისობა საბაზრო ფასებთან. შემოწმების პროცესში უზრუნველყოს ფასების შესაბამისობა მოცემულ მონაცემთა ბაზასთან;

4. ობიექტებზე ახალი ტიპის სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, დაადგინოს ახალი ტიპის სამუშაოთა მოცულობა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;

5. შეამოწმოს მშენებლობის პროცესში დამატებით შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა საკონტრაქტო ან მოქმედ საბაზრო ფასებთან;

6. სატენდერო დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ ცენტრისათვის შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები

7. სამშენებლო სამუშაოების ტენდერის შეფასების პერიოდში შეამოწმოს სამშენებლო ფირმების მიერ წარმოდგენილი სამუშაოების განფასებული ჩამონათვალი.

**კანდიდატის სავალდებულო კვალიფიკაცია**:

1. საუნივერსიტეტო განათლება (სასურველია უმაღლესი საინჟინერო/არქიტექტურული განათლება);
2. მსგავსი სამუშაოების განხორციელების მინიმუმ 5 წლის გამოცდილება (სასურველია მსგავსი გამოცდილება მსოფლიო ბანკის პროექტებში);
3. ძირითადი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (WS World, Excel);
4. კომუნიკაციის კარგი უნარი;
5. მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის უნარი.

**დაქირავების პირობები:** სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით გასვლის შემდეგ გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება.

**სამუშაო ადგილი:** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.

დაინტერესებულმა პირებმა **2006 წლის 10 მარტის 17 საათამდე** უნდა წარმოადგინონ: (1) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ, (2) ბიოგრაფიული მონაცემები - (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე (3) ერთი ფოტოსურათი (3X4), (4) დიპლომის ასლი, შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,
ალ. ყაზბეგის 23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,
0160 თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: info@hpic.ge
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი.

## განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი აცხადებს კონკურს **სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის სპეციალისტის** თანამდებობაზე.

ცენტრის შესყიდვების მენეჯერის ზოგადი მეთვალყურეობისა და სამშენებლო სამუშაოების კოორდინატორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, **სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის სპეციალისტი** მონიტორინგს გაუწევს ცენტრის მიერ მართული ყველა პროექტის სამშენებლო სამუშაოებს. აგრეთვე, იგი პასუხისმგებელი იქნება დახმარება გაუწიოს შესყიდვების გუნდს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების ყველა პროცედურაში.

**სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის სპეციალისტმა უნდა განახორციელოს შემდეგი სპეციალური სამუშაოები:**

1. მონიტორინგი გაუწიოს - სამშენებლო სამუშაოების მსვლელობას მშენებლობის დამთავრებამდე, კერძოდ: ა) სამუშაოების შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან, ბ) დოკუმენტაციის ჩაბარებას და მიღებას, გადახდების ანგარიშებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების სერტიფიკატების მიღების ჩათვლით.
2. მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა სახის ანგარიშები და დოკუმენტაცია; გაუწიოს პირველადი შემოწმება ცენტრში დამატებით სამუშაოებზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
3. შესყიდვების მენეჯერს დროულად მიაწოდოს გადახდის პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

**კანდიდატის სავალდებულო კვალიფიკაცია**:
1. საუნივერსიტეტო განათლება (სასურველია უმაღლესი საინჟინერო/არქიტექტურული განათლება);
2. სამშენებლო სამუშაოებზე კონტროლისა და ზედამხედველობის მინიმუმ 7 წლის გამოცდილება;
3. ინგლისური ენის ცოდნა (წერის სრულყოფილი ცოდნა)
4. ძირითადი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (WS World, Excel);
5. კომუნიკაციის კარგი უნარი;
6. მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის უნარი.

**დაქირავების პირობები:** სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატების გასვლის შემდეგ გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება.

**სამუშაო ადგილი:** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ოფისი. სავალდებულოა მოკლე ვიზიტები სამშენებლო ობიექტებზე საქართველოს ფარგლებში.

დაინტერესებულმა პირებმა **2006 წლის 10 მარტის 17 საათამდე**, უნდა წარმოადგინონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ: (1) ბიოგრაფიული მონაცემები - (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე, (2) ერთი ფოტოსურათი (3X4), (3) დიპლომის ასლი, შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,
ალ. ყაზბეგის 23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,
0160 თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: info@hpic.ge
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## სს "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა"
## აცხადებს ღია ტენდერს საკანცელარიო საქონლის შეძენაზე

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2006 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით,** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, განცხადებაში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე დახურულ კონვერტში, **2006 წ. 10 მარტამდე**.

მისამართზე: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N32, მეორე სართული, სატენდერო კომისია. **ტელ/ფაქსი: 69-54-95, 56-47-73,** ელ. ფოსტა tender@elwagon.ge

სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006 წ. 15 აპრილის ჩათვლით. წინადადებების განხილვა მოხდება 2006 წლის 10 მარტს, 1800 საათზე და გამარჯვებულისათვის შეთავაზებული იქნება სახელშეკრულებო პირობები სტანდარტული ფორმით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:
1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
3. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი;
5. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების (არანაკლებ 2 წლის გამოცდილება) შესახებ.

**ფიზიკური პირებისათვის:**
1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ტენდერში მონაწილეობის მსურველი ფიზიკური პირის ნასამართლეობის შესახებ;
3. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების (არანაკლებ 2 წლის გამოცდილება) შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - დავით გულუაშვილს (მარკეტინგის დირექტორი).

**ტელ/ფაქსი - 69-54-95, 56-47-73, მობ (77) 42-80-86.** ელ. ფოსტა t

| N | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | ზომის ერთეული | რაოდ-ბა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1. | ქაღალდი ა4, ოფსეტი 80გრ. | ყუთი(2500ც.) | 50 | |
| 2. | ქაღალდი ა3, ოფსეტი 80გრ. | შეკვრა(500ც.) | 20 | |
| 3. | საწერი კალამი(ბურთულიანი) ლურჯი | ც. | 100 | |
| 4. | საწერი კალამი(ბურთულიანი) შავი | ც. | 100 | |
| 5. | საწერი კალამი(ბურთულიანი) წითელი | ც. | 100 | |
| 6. | საწერი კალამი (გელით) ლურჯი | ც. | 50 | |
| 7. | საწერი კალამი (გელით) შავი | ც. | 50 | |
| 8. | ფანქარი HB, საშლელით, გათლილი წვერით | ც. | 200 | |
| 9. | ბაინდერი ა4 პოლიპროპელენის, ჩასადები ჯიბით და ლითონის ძირებით | ც. | 100 | |
| 10.<br>11. | ბაინდერი ა5, პოლიპროპელენის, ჩასადები ჯიბით და ლითონის ძირებით. | ც. | 50 | |
| 12. | ფაილები გამჭვირვალე | შეკვ (100ც) | 100 | |
| 13. | ფაილებიანი საქაღალდე (40 ფაილიანი) | ც. | 50 | |
| 14. | ფაილებიანი საქაღალდე (100 ფაილიანი) | ც. | 50 | |
| 15. | სტეპლერი 24/6 ტყვიებისათვის | ც. | 50 | |
| 16. | სტეპლერი 10/1 ტყვიებისათვის | ც. | 50 | |
| 17. | სტეპლერის ტყვიები 10/1 | კოლ.(1000ც) | 100 | |
| 18. | სტეპლერის ტყვიები 24/6 | კოლ.(1000ც) | 100 | |
| 19. | სტეპლერი ტყვიები 23/12 | კოლ.(1000ც) | 100 | |
| 20. | კორექტორი ფუნჯით | ც. | 100 | |
| 21. | კალკულატორი | ც. | 30 | |
| 22. | დაფის მარკერი | ც. | 20 | |
| 23. | ტექსტ მარკერი | ც. | 50 | |
| 24. | სიდი მარკერი | ც. | 20 | |
| 25. | ქაღალდის სახვრეტელა 20 ფურცლიანი | ც. | 20 | |
| 26. | ქაღალდის სახვრეტელა 100 ფურცლიანი | ც. | 20 | |
| 27. | სკრეპი N3 | კოლ.(100ც) | 100 | |
| 28. | სკრეპი N4 | კოლ.(100ც) | 100 | |
| 29. | ბლოკნოტი ა4 40 ფურც. ზედა ზამბარით | ც. | 50 | |
| 30. | ბლოკნოტი ა5 40 ფურც. ზედა ზამბარით | ც. | 50 | |
| 31. | რვეული ა4(40 ფურც.) გვერდითა ზამბარით | ც. | 50 | |
| 32. | რვეული ა4(100 ფურც.) გვერდითა ზამბარით | ც. | 50 | |
| 33. | რვეული ა5 (40 ფურცლიანი) | ც. | 50 | |
| 34. | საკანცელარიო წიგნი | ც. | 100 | |
| 35. | ბლოკნოტი ყოველდღიური | ც. | 20 | |
| 36. | საკანცელარიო ნაკრები (ორგანაიზერი) | ც. | 20 | |
| 37. | ჩასანიშნი ფურცლები (ფერადი) | შეკვრა (10X10X10 სმ3) | 100 | |
| 38. | წებოვანი ფურცლები(სტიკერები)7.5X7.5 სმ² | შეკვრა(100ც) | 100 | |
| 39. | საკანცელარიო დანა (დიდი) | ც. | 50 | |
| 40. | წებოვანი ლენტი(სკოჩი)შესაფუთი, გამჭვირვალე | ც. | 50 | |
| 41. | წებოვანი ლენტი(სკოჩი) პატარა | ც. | 50 | |
| 42. | საკანცელარიო ჯამი (თრეი) გამჭვირვალე | ც. | 50 | |
| 43. | მელანი წითელი (შტამპებისათვის) | ც (25მგ.) | 20 | |
| 44. | მელანი ლურჯი (შტამპებისათვის) | ც (25მგ.) | 20 | |
| 45. | ჭიკარტი (მეტალის თავით) | კოლოფი(35ც) | 100 | |
| 46. | ჭიკარტი (პლასტმასის თავით) | კოლოფი(35ც) | 100 | |
| 47. | ქაღალდის მომჭერი (კლიპსები) 51 მმ | ც. | 100 | |
| 48. | ქაღალდის მომჭერი (კლიპსები) 32 მმ | ც. | 100 | |
| 49. | ქაღალდის მომჭერი (კლიპსები) 19 მმ | ც. | 100 | |
| 50. | ნაგვის ურნა (პლასტმასის) | ც. | 20 | |
| 51. | მაკრატელი (ქაღალდის საჭრელი) | ც. | 20 | |
| 52. | დაფის საშლელი | ც. | 10 | |
| 53. | ქაღალდის წებო (საშუალო ზომის) მშრალი | ც. | 100 | |
| 54. | სწრაფჩამკერი ა4 (პლასტიკური) | ც. | 200 | |
| 55. | კლიპ ბორდი ორყდიანი | ც. | 100 | |
| 56. | ასაკინძი ზამბარები (პლასტმასის) 6 მმ | კოლ.(100ც) | 100 | |
| 57. | ასაკინძი ზამბარები (პლასტმასის) 12 მმ | კოლ.(100ც) | 100 | |
| 58. | ასაკინძი ზამბარები (პლასტმასის) 25 მმ | კოლ.(50ც) | 100 | |
| 59. | ასაკინძი ზამბარები (პლასტმასის) 51 მმ | კოლ.(50ც) | 100 | |
| 60. | ასაკინძი წიგნის ყდები | შეკვრ. (100ც) | 50 | |
| 61. | კონვერტი ა4 | ც. | 100 | |
| 62. | კონვერტი დიპლომატიური 11/12 სმ | ც. | 200 | |
| 63. | ჩასაკიდი ფაილები (ფაილ კაბინეტისათვის) | ც. | 50 | |
| 64. | თითის დასასველებელი ბალიში | ც. | 20 | |
| 65. | რეზინის შესაკრავი | შეკვრა(500გ) | 50 | |
| 66. | სახაზავი 30 სმ. | ც. | 50 | |
| 67. | სახაზავი 50 სმ. | ც. | 50 | |
| 68. | კედლის კალენდარი | ც. | 50 | |
| 69. | ანტისტეპლერი | ც. | 100 | |
| 70. | საქაღალდე ბაბთით | ც. | 100 | |
| 71. | მელანი შავი | ც. (25მგ) | 20 | |
| 72. | საშლელი | ც. | 200 | |
| 73. | კომპიუტერის საწმენდი | ც. | 20 | |
| 74. | სათლელი | ც. | 200 | |
| 75. | მილიმეტრული სიზუსტის ქაღალდი | რულ (10მ) | 20 | |

შენიშვნა. გთხოვთ ინვოისი გამოგზავნოთ ფაქსზე 69-92-98 ან მეილზე finance@elwagon.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო ობიექტებისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი 1 - რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 სექტემბერი.

ლოტი 2 - სს "ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის" სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 სექტემბერი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 მარტს 10:00-დან 17:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ სამუშაოებზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

გ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

5. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 24 თებერვლიდან 16 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**